მაღლიანი ცეცხლი უფლის საფლავზე
გვ. 5

სინოდის სხდომის ოქმი
გვ. 6

III მსოფლიო
საეკლესიო კრება
გვ. 8

დემოგრაფიული პრობლემები ქრისტიანული თვალსაზრისით
გვ. 9

აფხაზეთის ტკივილი
გვ. 15

ჩრევები მშობლებს
გვ. 19

მცირედი ფილოსოფიის
შესახებ
გვ. 22

ისტორია
ქართველ მეფეთა ხელითვანი
გვ. 25

სიკვდილის საიდუმლოება
გვ. 35

ოჯახის დაგეგმვა ანუ სიკვდილის კულტურა
გვ. 28

ჯვრისწერის ჩოლი საოჯახო სამართალში
გვ. 30

XXI საუკუნის „თინეიჯერული მწერლობა“
გვ. 40

ფანატომანია
ნუ შექმნი კერპს
გვ. 51

ო, ენავ, ჩემო...
გვ. 37

ტრადიცია
საღვთოფლო ხელსაქმე
გვ. 47

კითხვები და
პასუხები გენმოდიფიცირებული
კულტურის შესახებ
გვ. 51





ჩრევები...
გვ. 55

# სარჩევი


მადლიანი ცეცხლი უფლის საფლავზე ---------- 3

წმინდა სინოდის სხდომა ---------- 6

III მსოფლიო საეკლესიო ყრება ---------- 8

დემოგრაფიული პრობლემები ქრისტიანული თვალსაზრისით ---- 9

აფხაზეთის ტკივილი ---------- 15

ღირსეულ შვილთა აღსაზრდელად ---------- 19

მცირედი ფილოსოფიის შესახებ ---------- 22

ქართველ მეფეთა ხელრთვები ---------- 25

ოჯახის დაგეგმვა ანუ სიყვდილის კულტურა ---------- 28

ჯვრისწერის როლი საოჯახო სამართალში ---------- 30

ქალის როლი საზოგადოებაში ---------- 34

სიყვდილის საიდუმლოება ---------- 35

„ო, ენავ, ჩემო...” ---------- 37

XXI საუკუნის ქართული „თინეიჯერული მწერლობა” ---------- 40

ფანატომანია ---------- 42

გზა ცხონებისა ---------- 44

სადედოფლო ხელსაქმე ---------- 47

საქართველოში ფერმერებს დახმარება სჭირდება ---------- 50

კითხვები და პასუხები გენმოდიფიცირებული
კულტრების შესახებ ---------- 51

სასარგებლო რჩევები ---------- 55

# მადლიანი ცეცხლი უფლის საფლავზე

## სასწაული!

ხშირად ადამიანებს სასწაულებად ეჩვენებათ ისეთი მოვლენები, რომელთა ახსნა არ შეუძლიათ. ექსტრასენსების მიერ ჩატარებული „სასწაულებრივი მკურნალობანი“, ტელეპატია, ტელეკინეზი, „მფრინავი თეფშები“ და ა. შ. სწორედ მათ შესახებ გვაფრთილებს უფალი:

„ბოლო ჟამს აღდგებიან ცრუ ქრისტენი და ცრუ წინასწარმეტყველნი და მოახდენენ დიდ სასწაულებსა და ნიშნებს, რათა რჩეულნიც აცდუნონ, თუკი შესძლებენ“ (მთ. 24; 24).

ჩვენ სრულიად სხვაგვარ მოვლენაზე გვექნება საუბარი.

ყოველ წელს, დიდ შაბათს ანუ აღდგომის წინა დღეს, იერუსალიმში, აღდგომის ტაძარში, მაცხოვრის საფლავზე, უფალი გვიგზავნის უდიდეს სასწაულს — მადლიან ცეცხლს, რომელიც თავისი ღვთიური ნათელით საუკუნეების მანძილზე გვიდასტურებს მართლმადიდებელი სარწმუნოების ჭეშმარიტებასა და მისი კალენდრის (ე.წ ძველი სტილის) უტყუარობას.

წმინდა მოციქულთა და წმინდა მამათა მოწმობით ელვარე, სუეტაკმა ნათებამ პირველად იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დროს გაანათა მაცხოვრის საფლავი.

მაცხოვრის საფლავზე მადლიანი ცეცხლის გადმოსვლის შესახებ იტყობინება ევსევი კესარიელიც — IV საუკუნის გამოჩენელი ისტორიკოსი და სასულიერო მოღვაწე. აღდგომის ტაძრის აშენებისთანავე (ეს IV საუკუნეში წმ. ელენე დედოფლის ბრძანებით მოხდა), გადმოედინებოდა მადლიანი ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე.

პარიზში გამოქვეყნდა ბენედიქტელი ბერის, ფრანბრიის სააბატოს პრიორის, დინ კაპროლის გამოკვლევა, სადაც იგი აშუქებს მის მიერ აღმოჩენილ IV-V ს. ხელნაწერს „სილვიას მოგზაურობა წმინდა ადგილებში“. ამ ხელნაწერში არის ცნობა მადლიან ცეცხლზე, რომელიც გადმოვიდა მაცხოვრის საფლავზე სწორედ დიდ შაბათს.

არის შემონახული ცნობები, რომ სალადინის დროს თვით ხალიფაც კი მისულა დიდ შაბათს მაცხოვრის ტაძარში სანთლებით ხელში, მადლიანი ცეცხლის მისაღებად. მაჰმადიანები მას ზეციურ ცეცხლს უწოდებენ და სიწმინდედ აღიარებენ.

მადლიანი ცეცხლის გადმოსვლას მრავალი თვითმხილველი აღწერს. გთავაზობთ ნაწყვეტებს მათი მონათხრობიდან:

დიდ შაბათს (ძველი სტილით) ზეციდან გადმოედინება მადლიანი ცეცხლი. ამ დროს



უფალი ჩავიდა ჯოჯოხეთში და „საფლავნი აღეხვნეს და მრავალნი გუამნი შესვენებულთა წმინდათანი აღდგეს“ (მთ. 27; 52).

ღვთისმოსავი მლოცველები უკვე წინა დღით — წითელ პარასკევს იკავებენ ადგილს აღდგომის ტაძარში, მაცხოვრის საფლავთან ახლოს. ისინი მთელ ღამეს ლოცვასა და მღვიძარებაში ატარებენ. სანთლებს კრავენ კონებად — თითოეულში 33 სანთელია, მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების წლების აღსანიშნავად. საღამოს აქრობენ ყველა სანთელსა და კანდელს. ტაძარი მთელი ღამის განმავლობაში სიბნელითაა მოცული.

მადლი გადმოედინება დღისით — დაახლოებით დღის პირველ საათზე. ზუსტი დრო არ არის განსაზღვრული: ზოგჯერ ელოდებიან 10 წუთს, ზოგჯერ 5 წუთს, ხან 20 წუთს, იყო შემთხვევები როდესაც ელოდებოდნენ ორი საათის განმავლობაში; შეშინებულებს უკვე ტირილიც კი დაუწყიათ — მადლიანი ცეცხლის გადმოსვლით ხომ მთელი წელიწადი იკურთხება.

ზეიმი იწყება ლიტანიობით. პროცესია იერუსალიმის საპატრიარქოს ეზოდან გამოდის და წმ. იაკობის ტაძრის გავლით პირდაპირ აღდგომის ტაძრის საკურთხევლისაკენ მიედინება. აღსავლის კარიდან გამოდის პატრიარქი, მას მოყვებიან სასულიერო პირები, სტიქაროსნები და მგალობლები. პროცესია წმინდა კუვუკლიასთან ინაცვლებს და სამჯერ შემოუვლის მას გალობით: „აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ...“ შემდეგ ჩერდება კუვუკლიის კარის წინ. ტრადიციისამებრ იგი დალუქულია კუსტოდიით — ლუქის ან ცვილის ბეჭდით. სიმბოლურად დაბეჭდილია მაცხოვრის საფლავი. პატრიარქი განიმოსება — რჩება მხოლოდ კვართში. იღება კარი და პარტიარქი შედის კუვუკლაში. უნდა აღინიშნოს რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, ამ დროს პატრიარქს ყოველთვის გულმოდგინედ ათვალიერებენ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩხრეკენ, ხომ არაფერი შეაქვს ისეთი, რისგანაც შეიძლება სანთლის ანთება. მასთან ერთად კუვუკლიაში შესვლის უფლება მონოფიზიტთა მღვდელმთავარსაც აქვს, მაგრამ იგი დაიშვება მხოლოდ ანგელოზის ეგვტერში (კუვუკლია ორი ნაწილისაგან შედგება: ანგელოზის ეგვტერისა და საკუთვრივ მაცხოვრის საფლავისაგან).

ერთხელ, თურმე, მონოფიზიტებს მოუსყიდიათ თურქი სამხედროები. ადრე შესულან კუვუკლიაში, დაუხურავთ კარი და არ შეუშვიათ მართმადიდებელი პატრიარქი. ლოცვით დამხობილა იგი დახშული კარის წინ, მონოფიზიტები კი ლოცულობდენ და ითხოვდნენ მადლიან ცეცხლს. უცებ გაისმა ჭექა-ქუხილის ხმა, თითქოს და მეხი დაეცაო ტაძარს, გასკდა კედელი გადმოვიდა ცეცხლი და აანთო მართმადიდებელთა პატრიარქის სანთლები. ახლაც მოჩანს

ის ნაპრალი ტაძრის კედელზე. ამის შემდეგ ველარავინ ბედავს შეეცილოს მართლმადიდებლებს მადლიანი ცეცხლის მიღებაში.

პატრიარქი მუხლის ჩოქით მიეახლება მაცხოვრის საფლავს და ... აი, ამ დროს იწყება ენით არუწერელი მღელვარე წუთები.

ვიღაც სკეპტიკოსს ირონიული ღიმილით უკითხავს პატრიარქისთვის:

— თქვენო უნეტარესობავ, ხომ არ გვეტყოდით, საიდან ინებებთ ხოლმე ცეცხლის მიღებას კუვუკლიაში?

პატრიარქს არ მიუქცევია ყურადღება შეკითხვის ტონისათვის და უდრტვინველად უპასუხია:

— მე, ჩემო მოწყალეო ხელმწიფევ, დავბერდი და სათვალის გარეშე ველარ ვკითხულობ. როდესაც პირველად შევედი ანგელოზის ეგვტერში და უკან დაიხშო კარი, ქვაბულში ბნელოდა. მკრთალი სინათლე ძლივს აღწევდა წმ. საფლავის როტონდის ორივე ხვრელიდან. ხოლო მაცხოვრის საფლავის ეგვტერში ველარც კი ვარჩევდი, რა მეჭირა ხელში — ლოცვანი თუ სხვა რაიმე. სიბნელეში ძლივს მოჩანდა მოთეთრო საგანი — მაცხოვრის საფლავის მარმარილოს თეთრი ფილა უნდა ყოფილიყო. როდესაც გადავშალე ლოცვანი — გაკვირვებული დავრჩი, სრულიად თავისუფლად შემეძლო კითხვა, სათვალეზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. უაღრესი სულიერი მღელვარებით წავიკითხე სამი-ოთხი სტრქონი და ისევ მაცხოვრის საფლავს შევხედე. ფილა სულ უფრო და უფრო ნათდებოდა, უკვე აშკარად ვხედავდი მის კიდეებს. უცებ ვხედავ სხვადასხვა საუცხოო ფერად მოელვარე მძივის მარცვლებივით მიმობნეულ მარგალიტებს. ფილა უკვე გამოსცემს ძლიერ ნათებას.

გაოგნებული ვაგროვებ ბამბით ამ მარგალიტებს, რომლებიც ზეთის წვეთებივით ეკვრიან ერთმანეთს. ბამბიდან რაღაც უცნაური სინათლე ვიგრძენი, მივუახლოვე სანთელს. პატრუქი დენთივით აბრიალდა — სანთელი აინთო. მისმა ნათებამ აღდგომის სამი ხატი გამოანათა, აქვე დამყურებდა ღვთისმშობლის სათნო სახე. აინთო ყველა კანდელი მაცხოვრის საფლავთან. თავად განსაჯეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, თუ რაოდენ დიდი იყო ჩემი სულიერი მღელვარება, და აქედან გამომდინარე, თვითონ გაეცით პასუხი თქვენს თავს“.

# წმიდა სინოდის სხდომა

ა.წ. 30 აპრილს საქართველოს საპატრიარქოში შედგა წმიდა სინოდის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

მდივნად არჩეულ იქნა ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი);

სხდომას არ ესწრებოდნენ: რუსთავის და მარნეულის მიტროპოლიტი ათანასე, (ჩახვაშვილი), ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), წილკნისა და დუშეთის მთავარეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსი ელისე (ჯოხაძე);

1. წმიდა სინოდმა მოისმინა: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II მისალმება და შესავალი სიტყვა, სადაც იგი შეეხო საქართველოში არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებასაც და გამოთქვა იმედი მოვლენების მშვიდობიანი განვითარებისა.

2. წმიდა სინოდმა მოისმინა ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზის (ფაჩუაშვილი) და ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაიას (ჭანტურია) მოხსენებები მათ ეპარქიებში არსებული რთული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

**გადაწყდა** - ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, რომ ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიას გადაეცეს ახალქალაქის ისტორიული ციხე-სიმაგრე თავისი ტერიტორიით.

3. წმიდა სინოდმა მოისმინა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტის თეოდორეს (ჭუაძე) ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ხელმოწერილი შეთანხმების შესახებ, რომელიც ეხება მსჯავრდებულების მიმაგრებას ეპარქიების მონასტრებში.

**გადაწყდა:** მღვდელმთავრებმა წარმოადგინონ სია იმ მონასტრებისა, სადაც, აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, გაიგზავნებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პირები.

4. წმიდა სინოდმა მოისმინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინადადება საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის გაფართოების შესახებ.

**გადაწყდა:** სასწავლო კომიტეტი გარდაიქმნას სასწავლო ცენტრად და დამტკიცდეს სასწავლო ცენტრის საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საბჭოს თავმჯდომარე: ცურტაველი ეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი), საბჭოს წევრები: ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი); ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), სამთავისისა და გორის მთავრეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა), დეკანოზი თეოდორე გიგნაძე,დეკანოზი მიქაელ გალდავა.

5. წმიდა სინოდმა განიხილა ქართული ხორბლის, ვაზის და სხვა ადგილობრივი კულტურების აღორძინებასთან დაკავშირებული საკითხები. წმიდა სინოდმა განაჩინა: შეიქმნას სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი და მის ხელმძღვანელად დაინიშნოს ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე);

ცენტრმა უნდა იზრუნოს სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ჯიშების გამრავლებისთვის და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობისათვის.

6. წმიდა სინოდმა ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტის სერგის (ჩეკურიშვილი) თანხმობით განაჩინა:

ჰერეთის მხარე გამოეყოს ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქიას და იქ დაინიშნოს ტიტულოვანი ეპისკოპოსი (ადგილსამყოფელი ქ. თბილისი).

7. დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტმა აბრაამმა (გარმელია) წმიდა სინოდს მოახსენა თავის ეპარქიაში არსებული სირთულეებისა და მათი დაძლევის პერსპექტივის შესახებ.

**წმიდა სინოდმა განაჩინა:**

ა) დასავლეთ ევროპის ეპარქიას გამოეყოს დიდი ბრიტანეთი და ირლანდია; აქ არსებული ქართული სამრევლოების მმართველად დაინიშნოს დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული) და ეწოდოს ეპისკოპოსი დმანისისა და აგარაკ-ტაშირისა, მმართველი დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ქართული სამრევლოებისა.

ბ) ჩრდილოეთ ამერიკის (ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა) ქართული სამრევლოების მმართველად დაინიშნოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი) და ეწოდოს მიტროპოლიტი ბათუმისა და ლაზეთის და მმართველი ჩრდილოეთ ამერიკის (ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა) ქართული სამრევლოებისა.

გ) სამხრეთ ამერიკის ქართული სამრევლოების მმართველად დაინიშნოს ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი) და ეწოდოს მიტროპოლიტი ახალქალაქისა და კუმურდოსი და მმართველი სამხრეთ ამერიკის ქართული სამრევლოებისა.

დ) ავსტრალიის ქართული სამრევლოების მმართველად დაინიშნოს სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსი შიო (მუჯირი) და ეწოდოს ეპისკოპოსი სენაკისა და ჩხოროწყუსა და მმართველი ავსტრალიის ქართული სამრევლოებისა.

8. წმიდა სინოდმა განაჩინა: შეიქმნას, ანალიტიკური ცენტრი, ღრმა აზროვნების სასკოლო პროგრამების შესამუშავებლად.

9. წმიდა სინოდმა გამოარჩია სამღვდელმთავრო კანდიდატად არქიმანდრიტი მელქისედეკი (ხაჩიძე).

ხელდასხმა შედგება ა.წ. 3 მაისს, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

2009 წლის 30 აპრილი

# III მსოფლიო საეკლესიო კრება

IV საუკუნის ბოლოსათვის ეკლესიამ ჩამოაყალიბა სწავლება იესო ქრისტეს პიროვნების შესახებ. ამ სწავლებით იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი ადამიანი. ამ დებულებას არ ეთანხმებოდნენ ანტიოქიის საღვთისმეტყველო სკოლის წარმომადგენლები. მათი მიზანი იყო ამ დოგმის მეცნიერული, გონებისმიერი ახსნა. საბოლოოდ ყოველივე ამან ისინი იმ მწვალებლებამდე მიიყვანა, რომელსაც ნესტორიანელობა ეწოდა — კონსტანტინოპოლელი არქიეპისკოპოსის, ნესტორის სახელის მიხედვით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნესტორს ჰყავდა წინამორბედნი დიოდორე ტარსელი და მისი მოწაფე თეოდორე მოფსუესტიელი. თავად ნესტორი კი თეოდორეს მოწაფე იყო. 428 წელს იმპერატორმა თეოდოსიმ ნესტორი ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსად მიიწვია. ნესტორმა ანტიოქიაში მჭერმეტყველის სახელი დაიმკვიდრა. იმპერიის დედაქალაქის ახალმა მღვდელმთავარმა თან იახლა არქიმანდრიტი ანასტასი — ერთ-ერთი გამავრცელებელი ნესტორის მოძღვრებისა.

ნესტორის მოძღვრების მთავარი არსი შემდგომში მდგომარეობდა: ქალწულ მარიამს უნდა ვუწოდოთ არა „ღვთისმშობელი“, არამედ „კაცის მშობელი“. მოგვიანებით „კაცის მშობელი“ შეცვალა „ქრისტესმშობელი“-თ. მის ამგვარ მოძღვრებას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ეკლესიაში. რომში 430 წელს პაპმა ცელესტინმა მიიწვია კრება, სადაც ნესტორის მოძღვრება დაგმეს. ალექსანდრიაშიც ამავე წელს მოიწვიეს კრება კირილე ალექსანდრიელის თაოსნობით, სადაც ასევე დაიგმო ნესტორის ერესი. ამ საღვთიმეტყველო დავების აღსაკვეთად იმპერატორმა გადაწყვიტა მსოფლიო საეკლესიო კრების ჩატარება. კრება ჩატარდა 431 წლის ივნისის თვეში, ქალაქ ეფესოში (ღვთისმ-

შობლის მიცვალების ადგილი), სადაც 200 დელეგატი იყო ჩასული. კრებას ესწრებოდნენ კირილე ალექსანდრიელი 40 ეგვიპტელ ეპისკოპოსთან ერთად, ასევე იერუსალიმის ეპისკოპოსი იუბენალი, პალესტინის ეპისკოპოსების თანხლებით, კაბადოკიის კესარიის ეპისკოპოსი ფირმოსი და თესალონიკის ეპისკოპოსი ფლაბიანე, რომის პაპის ლეგატები. კრებას ესწრებოდნენ ასევე ნესტორის მომხრეები იოანე ანტიოქიელი 33 სირიელ ეპისკოპოსთან ერთად.

თავად ნესტორი 3-ჯერ მიიწვიეს კრებაზე, მაგრამ იგი არ დასწრებია კრების არცერთ სხდომას. თავიდან იმპერატორიც ნესტორის მხარეს იხრებოდა. კრებამ გამართა 7 სხდომა. მართლმადიდებლობის დამცველმა ეპისკოპოსებმა, კირილე ალექსანდრიელისა და მემნონ ეფესელის მეთაურობით, დაგმეს ნესტორის მოძღვრება. ჩამოაყალიბეს დოგმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესახებ: უფალი იესო ქრისტე არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი და მაცხოვარში ღმრთაებრივ და კაცობრივ ბუნებათა შეურწყმელი ერთიანობის საფუძველზე ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი შეიძლება წოდებულ იყოს ღვთისმშობლად.

გარდა ნესტორის მწვალებლობისა, ამ კრებაზე განიხილეს და დაგმეს პელაგიოსის ერესი, რომელიც უარყოფდა პირველქმნილ ცოდვას, ამცირებდა ადამიანის ცხონებისთვის ღვთის მადლის მნიშვნელობას; მისი აზრით ცხონება ადამიანური ძალებით იყო შესაძლებელი.

კრებამ მიიღო 8 კანონი. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო მე-8 კანონი, რომლის ძალითაც კვიპროსის ეკლესია საბოლოოდ გახდა დამოუკიდებელი. ყოველგვარი პრეტენზია ანტიოქიის ეკლესიისა კვიპროსის ეკლესიაზე უკანონოდ ჩაითვალა.

მოამზადა
**როლანდ სპანდერაშვილმა**

ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ

# ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ

იმ მონაცემებიდან, რომლებსაც შევეცადე გავცნობოდი გამოიკვეთა, რომ დემოგრაფიული საკითხების მეცნიერულ კვლევაში არსებობს ორი ძირითადი მიმდინარეობა, ერთი — დღეს გაბატონებულია და ფინანსდება დიდი და ძლიერი საერთაშორისო ფონდებით, რომლებიც ფაქტობრივად წარმართავენ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. ეს არის მიმართულება, რომელიც გულისხმობს დემოგრაფიული პრობლემების ხელოვნურ რეგულირებას „რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვას“, „რეპროდუქციულ უფლებებს“, „სქესობრივ აღზრდას“, ანუ ე.წ. „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ დამკვიდრებას, „უსაფრთხო დედობასა“ და „მშობელთა პასუხისმგებლობას“, რაც უკავშირდება „სასურველი და ჯანმრთელი შვილების ყოლას“, „არასასურველი ორსულობისაგან თავის დაცვას“, „ოჯახის დაგეგმვას“ და ა.შ. ამ სიტყვების უკან ძალზედ „საინტერესო“ შინაარსი დევს. ამ მიმართულების ძირითადი მიზანია ე.წ. დემოგრაფიული აფეთქებისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური, სურსათის უკმარისობისა და სხვა მსგავსი პრობლემების თავიდან აცილება.

მეორე მიმართულება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზნეობრივ საკითხებს და აქედან გამომდინარე, დემოგრაფიულ პრობლემებს განიხილავს ზნეობრივი თვალსაზრისით.

ერთი რამ მინდა დავამატო, ამ ორ მიმდინარეობას შორის განსხვავება თვითონ კვლევის პროცესში შეიძლება არც კი იყოს, მონაცემებიც შეიძლება ერთი და იგივე იქნას გამოყენებული. იმას ვერ შეცვლი, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს რომელიმე ქვეყანაში ან საერთოდ მსოფლიოში — შარშან რამდენი იყო, წელს რამდენია, ზრდაა თუ პირიქით უკუსვლაა და ა.შ. ეს ჩვეულებრივი ციფრებია და ამ ციფრებიდან გამომდინარე, შესაძლოა, გარკვეული დასკვნებიც ერთნაირი იყოს, მაგრამ განსხვავდებოდეს მიზანი, თუ რა მიმართულებით წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა, რომ დემოგრაფიული პროცესები შეიცვალოს ასე — ან ისე. აი, ამაშია განსხვავება ამ ორ მეთოდს შორის და, აქედან გამომდინარე, წინა პლანზე იწევს ამ საკითხების იდეოლოგია. საჭიროა გავერკვეთ ამ ორი მიმართულების იდეოლოგიაში.

პირველი მიმართულება, რომელზეც უკვე მოგახსენეთ, ვერ ვიტყვით, რომ მთლიანად, მაგრამ უმეტესწილად, დაფუძნებულია პოლიტეკონომისტ პროფსორ თომას მალთუსის 1798 წელს გამოცემულ ნაშრომზე, რომლის სახელწოდებაა „მოსახლეობის კანონის დადგენის ცდა“. მასში, დღევანდელობისთვის დამახასიათებელი სქემატიზმით, იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პლანეტის მოსახლეობა გეომეტრიული პროგრესით იზრდება, ხოლო მსოფლიო წარმოება არითმეტიკული პროგრესიით, რის გამოც მოსალოდნელია ე.წ. დემოგრაფიული აფეთქება, რაც მრავალი პრობლემის წინაშე დააყენებს კაცობრიობას. აქვე იგი გვთავაზობს „ზედმეტ“ ადამიანებთან ბრძოლის გზებს — ქველმოქმედების უარყოფას, დანაშაულისა და ომების წახალისებას, მედიცინის განვითარების შეფერხებას და ა.შ. რა თქმა უნდა, ასეთი ღია სახით მალთუსიანობა ყოვლად მიუღებელია დღევანდელ მსოფლიოსთვის. ამიტომ ამ მიმდინარეობას ამ სახით არ მიეცა დიდი განვითარების საშუალება, მაგრამ, თავად მოსაზრება, რომ გეომეტრიული პროგრესიით განვითარებული მოსახლეობა და არითმეტიკული პროგრესიით განვითარებული ეკონომიკა ქმნის პრობლემას ადამიანის ცხოვრებაში, გაზიარებულია ზემოთხსენებული პირველი მიმდინარეობის მიერ. გარკვეულწილად, ომების წახალისებაზე და ასეთ ღია სისასტიკეზე, რა თქმა უნდა, უარი თქვა მსოფლიომ და მიუღებლად მიიჩნია, მაგრამ სანაცვლოდ მოსახლეობის ხელოვნური შემცირების ახალი, უფრო „ჰუმანური“ ფორმა გამოიძებნა.

თომას მალთაუსი

ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთმა აქტივისტმა, მარგარეტ ზანგერმა, შესთავაზა მოსახლეობის რაოდენობის კატასტროფული ზრდის მალთუსისეული პროგნოზით შეშფოთებულ მსოფლიო „ბოსებს“ „ზედმეტი“ მოსახლეობის მოშორების ახალი გეგმა. ეს

მარგარეტ ზანგერი

გეგმა გაცილებით უფრო მომხიბლავად გამოიყურებოდა და სრულიად უწყინარ სახელს ატარებდა „გეგმა მშვიდობისათვის“ („Plan for Peace“). აღარ არის საჭირო ადამიანების დახოცვა ბომბებითა და ეპიდემიებით. უბრალოდ საჭიროა შობადობის შემცირება. შედეგი, რა თქმა უნდა, იმავე წუთს არ იქნება, მაგრამ ეს მეთოდი ბევრად უფრო ეფექტურია. 1921 წელს მან ჩამოაყალიბა „შობადობის კონტროლის ლიგა“, რომლის ძირითადი მიზანიც იყო მოსახლეობის ზრდის ტემპების შემცირება, აბორტების, სტერილიზაციისა და კონტრაცეპციის გზით.

1939 წელს ზანგების შობადობის ზრდის ტემპებით შეშფოთებულ აშშ-ს სამხრეთ შტატების ხელმძღვანელების დაკვეთით მან შეიმუშავა ე.წ. „ზანგების პროექტი“, რომელშიც იგი სთავაზობდა სამხრეთის შტატებში გაეგზავნათ შავკანიანი მისიონერი მღვდლები (პროტესტანტები), რომლებიც იქადაგებდნენ კოტრაცეფციის მნიშვნელობაზე ჯანმრთელობისთვის. რაღა თქმა უნდა, მღვდლებს წინასწარ სპეციალური მომზადება (ე.წ. „ტრენინგი“) უნდა გაევლოთ.

აი, ციტატა: „მღვდელი უნდა იყოს ის ადამიანი, ვინც გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს, რომ ჩვენ გვსურს ზანგების რაოდენობის შემცირება“, — წერდა ზანგერი. მათი საქმიანობა ფიზიზლად უნდა გაეკონტროლებინათ „შობადობის კონტროლიორებს“ — სპეციალურად გაწვრთნილ ხალხს. ეს წერია ჯორჯ გრანტის წიგნში „სიკვდილის ანგელოზი“.

„შობადობის კონტროლის ლიგა“ გამოსცემდა ჟურნალს „შობადობის კონტროლის მიმოხილვა“ („Birth Control Review“), რომელშიც ნათლად ჩანს მათი იდეოლოგია. და აი, ციტატა ამ ჟურნალიდან: „ცოლ-ქმრული ღალატი (ამ სიტყვის ფიზიკური გაგებით მაინც), არ უნდა ითვლებოდეს გაცილების საბაბად. ეს არის თანამედროვე ქორწინების ბუნებრივი შედეგი“.

ან „დიდი ოჯახი — საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ყოველი მომდევნო ბავშვი აქვეითებს ოჯახის ცხოვრების დონეს“.

კიდევ: „ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ყოველი ბავშვის უფლება იყოს სასურველი“ („Birth Control Review“, IX გამ., №6, 1925). ანუ ყოველი „არასასურველი“ ბავშვი, თანამედროვე ძალოვანთა ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებთ — „ლიკვიდირებულ“ უნდა იქნას. „რა ვქნათ“, რომ ამით „არასასურველი“ ბავშვის სიცოცხლის უფლებას ხელვყოფთ.

ზანგერი და მისი „შობადობის კონტროლის ლიგა“ „ნაყოფიერად“ თანამშრომლობდნენ ჰიტლერთან და მისი ფაშისტური იდეოლოგიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას განსაზღვრავდნენ.

ევგენიკას — „მეცნიერებას“ ადამიანის ჯიშის გაუმჯობესების შესახებ, რომელიც დარვინის თეორიის ახალი განზომილება იყო, აქტიური პროპაგანდა ეწეოდა ფაშისტურ გერმანიაში. აქ საუკეთესო ჯიშის ადამიანები უნდა შეეჯვარებინათ და ამის მეშვეობით „ზეადამიანი“ უნდა მიეღოთ.

1933 წელს ზანგერის ჟურნალში გამოქვეყნდა მისი ახლო მეგობრისა და თანამოაზრის ერნსტ რუდინის სტატია „ევგენიკური სტერილიზაცია არსებითი მოთხოვნილებაა“. შემდგომში რუდინი გენეტიკური სტერილიზაციის ჰიტლერისეული პროექტის დირექტორი გახდა.

1942 წელს ტაქტიკური მოსაზრებით ზანგერმა „შობადობის კონტროლის ლიგას“ გადაარქვა სახელი და „ოჯახის დაგეგმვის ასოციაცია“ დაარქვა. ხოლო 1948 წელს დაარსდა „ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაცია“, რომელიც დარეგისტრირდა 1953 წელს, ხოლო ზანგერი მის საპატიო თავმჯდომარედ იქნა არჩეული. ეს არის წინა ისტორია დღევანდელი დემოგრაფიული საკითხებისადმი იმ მიდგომისა, რომელიც საჭიროდ მიიჩნევს მსოფლიოს დაცვას „ზედმეტი“ ადამიანებისგან.

„ოჯახის დაგეგმვის“ ზანგერის პროექტი დღესაც აქტიურად ინერგება, სხვათაშორის, ყველაზე მაღალი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

**კანონი 1139-ის - საქართველოს კანონი «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ»**
**მიღებულია - 10.12.1997 წ კალაშია - 10.12.1997 წ.**

**თავი 23 - ოჯახის დაგეგმვა**

**მუხლი 136**

**საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო. სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს რეპროდუქციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით.**

რას ნიშნავს „ოჯახის დაგეგმვა“? ეს სიტყვები ერთი შეხედვით ლამაზად ჟღერს. „ჩვენ გვინდა, რომ ოჯახი იყოს ბრძოლისუ-

ნარიანი, ეკონომიურად ძლიერი და ა.შ. ამისთვის საჭიროა შვილების რაოდენობა დაგვეგმოთ, არასასურველი შვილები არ უნდა გვყავდეს“ — გვუბნებიან „დამგეგმარებლები“. ეს „არასასუვლი“ შვილი რას ნიშნავს? არის თუ არა ეს სიცოცხლის უფლების ხელყოფა? საინტერესოა, რატომ არის ქაიროს კონფერენციის შედეგად მრავალი ქვეყნის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში ასეთი რამ ნათქვამი, რომ განვითარებად ქვეყნებში ხელი უნდა შეეწყოს კონტრაცეპტივების წარმოებათა ამოქმედებას? ხომ არ არის ე.წ. განვითარებადი ქვეყნები (სამწუხაროდ, მათ შორის ჩვენც), ის ადგილი, სადაც მოსახლეობის შემცირება უფრო მნიშვნელოვანია გარკვეული წრეებისთვის, სწორედ იმიტომ, რომ მომავალში დმოგრაფიული აფეთქება იყოს თავიდან აცილებული? და ეს არის „ოჯახის დაგეგმვის“ პროგრამების ერთი უმნიშვნელო, მაგრამ მრავლისმეტყველი მხარე.

**ᲙᲐᲜᲝᲜᲝ 1139-ᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ «ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ»**
**ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ - 10.12.1997 Წ ᲥᲐᲚᲐᲨᲘᲐ - 10.12.1997 Წ.**

**თავი 23 - ოჯახის დაგეგმვა**

**მუხლი 137**

**სახელმწიფო უზრუნველყოფს დასაქორწინებელ, აგრეთვე, შვილის ყოლის მსურველ წყვილთა უფასო ნებაყოფლობით სამედიცინო-გენეტიკურ კონსულტაციას.**

შობადობის შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორია გვიანი ქორწინებები, რომელთა აქტიური პროპაგანდა მიმდინარეობს. ამასთანავე, ოჯახური ურთიერთობები განიხილება როგორც „პარტნიორული“ ურთიერთობები, მათ შორის ერთსქესობრივიც. შიდსთან ბრძოლის საფარველის ქვეშ ცდილობენ „უსაფრთხო სექსის“ პროპაგანდას. ამისი ცხადი მაგალითია სატელევიზიო პროგამები, რომლებიც სულ უფრო და უფრო უხამსი უზნეობის ტირაჟირებას ახდენენ. „უსაფრთხო სექსი“ სხვა არაფერია თუ არა უწესრიგო კავშირები სხვადასხვა „დამცავი“ საშუალებებით. მაგრამ ეს „დამცავი“ საშუალებები რამდენად იცავენ ადამიანს შიდსისგან, შეგიძლიათ გაარკვიოთ პატიოსან ექიმებთან.

**ᲙᲐᲜᲝᲜᲝ 1139-ᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ «ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ»**
**ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ - 10.12.1997 Წ ᲥᲐᲚᲐᲨᲘᲐ - 10.12.1997 Წ.**

**თავი 23 - ოჯახის დაგეგმვა**

**მუხლი 138**

**კონტრაცეპტივების წარმოება, იმპორტი და გავრცელება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

ერთი რამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე ძალზედ დიდ გავლენას ახდენს ნარკობიზნესი, მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტ ძალას იძენს და უკვე კარგა ხანია მას თავისი გავლენითა და შემოსავლებით გადააჭარბა პორნობიზნესმა, რომელსაც, არა თუ თითქმის არავინ ებრძვის, არამედ პირიქით, ყოველგვარი ხელშეწყობა აქვს.

რა იწვევს მოსახლეობის შემცირებას?

1. სუსტი ჯანმრთელობა, უშვილობა.
2. აბორტები, კონტრაცეპტივები.
3. გარყვნილების დანერგვა ცხოვრების წესად.
4. ოჯახის შესახებ ტრადიციული წარმოდგენების ცვლა („პარტნიორული“ ურთიერთობები, ჰომოსექსუალური „ოჯახები“ და ა.შ.) „ოჯახის დამგეგმარებელთა“ პოლიტიკის ამსახველ კიდევ ერთ ციტატას შემოგთავაზებთ: „ოჯახის ცნება, დამჩაგვრელ ხასიათს ატარებს, რადგან პიროვნებას მკაცრ ჩარჩოებში აქცევს. მით უფრო, რომ დღეს ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი თანაცხოვრობს ტრადიციული ქორწინების მიღმა და ამ ურთიერთობასაც ოჯახად მიიჩნევს“.
5. სიკვდილიანობის ზრდა (გულისა და სისხლძარღვთა დაავადებები, კიბო, ტრავმები, მკვლელობები).
6. ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, სიგარეტის მოწევა, მძიმე სტრესები.
7. ეკონომიკური ფაქტორი, რომელზეც გადატანილია ძირითადი ყურადღება უმნიშვნელოა. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მრავალი ქვეყანა, რომელსაც ეკონომიურად სულაც არ უჭირს, მაგრამ მოსახლეობის მატება ან არ არის, ან ძალზედ მცირეა და პირიქით, ქვეყნები სუსტი ეკონომიკით, რომლებშიც მოსახლეობის მატება თვალშისაცემია. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მდიდარ ოჯახებს ეზარებათ შვილების ყოლა, მათი მოვლა და აღზრდა.

**ᲙᲐᲜᲝᲜᲝ 1139-ᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ «ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ»**
**ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ - 10.12.1997 Წ ᲥᲐᲚᲐᲨᲘᲐ - 10.12.1997 Წ.**

**თავი 23 - ოჯახის დაგეგმვა**

**მუხლი 139**

**1. ქალთა ჯანმრთელობის დაცვა აბორტების შემცირების გზით სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა.**

**2. ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ, თუ:**

**ა) ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას;**

**ბ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია სამი დღის მოსაფიქრებელი ვადა.**

**გასაუბრების დროს ექიმმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას. არჩევანი ქალის პრერეოგატივაა.**

ეკონომიკური საკითხი ნაკლებად მოქმედებს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. მთავარი პრობლემა, რომელიც იწვევს დემოგრაფიულ კრიზისებსა და კატასტროფებს, არის საზოგადოების უზნეობა. რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაქვეითების მთავარი მიზეზია — ახალგაზრდობის გარყვნა.

**კანონი 1139-Iს - საქართველოს კანონი «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ»**
**მიღებულია - 10.12.1997 წ ძალაშია - 10.12.1997 წ.**

**თავი 23 - ოჯახის დაგეგმვა**

**მუხლი 140**

**1. აბორტის რეკლამა აკრძალულია.**

**2. თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით.**

**სამედიცინო ჩვენებების ჩამონათვალს ადგენს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. სოციალური ჩვენებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.**

ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ დემოგრაფიული პროცესებისადმი მიდგომის პირველ მიმართულებაზე, ახლა კი შევეხოთ მეორე მიმართულებას, რომელიც გულისხმობს ამ პროცესებისადმი ზნეობრივ მიდგომას და მათ შორის გამოვყოფდი ქრისტიანულ მიდგომას. არის ოჯახები, რომლებშიც სუფევს სიყვარულზე აგებული წმიდა ურთიერთობები. ამ ოჯახებისთვის კარდინალურად მნიშვნელოვანია ღვთის კურთხევა, ოჯახის დალოცვა, ჯვრისწერა. მეუღლეებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია, როგორ ცხოვრებას ეწეოდა მისი მეუღლე ქორწინებამდე. წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ბრძანებს „მრუში აფუჭებს თავის მოდგმას“. მეცნიერთა დასკვნები ადასტურებენ ამას. მრავალი დაავადების მიზეზი, მრუშობაა. განსაკუთრებით ეს ქალურ დაავადებებს ეხება. მრუშობა დამღუპველია სულისთვისაც და ხორცისთვისაც. შემთხვევითი კავშირით დაბადებული ნებისმიერი ბავშვი არასრულფასოვანია გენეტიკურადაც, ბიოლოგიურადაც და ფსიქოლოგიურადაც. ამორალურ კაცზე ან ქალზე ქორწინება თავიდანვე საზიანოა შთამომავლობისთვის.

ერის ზნეობრივსა და ფიზიკურ ჯანმრთელობას განსაზღვრავს, პირველ რიგში, ქალის ზნეობრიობა და აი, ჩვენი გოგონები — ნახევრად შიშვლები, ტრანსპორტში, საქარბაზოებში, ქუჩაში, დისკოთეკებზე, სიგარეტით პირში. „უკომპლექსოები“ და „თავისუფლები“ — ესაა ჩვენი მომავალი დედობა?

როდესაც ოჯახური ურთიერთობები წმინდაა, მასზე გადმოდის ღვთის მადლი და ბავშვის დაბადებაც, აღზრდაც და განათლებაც ღვთის მფარველობის ქვეშ მიმდინარეობს და ყალიბდება სრულფასოვანი, ზნეობრივად გაწონასწორებული, სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანი. ასეთი ოჯახი თავად კი არ „გეგმავს“ შვილების რაოდენობას, კი არ ყოფს დედის წიაღში მყოფ ჩვილებს „სასურველზე“ და „არასასურველზე“, არამედ ღებულობს მათ ღვთის წყალობად და უფალს ანდობს თავისი ოჯახის რაოდენობის განსაზღვრას. სხვათაშორის, მარხვის დროს ცოლქმრული ურთიერთობებისგან თავშეკავება განსაზღვრავს იმ ზომიერებას, რომელიც აუცილებელია ოჯახური ბედნიერებისათვის. ღვთის ნებით დაბადებულ ნებისმიერ ადამიანს ღვთისგან ეძლევა სიცოცხლისათვის აუცილებელი ყველა შესაძლებლობა, უფალი არცერთ ადამიანს დასაღუპავად არ სწირავს, მაგრამ მშობელთა და სხვა ადამიანთა, განსაკუთრებით, „ოჯახის დაგეგმვისა“ და უზნეო ცხოვრების პროპაგანდისტთა უპასუხისმგებლო საქციელმა შესაძლოა წაართვას ადამიანს ის ყოველივე, რასაც უფალი მას აძლევს.

**კანონი 1139-Iს - საქართველოს კანონი «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ»**
**მიღებულია - 10.12.1997 წ ძალაშია - 10.12.1997 წ.**

**თავი 23 - ოჯახის დაგეგმვა**

**მუხლი 141**

**განაყოფიერება დონორის სპერმით ნებადართულია:**

**ა) უშვილობის გამო, ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, ან მარტოხელა ქალის განაყოფიერებისათვის, თუ მიღებულია უშვილო წყვილის ან მარტოხელა ქალის წერილობითი თანხმობა. ბავშვის დაბადების შემთხვევაში უშვილო წყვილი ან მარტოხელა ქალი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით. დონორს არა აქვს განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მამად ცნობის უფლება;**

**ბ) მხოლოდ სათანადო ლიცენზიის მქონე დაწესებულებაში, თუ მას ატარებს შესაბამისი ლიცენზიის მქონე ექიმი.**

რა „რეპროდუქციულ უფლებებზეა“ საუბარი, როცა უმწეო ჩვილს ყველაზე მთავარს — სიცოცხლის უფლებას უსპობენ, რა „უსაფრთხო სექსზე“ და შიდსის პრევენციაზე გველაპარაკებიან, როცა გარყვნილი ცხოვრების პროპაგანდით უზარმაზარ ფულს შოულობენ, შემდეგ კი ნიანგის ცრემლებს ღვრიან, ნარკომანების კონცერტებს აწყობენ „ნარკომანიის წინააღმდეგ“, გარყვნილი და გაოხრებული ქალების თუ კაცების (ვეღარც კი გაარჩევ ერთმანეთისგან), რაღაც „შოუებს“ დგამენ „შიდსის წინააღმდეგ“ და ა.შ.

ექიმებმა „დამგეგმარებლების იდეოლოგია კი არ უნდა დანერგონ, არამედ თავის საქმეს მიხედონ, მოუარონ ავადმყოფებს, ყველა პირობა

შეუქმნან ადამიანებს, რათა ისინი სულიერად და ხორციელად ჯანმრთელები იყვნენ. მრავალი ავადმყოფობის პირდაპირი გამომწვევი მიზეზი ცოდვაა და როგორ შეიძლება ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა ცოდვის ჩადენის პროპაგანდით? სამწუხაროდ, დღეს ეს დამღუპველი ტენდენციები კატასტროფულ

**კანონი 1139-ის - საქართველოს კანონი «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ»**
**მიღებულია - 10.12.1997 წ ძალაშია - 10.12.1997 წ.**

**თავი 23 - ოჯახის დაგეგმვა**

**მუხლი 142**

**1. ადამიანის კლონირება გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით აკრძალულია.**

**2. სახელმწიფო აკონტროლებს გამოკვლევებს გენური ინჟინერიის სფეროში კანონით დადგენილი წესით.**

ხასიათს ატარებს, რისი დასტურიც არის სიძულვილისა და მანკიერების პროპაგანდის ნიაღვარი, რომელიც მოედინება ყოველ ადამიანზე მასიური ზემოქმედების საშუალებებით.

თუ ხელისუფლება აცნობიერებს რა შეიძლება მოყვეს ამ საშიშ ტენდენციებს, საჭიროა სასწრაფოდ იქნას მიღებული მკვეთრი ზომები, პირველ რიგში, საინფორმაციო სივრცეში. უზნეობისა და სიძულვილის პროპაგანდის აკრძალვა არ არის ანტიდემოკრატიული ქმედება, პირიქით, ადამიანის მოსპობისკენ მიმართული პროპაგანდა დღეს უკვე გენოციდის ხასიათს ატარებს. ამას იმ სამწუხარო ციფრებითაც დაგიდასტურებთ, რომლებიც მოვიპოვეთ ხელისუფლებისათვის ყველაზე კომპეტენტური წყაროებიდან.

ზნეობრივი ცხოვრების წახალისებით ყველა დონეზე, პირველ რიგში განათლების სისტემაში ქრისტიანული აღზრდის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გამოყენების მეშვეობით, მოზარდ თაობაში მაღალი ზნეობრივი კრიტერიუმების ჩამოყალიბებით მნიშვნელოვანწილად თავიდან იქნება აცილებული ნარკომანია, ვენერიული დაავადებები, დანაშაულებრივი ქმედებები, კრიმინალური მენტალიტეტი. ზნეობრივად განწონასწორებული თაობის აღზრდა ხელს შეუწყობს კორუფციის აღმოფხვრასაც, დადებით ეკონომიკურ ძვრებსაც, ძლიერი და ჯანმრთელი ადამიანების მატებასაც, ოჯახურ სიმტკიცესაც და მრავალშვილიანობასაც, რაც აუცილებლად დადებითად აისახება დემოგრაფიულ სიტუაციაზე და მძლავრ იმპულსს მისცემს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

ახალგაზრდების ზნეობრივ აღზრდას ყველაზე მეტად ეკლესია და ეკლესიური ცხოვრება უწყობს ხელს. ქრისტიანებისთვის ოჯახი — მცირე ეკლესიაა, თავისი სიწმინდით, ერთგულებით, სიყვარულით, ღვთისა და მოყვასისათვის თავგანწირვით, რაც ადამიანთა პიროვნული თავისუფლების, ურთიერთსიყვარულისა და ამის შედეგად ბედნიერების განცდის მომტანია, რაც თავისთავად ხელს უწყობს რეპროდუქციულ ჯანმრთელობას.

ამის საპირისპიროდ, ოჯახის ცნებაში უზნეო ურთიერთობების მოთავსება, მანკირი ცხოვრების წესის დამკვიდრება — საზარელი შედეგების წინაშე დაგვაყენებს.

ჩვენ ვდგავართ არჩევანის წინაშე — ვასწავლოთ ბავშვებს „უსაფრთხო სექსი“ და შიდსისგან „თავის დაცვა“, თუ ვასწავლოთ მათ ცოდვისაგან თავშეკავება და მანკიერებათაგან თავის დაცვა! ამ არჩევანის წინაშე ნორმალურ საზოგადოებაში არც უნდა დაიყენო თავი. ხომ ცალსახად ნათელია, რომ ცოდვისაგან თავშეკავება და მანკიერებათაგან თავის დაცვა გაცილებით უფრო ეფექტურია ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნისთვის, როგორც დემოგრაფიულად, ასევე ეკონომიკურად და ფსიქოლოგიურად. სამწუხაროდ, დღეს ამის დამტკიცება გვჭირდება.

ერთიც უნდა აღვნიშნოთ — არ არის მალთუსი მართალი! „ზედმეტი“ მოსახლეობის გამო კატასტროფების საშიშროების შესახებ თეორია ცრუა! ეს მრავალმა მეცნიერმა დაამტკიცა. ერთერთი მათგანია მსოფლიოში ცნობილი მეცნიერ დემოგრაფი-ეკონომისტი კოლინ კლარკი.

**კანონი 1139-ის - საქართველოს კანონი «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ»**
**მიღებულია - 10.12.1997 წ ძალაშია - 10.12.1997 წ.**

**თავი 23 - ოჯახის დაგეგმვა**

**მუხლი 143**

**1. ექსტრაკორპორული განაყოფიერება ნებადართულია:**

**ა) უშვილობის მკურნალობის მიზნით, აგრეთვე, ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა;**

**ბ) თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის („სუროგატული დედის“) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის გზით. წყვილის წერილობითი თანხმობა აუცილებელია.**

**2. ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით; დონორს ან „სუროგატულ დედას“ არა აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება.**

მან შეისწავლა განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე პროცესები და დაადგინა, რომ მთლიანი პროდუქციის მატება ერთ სულ მოსახლეზე მით უფრო დიდია, რაც უფრო სწრაფად იზრდება მოსახლეობის რიცხვი. საინტერესოა, რომ ჩინეთსა და ინდოეთში, რომელთა „დე-

მოგრაფიულ კორექციას“ ყველაზე მეტად ცდილობენ, არც თუ ისე დიდი სიმჭიდროვეა მოსახლეობისა. ინდოეთში, მაგალითად, იგივეა, რაც ინგლისში, ხოლო ჩინეთში 2,5-ჯერ ნაკ-

**კანონი 1139-Iს - საქართველოს კანონი «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ»**
**მიღებულია - 10.12.1997 წ ქალაქია - 10.12.1997 წ.**

**თავი 23 - ოჯახის დაგეგმვა**

**მუხლი 144**

**ხელოვნური განაყოფიერების მიზნით შესაძლებელია გაყინ-ვის მეთოდით კონსერვირებული ქალის და მამაკაცის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენება. კონსერვაციის დრო განისაზღვრება წყვილის სურვილისამებრ, დადგენილი წესით.**

ლებია, ვიდრე ინგლისში.

1987 წელს სამხრეთ კორეაში მოსახლეობის სიმჭიდროვე 4-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ჩინეთში, ხოლო მთლიანი ეროვნული პროდუქტი სამხრეთ კორეაში 7-ჯერ აღემატებოდა ჩინეთისას.

კოლინ კლარკმა გააანალიზა დედამიწაზე არსებული სახნავი მიწების რაოდენობა, მათი დამუშავების შესაძლებლობები და დაადგინა, რომ სოფლის მეურნეობის მაღალტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით ჯერ კიდევ ათი წლის წინ შესაძლებელი იყო 35,5 მლრდ მოსახლეობის გამოკვება, თუ ამერუკელი კვების სტანდატრებით ვიანგარიშებთ. თუ იაპონური რაციონით გამოიკვებება მოსახლეობა 105 მილიარდის დაპურება შეიძლება.

კლარკის გამოკვლევებს ეხმიანება ჰარვარდის დემოგრაფიული კვების ცენტრის ყოფილი დირქტორი როჯერ რეველი. მისი

**კანონი 1139-Iს - საქართველოს კანონი «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ»**
**მიღებულია - 10.12.1997 წ ქალაქია - 10.12.1997 წ.**

**თავი 23 - ოჯახის დაგეგმვა**

**მუხლი 145**

**ნებაყოფლობითი ქირურგიული კონტრაცეფციის-სტერილიზაციის გამოყენება ნებადართულია:**

**ა) მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ;**

**ბ) თუ არსებობს პაციენტის წერილობითი მოთხოვნა;**

**გ) თუ პაციენტს ექიმმა ჩაუტარა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან სტერილიზაციამდე გასულია ერთი თვის მოსაფიქრებელი ვადა;**

**დ) თუ პაციენტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.**

გამოანგარიშებით მსოფლიო სოფლის მეურნეობას შეუძლია გამოკვებოს (2500 კალ/დღეში) 40 მილიარდი ადამიანი.

რაც შეეხება დანაშაულს — მოსახლეობის სიმრავლე არ ზრდის მას, უფრო პირიქით. ამის დამადასტურებელი ციფრები და გამოკვ-

ლევებიც მრავლად არსებობს, მაგამ მოხსენებისთვის გამოყოფილი დროის სიმცირის გამო თავს შევიკავებდი ამ საკითხებზე საუბრისგან.

ბოლოს მოგაწვდით დემოგრაფიულ სტატისტიკასა და დემოგრაფიულ პროგნოზს, რომელიც ამოღებულია გაეროს მოსახლეობის ფონდის დაკვეთით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მიერ, ორგანიზაციათა — „პარტნიორობა სოციალური ინიციატივისათვის“ და „საზოგადოების კვლევის ცენტრის“ მონაწილეობით 2003 წელს შესრულებული ნაშრომიდან. 2003 წლის შემდეგ დემოგრაფიული კვლევის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოვახერხე.

2002 წელს საქართველოს ტერიტორია 69.5 ათას კვ.კმ მოიცავს, მოსახლეობა 4601,5 ათას ადამიანს შეადგენს (მონაცემი მოიცავს სახლმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრს), მოსახლეობის სიმჭიდროვეა 66,2 ადამიანი 1 კვ. კმ-ზე.

1999 წელს აზერბაიჯანის ტერიტორიაა 86,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 7953,4 ათასი ადამიანი, სიმჭიდროვე — 92,0 ადამიანი 1 კვ.კმ.

2001 წელს სომხეთის ტერიტორიაა 29,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3213,0 ათასი ადამიანი სიმჭიდროვე — 107,8 ადამიანი 1 კვ.კმ.

1998 წელს თურქეთის ტერიტორიაა 774,8 ათ. კვ.კმ. მოსახლეობა — 61800,0 ათ. ადამიანი, სიმჭიდროვე — 79,8 ადამიანი 1 კვ.კმ.

2050 წლისთვის ყველაზე მაღალი პროგნოზით საქართველოს მოსახლეობა იქნება 3848 ათასი ადამიანი, საშუალო პროგნოზით — 3270 ათასი, დაბალი პროგნოზით — 3007 ათასი. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ უფრო მოსალოდნელია საშუალო პროგნოზის გამართლება.

ყველა პროგნოზით სიკვდილიანობა აღემატება დაბადებას — მაღალი პროგნოზით 2050 წელს მოსახლეობის მატება იქნება — მინუს 0,23; საშუალო პროგნოზით — მინუს 1,01; დაბალი პროგნოზით — მინუს 1,16. თუ არ შეწყდა უზნეობისა და „ოჯახის დაგეგმვის“ პროპაგანდა ეს ციფრები კიდევ უფრო გაიზრდება უარყოფითი მიმართულებით და მე აღარ ვიცი ვის დარჩება დაგებული გზები და შეღებილი ფასადები.

არასწორია გამონათქვამი: „მთავარია ჯანმრთელობა“. რაც არ უნდა ჯანმრთელი იყო მაინც მოკვდები!

მთავარია საუკუნო სიცოცხლე. როგორ დავიმკვიდროთ იგი? ამას ქრისტეს მიერ დაარსებული ეკლესია გვასწავლის. აი, ჭეშმარიტი ორიენტირი.

**5-6 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ ᲙᲝᲓᲝᲠᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲛᲐ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲙᲝᲓᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲡ - ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲓᲐᲔᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲘᲥᲐᲣᲠᲝᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲘᲗ ᲐᲛ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲕᲠᲡ. ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡᲚ ᲙᲝᲓᲝᲠᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲔᲡᲔ ᲛᲝᲜᲐᲖᲝᲜ ᲨᲣᲨᲐᲜᲘᲙᲗᲐᲜ (ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ).**

***— როგორ აღმოჩნდით თავდაპირველად კოდორში?***

— კოდორში მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით ვიყავი დაახლოებით 4-5 წლის

მამა ანდრიას საფლავი

წინ. იქ ვიცხოვრე 2 წელი, შემდეგ სამთავროს დედათა მონასტერში გადამიყვანეს, ბოლოს, აფხაზების შემოსვლის შემდეგ, კვლავ დავბრუნდი კოდორში. დედათა და მამათა მონასტრები, უწმიდესის ლოცვა-კურთხევით დარჩა კოდორში. ჩვენ გვიბარებდნენ, უნდა წახვიდეთო კოდორიდან, მაგრამ პატრიარქის კურთხევითა და თანადგომით არ ვტოვებდით მონასტრებს.

**მამა ზაბულონი (კვირკველია), კოდორის წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი:** აფხაზები რომ ამოვიდნენ, ყველა სახლი დაცხრილეს. ჩვენს სახლებსაც ესროლეს, მაგრამ როცა შეიტყვეს, რომ სასულიერო პირები ვიყავით, დროებით თავი დაგვანებეს.

***— კოდორში ასვლისას რა სიტუაცია დაგხვდათ?***

— აქედან წავედით მე და მამა ბიძინა, ღვთაების მონასტრიდან. მამა გიორგის მანქანით ჭუბერის უღელტეხილზე გადავედით. დედათა მონასტერში სამნი დაგვხვდნენ, მამათა მონასტერში კი მამა ზაბულონი და

ახალი ათონი

რამდენიმე ბერი. მონასტრები მეზობელ სახლებში იყო განლაგებული. მამები წულუკიძეების სახლში ცხოვრობდნენ, დედები — მონასტერში, რომელიც ადრე ასევე წულუკიძეებს ეკუთვნოდა. ბოლო დროს ოთხნი ვცხოვრობდით — მე, დედა თეონა, დედა ფოტინე და მორჩილი რებეკა.

***— შემდეგ რა მოხდა, რატომ მოგიწიათ წამოსვლა?***

— ჩვენი წამოსვლის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ აფხაზებს არ სურთ კოდორში საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული მონასტრების არსებობა და საერთოდ, უნდათ, რომ იქ, რაც შეიძლება ნაკლები ქართველი ცხოვრობდეს. ჩვენ არ გვინდოდა მონასტრების დატოვება, აფხაზების ე.წ. უშიშროების მინისტრმა, მამები სოხუმში დაიბარა.

**მამა ზაბულონი:** ჯერ ე.წ. თავდაცვის მინისტრთან მიგვიყვანეს, შემდეგ ე.წ. უშიშროების მინისტრთან. მინისტრი გაცეცხლებული დაგვხვდა, სულ მუშტებს ურტყამდა მაგიდაზე. არ მაინტერესებსო თქვენი არაფერი, ახლავე უნდა დატოვოთო კოდორი. ცალ-ცალკე დაგვკიხეს, უნდოდათ ერთმანეთზე ცუდი გვეთქვა.

***— თქვენ ჩაგიყვანეს სოხუმში დასაკითხად?***

— არა, ჩვენც მივყავდით, მაგრამ მამებმა სთხოვეს, დედები დატოვეთო. სოხუმიდან არცერთი დაბრუნებულა კოდორში. მამებს დატოვებული ჰქონდათ წინასწარ მომზადებული ტარიგები, უნდა ეწირათ და თხოვეს წირვას ჩავატარებთ და წავალთო, მაგრამ უპასუხეს — ჩვენ მივხედავთო. ბარგი დაგვრჩაო, — ესეც უთხრეს, მაგრამ არაფრით არ მისცეს აფხაზებმა მამებს კოდორში დაბრუნების უფლება. ჩვენი სასულიერო პირები ჩავლენო, ტარიგს გადმოასვენებენო, დედები კი ბარგს მიხედავენო. ერთი სიტყვით, მამები მთელი დღის მანძილზე სოხუმში იმყოფებოდნენ, საღამოსთვის კი ენგურს აქეთ გადმოსვეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დედებს გვეუბნებოდნენ, თქვენს წასვლაზე არ არისო საუბარი, ალბათ დარჩებითო. გამგებელმაც გვითხრა, რომ მხოლოდ მამების გამოძევებაზე ჰქონდა ინფორმაცია. მაგრამ ჩვენც მოგვაკითხეს.

მეუფე დანიელმა გვითხრა — სთხოვეთ, იქნებ აღდგომამდე მაინც დაგტოვონო, მაგრამ მათ არაფრის გაგონება არ სურდათ. გვითხრეს, გამორიცხულიაო თქვენი აქ დარჩენა, დილით მოვლენ და წაგიყვანენო, საეკლესიო ნივთებსაც გაგატანინებთო. ჩვენც ავიბარგეთ.

მართლაც, დილით, ექვსი მანქანა მოვიდა. კბილებამდე შეიარაღებულები იყვნენ, ჯავშანჟილეტებში. მათ ორი სასულიერო პირი ახლდათ, მათგან ერთ-ერთი ახალი ათონის მონასტრის აფხაზი წინამძღვარი მამა ეგნატე. რომ მოვიდნენ, დედა თეონამ ვერ შეძლო თავის შეკავება, ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა რამე, — მოდიან, მონასტრიდან სასულიერო პირებს ყრიანო. დედა თეონამ იქ მყოფ უფროსს დაუწყო საუბარი, — რატომ გვყრით აქედან, სად მიგყავართ, რატომ უნდა წამოგყვეთო, ამიხსენითო. მან უპასუხა, რომ მე რასაც მიბრძანებენ იმას ვაკეთებ და ჩემი ნება რომ იყოს, ასე არ მოვიქცეოდიო.

ამასობაში მამა ეგნატე დადიოდა ტაძარში, რაღაცეებს ათვალიერებდა, თან ყურადღება ჩვენსკენ ჰქონდა მოპყრობილი. მან უთხრა დედა თეონას, ხმის ამოღების უფლება არა გაქვსო, რასაც გეუბნებიან ის გააკეთეთო, ჩვენია აქაურობა და წადით აქედანო. ამ მონასტერში ამიერიდან მე ვივლი და წირვა-ლოცვებსაც მე ჩავატარებო. დედა თეონამ არ მიაქცია მას ყურადღება და განაგრძობდა საუბარს.

აფხაზებს ეგონათ, შეგვაშინებდნენ, ჩვენგან ამ წინააღმდეგობას არ ელო-

ახალი ათონის სამრეკლო

დნენ და გაკვირვებული გამომეტყველება ჰქონდათ. თავიდან რაღაც შემართულნი, გაბრაზებულები მოვიდნენ, ბოლოს ჩვენი სიმტკიცით ისე გაოცდნენ, თითქოს სინდისმაც შეაწუხათ და სახეზეც სინანული დაეტყოთ.

წამოსვლის წინ ორივე მხრიდან მოხდა საეკლესიო ნივთების აღწერა. მამა გიორგიმ თქვა, — ამ სიწმინდეების (პირველშეწირული ტარიგების) გადმოსვენებით და გამოტანით, ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ამ მხარემ მადლი დაკარგა და თვით უფალმა მიატოვაო. ყველას ეს განცდა გვქონდა.

***— ამჟამად თუ არიან ქართველები კოდორში?***

— დიახ. არიან. მაგალითად მამა გიორგის მოხუცი მშობლები, მისი და. ქართველების დაახლოებით 10-20 პროცენტია დარჩენილი.

***— მოახერხეთ თქვენი ძმის, მამა ანდრიას საფლავზე გასვლა კომანში?***

— დიახ. რვა დედმამიშვილისგან მხოლოდ მე მოვახერხე საფლავის ნახვა, თანაც ამდენი წლის შემდეგ. როცა ჩავედი კოდორში დაახლოებით ორ თვეში მოხერხდა ჩემი მისვლა მამა ანდრიას საფლავთან.

***— თუ გეხმარებოდათ ვინმე?***

— აფხაზები დაგვეხმარნენ. ისინი რომ არა საშიში იქნებოდა იქ ჩვენი სიარული.

***— თუ არის კომანში მოსახლეობა?***

— კომანი ფაქტობრივად დაცარიელებულია, მხოლოდ აქა-იქ ჩანდა რამდენიმე მოსახლე.

***— დედაო, რა მდგომარეობაშია მამა ანდრიას საფლავი? თუ უვლის მას ვინმე?***

— მამა ანდრიას საფლავი ტაძრის გვერდითაა, ტაძრის ეზოში შესვლისთანავე შეამჩნევ მას. მეც, როცა შევედი და დავინახე, მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს მამა ანდრიას საფლავი იქნებოდა. საფლავი მოვლილი მომეჩვენა, მართალი გითხრათ, მეგონა უფრო უარეს მდგომარეობაში დამხვდებოდა.

***— თვითონ კომანში რას ამბობენ მამა ანდრიას შესახებ?***

— განსაკუთრებულად ბევრს არაფერს ამბობენ, თუმცა ყველაფერი იციან. მაგალითად, კოდორიდან რომ მოვდიოდით, მამა ეგნატემ მოკრა თვალი მამა ანდრიას გადიდებულ ფოტოს, დააკვირდა და თქვა, — ეს, მეცნობაო. დედა თეონამ უთხრა, რომ ეს ის ადამიანია, თქვენებმა რომ დახვრიტესო. ეს მისი და არისო, ჩემზე მიუთითა, დღეს კი მამა ანდრიას დაბადების დღეაო. მამა ეგნატემ უპასუხა — ეგ ამბავი გამიგიაო, — და ვითომ თანაგრძნობით შემომხედა.

***— მოგვიყევით რაიმე მამა ანდრიას შესახებ.***

— ჩემი და მამაოს ურთიერთობა იყო რაღაც განსაკუთრებული. მე ყოველთვის მიხაროდა მის გვერდით ყოფნა, თითქოს დაცული ვიყავი, ის ჩემზე მზრუნველობდა, მომიწოდებდა წესიერებისაკენ. არ მინდოდა რომ სადმე წასულიყო, მსურდა სულ გვერდით მყოლოდა და ასე იყვნენ დანარჩენებიც. მას რაღაც განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა ყველასა და ყველაფრის მიმართ. ერთხელ სკოლიდან მოვდიოდით, მე რაღაცაზე გაბრაზებით ვლაპარაკობდი, მამამ მითხრა, — რას ლაპარაკობ თუ გესმის, მასეთი რაღაცეები აღარ თქვაო. თუ რაიმე კარგი ვისწავლე ბავშვობაში, ეს მისი წყალობით.

ტაძარი წმ. მოციქულ სიმონ კანანელის საფლავზე

***— როცა ბერად აღიკვეცა, რა რეაქცია გქონდათ ოჯახის წევრებს?***

— მე მაშინ ერში ვცხოვრობდი და ცოტა უხეშად შევხვდი ამ ამბავს. არ ვიყავი ეკლესიური და არ მესმოდა. გავუბრაზდი კიდევაც. ეს

კამანი.
წმ. ვასილისკოს წყარო

მონაზონი შუშანიკი
მამა ანდრიას საფლავზე

ეგოიზმია-თქო, შენ გინდა იყო სადღაც კარგად, მხოლოდ შენს თავზე იფიქრო, ცხოვრება მოიწყო, არ გეცოდებით რომ გვტოვებო. დედაჩემი სხვაგვარად მიუდგა ამ საკითხს — შენ თუ ასე გადაწყვიტე და თვლი, რომ იქ კარგად იქნები, მაშინ მეც ეს გამეხარდებაო. აი, ასეთი განწყობით მიიღო დედამ ეს ამბავი.

***— როგორ გაიგეთ მამა ანდრიას დახვრეტის ამბავი?***

— დახვრეტის ამბავი პირველად მამაჩემმა გაიგო, რადიოთი. იმ პერიოდში ჩვენ სასულიერო პირთა ხარისხებში ვერ ვერკვეოდით. უბრალოდ ვიცოდით, რომ მას ანდრია ერქვა. ჩვენ იმედს ვიტოვებდით, რომ იქნებ სხვა მღვდელ-მონაზონ ანდრიაზე იყო საუბარი. მოკლედ, ერთი თვე გავიდა, მაგრამ ამ ამბის დაჯერება არ გვინდოდა. ბოლოს, საპატრიარქოში მივედით და დედა უწმინდესმა ანუგეშა...

***— მამა ანდრიასთან დაკავშირებით ბევრი ადამიანი ყვება სხვადასხვა სასწაულების შესახებ...***

— მე ვიცი, რომ ის ვინც მას ესროლა, ნაღმზე აფეთქდა, ხელ-ფეხი მოწყდა და გადარჩა. როგორც ჩანს, უფალმა სიცოცხლე დაუტოვა, თავის საქციელს რომ მიმხვდარიყო და სინანული გაჩენოდა. მორჩილი მარიამი (ანუა) იხსენებს, როცა მამა ანდრიას საფლავთან ყოფილა, შეიარაღებული აფხაზები მისულან. აგრესიულები იყვნენ თურმე, უფიქრია — ყველაფერზე წამსვლელები არიანო. მამა ანდრიას ვთხოვეო შეწევნა და მფარველობა. სწორედ ამ დროს მოხდა ისე, რომ სადღაც სროლა ატყდა და აფხაზებიც გაიფანტნენ.

***— 8 დედმამიშვილისგან, როგორც ვიცით, ხუთნი ხართ სასულიერო პირები, მამა ანდრიას ჩათვლით და ალბათ ესეც მამაოს შემწეობითა და მეოხებით?***

— დიახ. დედმამიშვილებიდან ერთი ძმა მღვდელ-მონოზონია, ერთი მღვდელი, და ორნი ვართ მონაზონი და სამონაზვნე. პირადად ჩემზე შემიძლია ვთქვა, რომ ზუსტად მამა ანდრიას ლოცვებმა და შემწეობამ მიმაღებინეს ეს გადაწყვეტილება. ადრე სულ სხვა ცხოვრებით ვცხოვრობდი, ფეხბურთით ვიყავი გატაცებული და საერთოდ არ მიფიქრია სასულიერო პირი გავმხდარიყავი. ძალიან შორს ვიყავი ეკლესიური ცხოვრებიდან. როცა მამა ანდრია გარდაიცვალა, მივხვდი, რაღაც ისეთი უნდა გამეკეთებინა, რაც მის სულს გაახარებდა და სწორედ ამიტომ წავყევით ჩვენ სულიერ მოძღვარს, მამა გრიგოლს (ამჟამად მეუფე სპირიდონს) მე და ჩემი ძმა ზესტაფონში, სასულიერო სასწავლებელში. ისე მოხდა, რომ ზესტაფონიდან სამთავროში მოვხვდი, სადაც მალე მორჩილად მაკურთხეს. ვგრძნობ და ვხვდები, რომ ეს ყველაფერი მამა ანდრიას შემწეობით მოხდა.

**დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. ღმერთმა ინებოს, რომ სულ მალე დაბრუნებულიყავით თქვენს მონასტერში.**

ესაუბრა
მარიამ მეშველიანი

სოხუმი. მეუფე სერაფიმეს დედასთან

# ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲐᲚᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲐᲓ

## (რჩევები მშობლებს)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2(3)-№3(4))

დედაენის ძეგლთან ბავშვებს წააკითხეთ ირაკლი აბაშიძის ლექსი „ხმა კატამონთან“, იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

შეახსენეთ, რომ მსოფლიოში 3 000-მდე ენაა და მხოლოდ 14 ანბანი.

შეახსენეთ, რომ ქართველებს ერთის ნაცვლად 3 ანბანი გვაქვს და, რაც მთავარია, ქართული ანბანი შეუდარებელია იმით, რომ ერთ ბგერას ერთი ასონიშანი შეესაბამება. მსგავსი რამ არცერთ სხვა ენაში არ არის. ძველ ქართულში იყო ერთადერთი ასო „უ“, რომელსაც ორი ნიშანი ჰქონდა და ეს ხარვეზი X ს-ში შესწორდა.

ქართული ანბანი გამორჩეულია იმითაც, რომ ზუსტად ისე იკითხება, როგორც იწერება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ჩვენს ენას არასოდეს ახასიათებდა ტომობრივ-კუთხობრივი ნიშანი. ე.ი. საქართველოს ერთ კუთხეში შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვა მეორე კუთხეში შეეძლოთ თარგმანის გარეშე. ამასთან ქართული იყო არა მარტო სალიტერატურო, არამედ სახელმწიფო და საეკლესიო ენაც. ამ ენაზე აღესრულებოდა წირვა-ლოცვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ყველა მხარე თუ კუთხე, ყველა ტერიტორია, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად აღესრულებოდა, საქართველოდ მიიჩნეოდა.

ამას ნიშნავს გიორგი მერჩულეს სიტყვები: **„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხებისა, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულებისა.“** (უბის წიგნაკში შეატანინეთ ეს სიტყვები.)

**რუკაზე მოხაზეთ საქართველოს წინა საუკუნეთა ტერიტორიები და შეადარეთ იგი დღევანდელს.** იმსჯელეთ როდის და რა მიზეზებით დავკარგეთ ჩვენი მიწა-წყალი.

ისაუბრეთ ენის სიწმინდის აუცილებლობაზე, რაზეც ჯერ კიდევ დიდი ილია გვაფრთხილებდა: **„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს.“**

სთხოვეთ ბავშვებს თვალყური მიადევნონ, რამდენად ვუფრთხილდებით ამ საუნჯეს. დააკვირდნენ, როგორ მეტყველებენ თანატოლები, უფროსები, ასაკით მათზე პატარები ოჯახში, ქუჩასა თუ საზოგადოებაში, მათ შორის ტელე-რადიო გადაცემებში. სთხოვეთ, ჩაინიშნონ არასწორად გამოყენებული სიტყვები, აღმოაჩინონ გრამატიკული შეცდომები ან შეცდომები წინადადების წყობაში (მაგ: „5 000 საქართველოს მოქალაქის“ ნაცვლად უნდა

| | | | |
|---|---|---|---|
| ა | ᲐᲐ | ᲐᲐ | 1 |
| ბ | ᲑᲑ | ᲑᲑ | 2 |
| გ | ᲒᲒ | ᲒᲒ | 3 |
| დ | ᲓᲓ | ᲓᲓ | 4 |
| ე | ᲔᲔ | ᲔᲔ | 5 |
| ვ | ᲕᲕ | ᲕᲕ | 6 |
| ზ | ᲖᲖ | ᲖᲖ | 7 |
| თ | ᲗᲗ | ᲗᲗ | 8 |
| ი | ᲘᲘ | ᲘᲘ | 9 |
| კ | ᲙᲙ | ᲙᲙ | 10 |
| ლ | ᲚᲚ | ᲚᲚ | 30 |
| მ | ᲛᲛ | ᲛᲛ | 40 |
| ნ | ᲜᲜ | ᲜᲜ | 50 |
| Ო | ᲝᲝ | ᲝᲝ | 60 |
| Პ | ᲞᲞ | ᲞᲞ | 70 |
| Ჟ | ᲟᲟ | ᲟᲟ | 80 |
| Რ | ᲠᲠ | ᲠᲠ | 90 |
| რ | ᲡᲡ | ᲡᲡ | 100 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ს | ᲢᲢ | ᲢᲢ | 200 |
| ტ | ᲣᲣ | ᲣᲣ | 300 |
| Უ | ᲤᲤ | ᲤᲤ | |
| უ | ᲥᲥ | ᲦᲦ | 400 |
| ფ | ᲧᲧ | ᲨᲨ | 500 |
| ქ | ᲩᲩ | ᲪᲪ | 600 |
| ღ | ᲫᲫ | ᲬᲬ | 700 |
| ყ | ᲭᲭ | ᲮᲮ | 800 |
| შ | ᲯᲯ | ᲰᲰ | 900 |
| ჩ | ᲱᲱ | ᲲᲲ | 1000 |
| ც | ᲳᲳ | ᲴᲴ | 2000 |
| ძ | ᲵᲵ | ᲶᲶ | 3000 |
| წ | ᲷᲷ | ᲸᲸ | 4000 |
| ჭ | ᲹᲹ | ᲺᲺ | 5000 |
| ხ | ᲻᲻ | ᲼᲼ | 6000 |
| ჯ | ᲽᲽ | ᲾᲾ | 7000 |
| ჰ | ᲿᲿ | ᳀᳀ | 8000 |
| ჱ | ᳁᳁ | ᳂᳂ | 9000 |
| ჲ | ᳃᳃ | ᳄᳄ | 10000 |

იყოს „საქართველოს 5 000 მოქალაქე“) და სხვა. იმსჯელონ მათ მიერ დაფიქსირებულ შეცდომებზე ერთმანეთთან და უფროსებთან.

**ეწვიეთ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს**. გაეცანით იქ დაცულ საგანძურს, ჩვენი დიადი კულტურის მეტყველ ნიმუშებს.

**შეძლებისდაგვარად, დეტალურად შეისწავლეთ ქალაქი-ნაკრძალი მცხეთა:** ჩვენი სიამაყე — სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი, არმაზი, გელათი

ყოველი ექსკურსიისა თუ მოლოცვის წინ წააკითხეთ, ან მოუყევით შესაბამისი მასალა, ხოლო სახლში დაბრუნებისას, სთხოვეთ გადმოსცენ შთაბეჭდილებები რაიმე ფორმით: ლექსით, მოთხრობით, ნახატით, მუსიკით, ნაძერწით... ოჯახის დანარჩენ წევრებთან ერთად განიხილეთ მათი ნამუშევრები, ზომიერად შეაქეთ და აღძარით უკეთესი ნიმუშების შექმნისათვის.

**ესაუბრეთ სამყაროს მშვენიერებაზე**, მასში არსებულ წესრიგსა და ჰარმონიაზე. ჰკითხეთ რამდენი მილიარდი გალაქტიკაა სამყაროში და რამდენი ვარსკვლავია თითოეულში? როგორ მოძრაობენ ისინი, ქაოტურად თუ მკაცრად დადგენილი წესით? ესაუბრეთ ცხოველებისა და ფრინველების ნაირგვარობაზე, მათი ქცევების უცნაურობებზე. აჩვენეთ განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის. აჩვენეთ მცენარეული საფარის სილამაზე... ყოველ ქმნილებაში დაანახეთ ღვთის არსებობა და ერთად გამოხატეთ შემოქმედისადმი მადლიერება, ბრძნულად მოწყობილი სამყაროს გამო.



**ხშირად ესაუბრეთ მსგავსება-განსხვავებაზე სულსა და სხეულს შორის**. დაუსვით კითხვები: ესაჭიროება თუ არა სულს კვება და სამოსი? ჭუჭყიანდება თუ არა იგი? რას ვიყენებთ სხეულის გასასუფთავებლად (ჩამოათვლევინეთ ეს საშუალებები)? შეიძლება თუ არა იმავე საშუალებებით სულის გასუფთავება? როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ სული გავისუფთაოთ? რომელი უფრო ადვილად სუფთავდება: სული თუ სხეული? რატომ არის სული უმთავრესი?

ჩამოათვლევინეთ სულისათვის სასარგებლო საკვები: ლოცვა, წმიდა წერილის კითხვა, ხალხური სიმღერები და საგალობლები, კლასიკური მუსიკა, ზნეობრივი ლიტერატურა და ზნეობრივი ტელე-რადიო გადაცემები. ალაპარაკეთ რას განიცდიან თვითონ და თავიანი თანატოლები საშინელებათა ფილმების ყურებისას და როგორ უნდა დავაღწიოთ თავი უარყოფით ემოციებს.

უბის წიგნაკში ჩააწერინეთ შაჰ-აბასის სიტყვები: **„რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც სული სხეულზე მაღლა დაუყენებია. ჯერ სული უნდა დაუმდაბლო და მერე ადვილია მისი დამონება“.**

გაახსენეთ, რატომ არ სჭირდებოდათ ადამსა და ევას ტანსაცმელი სამოთხეში. ერთად გააკეთეთ დასკვნა — სულის სამოსია ქრისტეს მოძღვრება ანუ სწავლება, მისი მცნებებით ცხოვრება. კიდევ ერთხელ, გამოკვეთილად გაუსვით ხაზი, რომ სულს, ისევე, როგორც სხეულს, ესაჭიროება ჯანსაღი საკვები, სამოსი და გასუფთავება.

სულსა და სხეულზე (აგრეთვე სხვა საკითხებზე) საუბრისას მოიშველიეთ სხვადასხვა სქემები და დიაგრამები („ვენის დიაგრამა“, T-დიაგრამა...), ხატვა. მათი დახმარებით ბავშვები უკეთ ითვისებენ მასალას.

ასწავლეთ შვილებს, რა არის ბედნიერება.

ზოგიერთი ადამიანი ბედნიერებას მატერიალურ სიმდიდრეში ეძებს და, როდესაც მას მოიპოვებს, სრულ სიხარულს მაინც ვერ განიცდის, თითქოს რაღაც აკლია, მაგრამ ვერ მიუგნია, რა არის ის „რაღაც“.

ეკლესიის სწავლებით, სრული ბედნიერებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ბუნებრივი, ინტელექტუალური თუ ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ყოველივე ამასთან ერთად, აუცილებელია ზრუნვა სულიერ მოთხოვნილებაზე.




ეს უკანასკნელი გულისხმობს უფალთან პიროვნულ ურთიერთობას, მის წიაღში ყოფნას, მისი სიახლოვის მუდმივ განცდას. ამის გარეშე პიროვნება შინაგანად წუხს და ცხოვრება უაზროდ ეჩვენება.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს:

„ყველაზე დიდი ბედნიერება მადლმოსილებაა, ხოლო მადლმოსილი ისაა, ვისთანაც უფალია. უფალთან ყოფნის, მისი სიახლოვის განცდის სიხარულს ვერანაირი სხვა სიხარული ვერ შეედრება“.

თუ როგორ უნდა გახდეს ადამიანი მადლმოსილი, როგორ უნდა მოიპოვოს ღვთის წყალობა, უწმიდესი ამასაც გვასწავლის. „მადლი ადამიანს ეძლევა მარხვით, ლოცვით, კეთილი საქმითა და თავმდაბლობით“ — ბრძანებს იგი.

თურმე ადამიანის გული არასდროს არის ცარიელი. თუ იგი სიკეთით არ ივსება, მაშინ გულში ბოროტება ისადგურებს. სიკეთე და ბოროტება კი ის საგზალია, რაც იმქვეყნად მიგვყვება. სხვა ყველაფერი (მათ შორის აურაცხელი სიმდიდრე) ამქვეყნად რჩება და აღარაფრად გვარგია. ამიტომაც გვმოძღვრავს პატრიარქი: „ადამიანი რასაც აკეთებს — სიკეთეს თუ ბოროტებას, თავის თავს უკეთებს“.

უწმიდესი და უნეტარესი ხშირად გვახსენებს ერთი მოხუცის სიტყვებს: „შეიძლება, ადამიანმა დაკარგოს სიმდიდრე ან ფული — ჩათვალე, რომ არაფერი დაუკარგავს; შეიძლება, დაკარგოს ჯანმრთელობა, მაგრამ ცოცხალი დარჩეს. ხოლო თუ დაკარგა მადლი ღვთისა, მას ყველაფერი დაკარგული აქვს“.

ჩააწერინეთ შვილებს ეს ბრძნული გამონათქვამები უბის წიგნაკში.

**შეეცადეთ, პატარაობიდანვე მიაჩვიოთ ბავშვები უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის რჩევების შესრულებას**. კერძოდ: ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე მუხლი მოიყარონ და ღმერთს მადლობა შესწირონ მშვიდობიანი დღის გათენებისათვის; პირად ლოცვებში ჯერ სამშობლო შეავედრონ უფალს, მერე ახლობლები და ბოლოს საკუთარი თავი; ყოველ დილით მშობლებისაგან კურთხევა ითხოვონ სიტყვებით: „დამლოცე დედა“, „დამლოცე მამა“. მოთმინებით დაელოდონ უფროსების პასუხს: „ღმერთმა დაგლოცოს შვილო“.

„ლოცვა-კურთხევას რომ მიიღებთ, ხელზე ემთხვიეთ, როგორც მოძღვარს ემთხვევით ხოლმე. ბიბლიაში წერია, რომ მშობლის კურთხევა არის კურთხევა ღვთისა!“

„ილია ჭავჭავაძის სახელობის
პედაგოგთა კავშირი“

# და მისი დამოკიდებულება თეოლოგიისადმი

*კაცი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურება ფილოსოფიას, არ უნდა უფრთხოდეს სიკვდილს, არ უნდა ჰკარგავდეს იმედს იმისას, რომ იმქვეყნად სიკვდილის შემდეგ, უზარმაზარ სიკეთეს ეზიარება.*

*(პლატონი. ედონი. თ. XIII)*

*ფილოსოფოსობაი არს მსგავსებაი ღმრთისაი ძალისაებრ კაცობრივისა..,*

*(წმ. იოვანე დამასკელი)*

წმ. იოვანე დამასკელის აზრით, რადგანაც ჭეშმარიტი სიბრძნე მხოლოდ ღმერთია, ფილოსოფიაც (სიბრძნისმოყვარეობა) სხვა არაფერია, თუ არა — ღვთის სიყვარული და მისი გადმოცემა: „ფილოსოფოსობა არს სიყვარული სიბრძნისა, ხოლო სიბრძნე ჭეშმარიტი ღმერთი არს. აწ უკუე სიყვარული ღმრთისა მიმართ — ესე არს ჭეშმარიტი სიბრძნე.“

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძველი ფილოსოფოსის „მტკიცება“ ჩვენგან დროში მისი სიშორის გამო, „მოძველებულია“, მაგრამ ეს ასე არ არის. არსებობს დიდ ფილოსოფოსთა მიერ გამოთქმული მარადიული ჭეშმარიტებანი, რომელნიც დღესაც მზესავით ანათებენ. მაგ.: კარს იასპერსი პლატონზე ასე მსჯელობს: „ჩვენ არც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფრო წინ წავედით, ვიდრე პლატონი. მხოლოდ მეცნიერული

ცოდნის დაგროვილი მასალით, რომელსაც ის იყენებდა, ჩვენ მასზე წინ ვიმყოფებით? თვით ფილოსოფიაშიც ჩვენ მას შეიძლება ვერც კი მივუახლოვდეთ.“ ალფრედ უაიტჰედი: „მთელი დასავლეთის ფილოსოფია სქოლიოთა რიგია პლატონის ფილოსოფიისა.“

ის აზრი, რომ ფილოსოფია უპირისპირდება ღვთისმეტყველებას, მხოლოდ უმეცარ ადამიანთა თავში ტრიალებს.

ლაიბნიცის ფილოსოფიიდან წმინდა ქრისტიანულს თუ ამოვიღებთ, მისგან აღარაფერი დარჩება და საერთოდაც კლასიკური ფილოსოფია, კანტის ჩათვლით ერთობ დავალებულია ქრისტიანული აზროვნებისგან. წმ. ბასილი დიდის ჰომილიებში ვკითხულობთ: „ვინც თქვა, რომ პირველად ცა და დედამიწა შეიქმნა, იგი ბევრ რამეზე გაჩუმდა, — კერძოდ წყალზე, ჰაერზე, ცეცხლზე და იმ სახეცვლილებებზე, რომლებსაც ისინი წარმოშობენ. მართალია ესენიც, რადგან სამყაროს აღვსებას ემსახურებიან, ყველასათვის ერთად შეიქმნენ, მაგრამ ისტორიამ მათ გვერდი აუარა, რათა ჩვენი გონება დამოუკიდებელ მუშაობას შეჩვეოდა და მცირეთა საფუძველზე ზოგადი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა მისცემოდა“.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ თეოლოგიას გააჩნია დისციპლინები და ესენია, მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება და ა. შ. რამეთუ წერია: „რათა ჩვენი გონება დამოუკიდებელ მუშაობას შეჩვეოდა.“ ეი. ემსჯელა და ეაზროვნა და მისულიყო გარკვეულ დასკვნამდე მეცნიერებითა და ფილოსოფიით.

ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის ერთიანობას, თითოეული მათგანის სრულყოფისათვის აუცილებლად მიიჩნევდა ცნობილი ქართველი მეცნიერი და მთარგმნელი — ეფრემ მცირე. იოვანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანისათვის წამძღვარებულ შესავალში იგი წერს: „აჰა ესერა გქონას ასნი თავნი საეკლესიონი ორმეოცდათთა თავთა მიერ საფილოფოსოთა გარეშეზღუდვილნი და არცა ესენი სრულ არიან უამათოდ და არცა იგინი უამათოდ.“

ფილოსოფია ადამიანის ცხოვრების განსაკუთრებული ფენომენია. ის არის მეცნიერება სინამდვილის უზოგადესი კანონების შესახებ, სამყაროს ყოველივე არსებულის საწყისების საფუძვლის შესახებ. ფილოსოფია ღვთის ყველაზე დიდ ქმნილებად ადამიანს მიიჩნევს. ფილოსოფოსთა უმეტესი ნაწილის აზრით, თვითშემეცნება ფილოსოფიის უმაღლესი ნაწილია.

ფილოსოფია არის მოძღვრება ღვთაებრივი და ადამიანური არსების შესახებ. ფილოსოფია ხელოვნებათა ხელოვნება და მეცნიერებათა მეცნიერებაა. ფილოსოფია არის სიბრძნის სიყვარული, ჭეშმარიტი სიბრძნე ღმერთია, ამიტომ ღვთისადმი სიყვარული არის ჭეშმარიტი ფილოსოფია.

„ვინ შეიცნობს უფლის იგავს, თუ არა ბრძენი, მეცნიერი და საკუთარი უფლის მოყვარე?!“ (იგავი 1.6.)

არისტოტელე ამბობს, რომ მეცნიერებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, როგორც რამ ჭეშმარიტი — რწმენას წარმოადგენს. იოანე სინელი ბრძანებს: „არავინ ჩავარდეს ურწმუნოებაში უცოდინარობის გამო...“

კლიმენტი ალექსანდრიელის მოძღვრებით, ფილოსოფია ცოდნის ქვესაფეხურია. იგი ღვთის სიტყვის გამოშუქება ანუ საღვთო მადლია, რაც ბერძნებს ეწყალობათ. „ფილოსოფია... არის ჭეშმარიტების ცხადი ხატი, ელინთათვის ბოძებული საღვთო ძღვენი...“

„ერთის მხრივ, ბუნებისთვის ნიშანდობლივ რამ თვისებას ფლობენ „ბრძენნი გონებითა“, ხოლო მეორეს მხრივ, უმეტესად სამეუფო სიბრძნისგან იღებენ ისინი „მგრძნობელობის სულს“. „მოუწოდე ყოველთა ბრძენთა გონებითა, რომელნი აღივსნენ სულითა მგრძნობელობისათა“ (გამ. 28,3), ცხადია, გულისხმობს ფილოსოფოსებსაც ე.ი. ფილოსოფოსები განიწვრთებიან „მგრძნობელობის სულით“. ასევე გამოსვლათა 31-



**ე თავის მე-3** მუხლში ვკითხულობთ: „და აავსე იგინი ღვთის სულით, სიბრძნით, გონებით, ცოდნითა და ხელოვნებით.“

ქრისტიანული ფილოსოფია იგივეა, რაც ღვთისმეტყველება, ამიტომ ფილოსოფოსობა ქრისტიანობაში ღმერთზე ფიქრს და მისი იმ ზომით შეცნობას ნიშნავს, რა ზომითაც ეს ადმიანის გონებას ხელეწიფება.

გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებით, ფილოსოფიური აზროვნების უნარი აქვს იმას, „ვინც ამისთვის ღმერთის დიდი განგებით არის მოწოდებული, რომელიც წინასწარ შერჩეულს ხელს უწვდის“. მისივე დახასიათებით, „ფილოსოფოსობა არის გზა ღმრთის შემეცნების მწვერვალებისკენ, განშორება სამყაროსაგან, ყოფნა ღმერთთან, აღსვლა დაბლიდან მაღლისაკენ, მოპოვება მარადიულისა მსწრაფლწარმავალის მეშვეობით“.

ანტიკურ ფილოსოფიას პეტრიწი იყენებს ქრისტიანობის მთავარი დოგმის — „ერთარსების სამებად ყოფნის“ დასასაბუთებლად. „პეტრიწის საკუთარი ფილოსოფია არის ქრისტიანული სქოლასტიკა.“

პეტრიწისათვის აუცილებელი შეიქნა ქრისტიანობის დასაბუთება. იგი მოითხოვს, რომ ფილოსოფიის არგუმენტები ზეცაში მოისმინონ „პროკლეს თეოლოგიის მეშვეობით“. მართლაც, პეტრიწი ქმნის ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის ერთგვარი უნისონის მდგომარეობას. პლატონური ფილოსოფოსობა მას ესმის, როგორც „გონებითა“ და „ხედვით“ (თეორიით) ქრისტიანობის დასაბუთების საუკეთესო საშუალება.“ ადრექრისტიანულ ეპოქაში ფილოსოფია მსჯელობიდან გამოცხადებისაკენ მიისწრაფვის, ხოლო ქრისტიანობა პირიქით — გამოცხადებიდან მსჯელობისაკენ.

თუ ფილოსოფია სიბრძნის სიყვარულია, მაშინ: „ყოველი სიბრძნე უფლისგანაა და მასთანაა უკუნისამდე (სიბრძნე ზირაქისა1.1.)“.

„უფალმა თავად შექმნა სიბრძნე, იხილა, აღნუსხა და თავის ყველა საქმეს აპკურა იგი“ (სიბრძნე ზირაქისა 1.7)

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ: ქრისტიანობა ის ერთადერთი რელიგიაა, სადაც ფილოსოფია თავის თავს პოულობს. მხოლოდ ქრისტიანობაში შეიძლება ჰპოვოს მან სავანე, თავის მისადრეკელი..

**ოთარ სხილაძე**
თბილისის სასულიერო აკადემია მე-2 კურსი

# ეპოქიალური ჭეშმარიტი ხელნაწერები

ქართულ ისტორიულ საბუთებზე, რომელიც ამავე დროს იურიდიულ ფაქტებს წარმოადგენს, მოთავსებულია ხელრთვები. ეს ხელრთვები ეკუთვნის ამ ისტორიული დოკუმენტების გამცემ პირებს, დამამტკიცებლებსა და მოწმეებს. ხელრთვა ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით ხელის მოწერა, საბუთს იურიდიულ ძალას ანიჭებდა და ქართული ისტორიული დოკუმენტების შემადგენელ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა, რომელსაც მოგვიანებით ბეჭედი ჩაენაცვლა.

ჩვენამდე მოაღწია ამა თუ იმ მეფის მიერ გაცემულმა იურიდიულმა აქტებმა, ისტორიულმა დოკუმენტებმა, რომელთაც ჩვენი სასიქადულო მეფეების ხელრთვები ამშვენებს. ეს ორიგინალური და საკმაოდ ლამაზად შესრულებული ხელრთვები მიგვანიშნებენ ქართველი მეფეების წიგნიერების მაღალ დონეზე, წერის კულტურაზე. მეფეთა ეს ხელრთვები ქართული კალიგრაფიის შესანიშავი ნიმუშებია. თუმცა, ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ასოთა მოხაზულობისა და სიდიდის მხრივაც.

ბაგრატიონ მეფეთაგან, პირველი, გიორგი II-ის სიგელია ჩვენამდე მოღწეული. იგი იყო ბაგრატ IV-ს ძე. მას მძიმე საშინაო და საგარეო ვითარებაში მოუხდა მეფობა.

ყველა დროის უდიდესი ქართველის, დიდი მხედართმთავრისა და უდიდესი მონარქის დავით აღმაშენებლის (1089-1125) ორი ხელრთვა-დამტკიცებაა ჩვენამდე მოღწეული.

დავითმა შირვანში ლაშქრობის წინ, 1124 წელს მოინახულა შიომღვიმის სამეფო მონასტერი, მივიდა თავის მიერ აშენებულ მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, მოილოცა, დაუწერა ახალი წესდება, განაახლა ძველი შეწირულობა და შესწირა ბევრი ახალიც. დავით მეფემ მონასტერზე ზრუნვა მწიგნობართუხუცეს გიორგი ჭყონდიდელს დაავალა, გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადებისაგან და მიანიჭა იმუნიტეტი. ეს ისტორიული დოკუმენტი ტექსტში ხუთ ადგილას იწოდება „ანდერძად“. როგორც მიღებული იყო იმ დროს, ანდერძის შედგენისას ტექსტი იწყება და მთავრდება დავით მეფის ხელით. ანდერძის ტექსტი დაწერილია ნუსხა-ხუცურით, ხოლო დავით მეფის მინაწერი კი დოკუმენტის თავსა და ბოლოში მხედრული დამწერლობითაა.

შიომღვიმის მონასტერში დავით აღმაშენებლის ანდერძი 8 საუკუნემდე ინახებოდა. შიომღვიმის წმინდა მამებმა ეს საბუთი, რომელიც თეთრ ეტრატზე იყო დაწერილი, თავდაპირველი და დაუზიანებელი სახით XIX საუკუნემდე მოიტანეს. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ დაიპყ-



თამარის ხელნაწერი

რო საქართველო, რუსებმა ქართლის ეკლესია-მონასტრების ქონება აღწერეს და იქ დაცული ისტორიული დოკუმენტები საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში გადაიტანეს. პირველი მსოფლიო ომის დროს თბილისზე მოსალოდნელი თავდასხმის შიშით რუსებმა 1915 წელს რამდენიმე ათასი ქართული ისტორიული ძვირფასი განძი ჩრდილო კავკასიაში გახიზნეს. ისტორიული საბუთების დიდი ნაწილი დაიკარგა. 1923 წელს აქ მხოლოდ მცირე ნაწილი ჩამოვიდა.

დავით აღმაშენებლის ანდერძის მხოლოდ მცირე ნაგლეჯი დაბრუნდა სამშობლოში. დღეს ეს თავ-ბოლო წაკვეთილი საბუთის ნაწილი საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება. 1973 წელს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდში აღმოჩნდა დავით აღმაშენებლის ანდერძის ფოტონეგატივი, რომელშიც ბოლო ნაწილი დავით მეფის ხელრთვა-დამტკიცებისა იყო.

**დავით აღმაშენებლის ხელნაწერი**

1880 წელს მღვდელმა იოსებ ახალშენაშვილმა გასანთლულ ქაღალდზე გადაიღო უძველესი მხედრული დამწერლობის ნიმუშები, მათ შორის დავით აღმაშენებლის ანდერძის თავი და ბოლოც. ეს ასლი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ანდერძის პირველი სტრიქონი დავით აღმაშენებლის ხელით იწყება ასე:

**„† თავმდებობითა ღმრთისაითა დავითს მიწყიეს“.**

ხოლო ბოლო სტრიქონში კი ხელრთვა-დამტკიცებაა:

**„† სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, დაამტკიცე მტკიცედ უქციე“.** ასოები დაწერილია ლამაზი, ძლიერი და გადაბმული ხელით, იგრძნობა მტკიცე ხასიათის პიროვნება.

დავით აღმაშენებლის ხელით შესრულებული კიდევ ერთი მინაწერია მოღწეული ჩვენამდე. ეს არის დავით მეფის მიერ სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში გაგზავნილი ხელნაწერი წიგნი — სამოციქულო. ეს მინაწერი პირველმა ივანე ჯავახიშვილმა და გამოჩენილმა ფრანგმა ქართველოლოგმა ნიკო მარმა ნახეს სინას მთაზე 1902 წელს.

ხელნაწერი გადაწერილია ნუსხა-ხუცურით, ხოლო დავით აღმაშენებლის მინაწერი კი მხედრულით არის შესრულებული.

ქრისტიანული თავმდაბლობითა და დიდი ადამიანური ღირსებით გამოირჩევა ეს მინაწერი. საკუთარ თავს ყველა ქრისტიანზე „უნართევეს მონად“ მიიჩნევს „გალობანი სინანულისანის“ ავტორი. ეს მინაწერი დავითს თავიდან ძალიან ლამაზად დაუწყია, ხოლო ბოლო სტრიქონი ოდნავ ნაჩქარევი ხელითაა ნაწერი.

ახლა გავეცნოთ ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული დიდი თამარის ხელით შესრულებულ ხელრთვა-დამატებებს. თამარი თანამედროვეობის თქმით იყო: „მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა“, „მეცნიერებითა, გონიერებითა, შუენიერებითა სავსე“. ჩვენამდე თამარ მეფის ხელით შესრულებულმა სამმა ხელრთვა-დამტკიცებამ მოაღწია. ისინი შემონახულია ქართულ ისტორიულ დოკუმენტებზე. ეს არის თამარ მეფის მიერ ბოძებული სიგელი გელათის მონასტრისადმი 1187 წელს, დაწერილი კახაბერ ამირსპასალარისა შიომღვიმის მონასტრისადმი 1189 წელს და 1196 წელს დაწერილი თამარ მეფის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი.

თამარ მეფის შეწირულობის სიგელი გელათის მონასტრისადმი ინახება საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში, მაგრამ ჩვენამდე დაზიანებული სახითაა მოღწეული. აკლია მტკიცებულებათა ნაწილი. ამ დოკუმენტებსაც დავითის ანდერძის ბედი ხვდა წილად.

დოკუმენტი შედგენილია 1187 წელს. დაწერილია ლამაზი კალიგრაფიული ხელით, ასოებს საოცრად ლამაზი მოხაზულობა აქვთ. ფაქტობრივად ეს არის საბუთის ბოლო ნაწილი, სადაც თამარი იმ პირების დასჯას სთხოვს ღმერთს, ვინც დაარღვევს მის მიერ გელათის მონასტრისადმი დადგენილ

განაჩენს.

თამარ მეფემ დაამტკიცა ჭიაბერის დაწერილი და დოკუმენტის ბოლოს თავის ხელით მიაწერა:

**„† ესე მანდატურთუხუცესისგან შეწირული განაჩენი ჩემგანცა მტკიცეა“.**

ეს მინაწერი თამარის ლამაზი და დახვეწილი ხელით არის შესრულებული და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს თამარის წერის მაღალ კულტურაზე.

თამარ მეფის ხელრთვა-დამტკიცება ამშვენებს, აგრეთვე, თამარ მეფის წყალობის სიგელს შიომღვიმის მონასტრისადმი. ეს სიგელიც ჩრდილო კავკასიაში მოხვდა 1915 წელს და 1919 წელს განადგურდა. საბედნიეროდ 1973 წელს აღმოჩნდა ამ საბუთის ფოტონეგატივი და მისგან დამზადდა დედნის ზომის ასლი. ეს არის თამარის ხელრთვა-დამტკიცება:

**„† მტკიცე ჰყო ღმერთმა შეუცვლელად“.**

ჩვენამდე ლაშა-გიორგის გაცემულმა დოკუმენტებმაც მოაღწია. სამივე საბუთი დედანია და ეტრატზეა დაწერილი. 1207 წელს ლაშა-გიორგიმ შეწირულობის სიგელი უბოძა გელათის მონასტერს, ხოლო 1207-1222 წლებში კი — ქვათახევის მონასტერს. ლაშა-გიორგის ბრძანება შიომღვიმის მონასტრისადმი 1211 წელსაა დაწერილი.

1207 წელს დაწერილი ლაშა-გიორგის სიგელი გელათის მონასტრისადმი ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება, მისი დედანი პირველი მსოფლიო ომის დროს ჩრდილო კავკასიაში ქართული საბუთების ევაკუაციის დროს დაიკარგა.

1958 წელს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მამაცაშვილისაგან შეიძინა აღნიშნული სიგელი, რომელსაც მან ქ. პიატიგორსკში მიაკვლია.

სიგელს ახლავს ლაშა-გიორგის ხელრთვა-დამტკიცება:

**„† ჩემ გიორგი მეფისაგან მტკიცეა და უქცეველი ნებითა ღმრთისაითა“.**

ამ დოკუმენტით, იმერეთის სოფელი — დერჩი, ლაშა-გიორგიმ გელათის მონასტერს შესწირა.

ლაშას ხელრთვა-დამტკიცება შიომღვიმის მონასტრისადმი მის მიერ 1211 წელს გაცემულ საბუთს ახლავს. ლაშამ სოფელ აგარის გლეხობა სამეფო გადასახადისაგან გაათავისუფლა. დოკუმენტის ფრაგმენტი არქივშია დაცული.

ჩვენამდე მოაღწია, აგრეთვე, საქართველოს მეფე, გიორგი V ბრწყინვალის ხელრთვამ.

ძალიან საინტერესო და ლამაზი ხელრთვა აქვს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს, იგი მეფობდა 1574-1605 წწ.

ჩვენამდე მოაღწია მეომარი და რაინდი ლუარსაბ I-ის (1527-1556 წ.წ.) ხელრთვა. 30 წელი ეჭირა ხმალი ლუარსაბ მეფეს, სათავეში ედგა ლაშქარს, გამუდმებით იბრძოდა ხან თურქების, ხან ირანელების წინააღმდეგ. ყიზილბაშებმა მოკლეს მხცოვანი მეფე გარისის ბრძოლის დროს. მოუცლელობისა და მუდმივი ბრძოლების გავლენა, რომელიც იმ დროს იყო, ლუარსაბ მეფის ხელრთვასაც ეტყობა, მხოლოდ ასო „ლ“ აქვს დაწერილი და მერე გაკრული ხელით გაგრძელებებია.

მძიმე ხვედრი ერგო ვახტანგ VI, იგი 1703 წლიდან ზრუნავდა ქვეყნის კულტურასა და ეკონომიკაზე, სამიმოსვლო გზების აღდგენაზე. ნიჭიერი და უაღრესად განათლებული, სამართალმცოდნეობაშიც კარგად ერკვეოდა.

1709 წელს გახსნა სტამბა თბილისში. 1709-1712 წ.წ. 12 დასახელების წიგნი დაბეჭდა. 1712 წელს დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“.

1737 წელს გარდაიცვალა ასტრახანში, დაკრძალულია მიძინების ტაძარში. იგი საოცრად ლამაზად აწერდა ხელს „ვახტანგ“.

აქ წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, თუ როგორი მაღალი იყო საქართველოს მეფეების მწიგნობრობისა და წერის კულტურა. ხელრთვებიც ხომ ბაგრატიონ მეფეთა კულტურული მემკვიდრეობაა.

მასალა მოგვაწოდა
ხელნაწერთა ეროვნულმა
ცენტრმა



ლაშა-გიორგის
ხელნაწერი

# ოჯახის დაგეგმვა ანუ სიკვილის კულტურა

**სადამდე მიიყვანა დღეს უშვილობის მკურნალობამ ადამიანები, რატომ არის ჩასახვის საწინააღმდეგო აბები ცოდვა და როგორი პოზიცია უჭირავს ეკლესიას ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს საკითხი იყო ახალგაზრდულ ცენტრში გამართული „შემეცნებითი საუბრების“ ერთ-ერთი თემა, რომელზეც მამა კონსტანტინე გიორგაძე გვესაუბრა.**

**— *დაგვლოცე მამაო!***

— „ღმერთმა დაგლოცოთ! გამრავლდით, ინაყოფიერეთ და აავსეთ ქვეყანა“ — აი ასე აკურთხა უფალმა ადამიანი სამოთხეშივე, ხოლო ჩასახვის საწინააღმდეგო აბები ეწინააღმდეგება უფლის კურთხევას. ასეთი საშუალებები ადამიანს ეხმარებიან თუ როგორ „დაგეგმონ“ თავიანთი ცხოვრება. პირადი ცხოვრების დაგეგმარებას ეწინააღმდეგება ეკლესია, რამეთუ ვიცით, რომ გაგვაჩინა ღმერთმა და დღესაც უფალი განაგებს ჩვენს ცხოვრებას და ჩვენ კი, აღარაფერს ვუტოვებთ უფალს, რომ მის ნებას მივყვეთ თუ რამდენი შვილი უნდა გვყავდეს, ან ვინ უნდა გვყავდეს ან, თუნდაც, როდის...

ჩვენს ყველა ჩასუნთქვას და ამოსუნთქვას ხედავს უფალი. შვილიერება, ოჯახის შექმნა — ეს არის არამარტო ფიზიოლოგიური აქტები, არამედ ჯვრის აღება, ჯვრის ტვირთვა. როცა ადამიანი იღებს ჯვარს, რომელიც მას უფალმა მისცა, ამ ჯვრის ტარებას ის უსათუოდ შეძლებს. უფალმა იცის ვის რა ძალა აქვს და ადამიანს არ დაადებს იმაზე მეტ ტვირთს, ვიდრე მას შეუძლია ზიდოს. ჩვენ აქ აუცილებლად უნდა გამოვიძიოთ უფლის ნება და დავამთხვიოთ ჩვენი ნება მას. ამას ჰქვია სინერგია, რომელიც გადამრჩენელია ადამიანის სულისა და ხორცისა.

**„ჩვენს უველა ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას ხედავს სულიწმინდის მაღლი...“**

ჩასახვის საწინააღმდეგო აბები „ოჯახის დაგეგმარებაში“ ფართოდაა გამოყენებული. კონტრაცეფციული საშუალებები არ არის უვნებელი და დიდ გავლენას ახდენს ორგანიზმზე. ხშირად ამბობენ, რომ აბორტს სჯობს თავის დაცვა სხვადასხვა საშუალებებით, თუნდაც ე.წ „სპირალით“, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ერთიდაიგივეა, რადგან ამ დროს იქ მაინც ხდება განაყოფიერება და შემდეგ ნაყოფის სიკვდილი. ანუ ის აბორტის ტოლფასია. რაც შეეხება უშვილობას, ჩვენ ჯერ უნდა ვეძიოთ მიზეზი უშვილობისა, შეიძლება ეს იყოს უფლის განგებით გამოწვეული უშვილობა და იმის მაგივრად, რომ ადამიანმა მოინანიოს ცოდვები — ცოდვას ცოდვას უმატებს უშვილობის მკურნალობით, ხელოვნური განაყოფიერებით და ეწინააღმდეგება უფლის ნებას. უშვილობის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს ჩაცმულობა. ხშირად გოგონებს ისე აცვიათ, რომ წელი მოშიშვლებული აქვთ. ორგანიზმი ვერ უძლებს სიცივეს, ირღვევა ჰორმონალური წყობა, რაც ხშირად უშვილობის მიზეზი ხდება. ამიტომ ჩაცმულობასაც დიდ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ.

**„უნდა გამოვიჰიოთ უფლის ნეგა და ჩვენი ნეგა დაეკამთხვიოთ მის ნეგას...“**

მეცნიერული სამედიცინო ჩარევა, როცა ხდება ხელოვნური განაყოფიერება, ცოდვაა, რადგან ეს ხდება არაბუნებრივად. უმეტესად არის დონორი კაცი ან ქალი. ამ დროს ბავშვს შეიძლება ორზე მეტი მშობელიც კი ჰყავდეს. ხშირად ხდება გაუგებრობა და ვითომ კეთილშობილური ნიღბით მძიმე ცოდვას



იდებენ თავზე. ჩვენ მხოლოდ უფალს უნდა ვევედროთ შვილიერებას და უფალმა იცის, თუ რა და როგორ... უნდა ვიცოდეთ რას ვაკეთებთ, არის თუ არა ეს სათნო ღვთისთვის. თითქოსდა ყველაფერი მარტივია: „გინდათ შვილი? არ გყავთ? აი ჩვენ დაგეხმარებით ამაში“. ხოლო რა დგას ამის უკან? სინჯარაში მარტო ერთი კვერცხუჯრედი კი არ ნაყოფიერდება, რამდენიმეს იღებენ და იქ ერთი უნდა გაიზარდოს მხოლოდ — დანარჩენებს კი ხოცავენ. ისევ სიცრუეა...

## „ზოგს შვილიერება აცხოვნებს, ზოგსაც კი – უშვილობა“

მეცნიერებას არ უარვყოფთ, მაგრამ თუ ეს მეცნიერება უფალის საწინააღმდეგოდ მოქმედებს — ეს საშინელებაა.

***— აქვს თუ არა უფლება არასრულყოფილ ანუ „მახინჯ“ ბავშვს დაიბადოს?***

— რა თქმა უნდა, აქვს. ის პიროვნებაა, ხოლო ეს რისი შედეგია უნდა გამოვიძიოთ, რატომ ხდება ასე — ეს ან ცოდვის შედეგია ან ადამიანის გამოცდაა — გააშვილებს თუ თავად აღზრდის მას. უფლის მოცემულ ჯვარს აუცილებლად უნდა შევუდგეთ. ვენდოთ ღმერთს. ჯობია თუ მშობელი თავის შვილს თავად აღზრდის, განსაცდელს თავს არ აარიდებს და ამ ჯვრით ცხონდება თავადაც და შვილიც.

***— რამდენად მართებულია ექიმის მიერ ასეთი კითხვის დასმა რომელს აირჩევთ — ან დედა უნდა გადარჩეს ან შვილი?***

— ამ კითხვის დასმა არამართებულია. ექიმი უნდა ცდილობდეს, ორივე გადაარჩინოს — დაუშვებელია ცოცხალი არსების მოკვლა. თუ ექიმი ლოცულობს, უფალი აუცილებლად დაეხმარება ორივეს გადარჩენაში და ხშირად ასეც მომხდარა.

***— როგორ უნდა დავარეგულიროთ შვილების რაოდენობა ოჯახში?***

მხოლოდ და მხოლოდ თავშეკავებით და უფლის მიმართ ლოცვით. ჩვენ გადავეჩვიეთ უფალთან საუბარს — არ არსებობს უფალს სთხოვო რამე მთელი გულით და არ შეგისრულოს. ჩვენ ამას არ ვაკეთებთ. „ოჯახის დაგეგმვის“ ნაწილია ასევე ქალისა და მამკაცის თანაცხოვრება ჯვრისწერამდე, ქორწინებამდე. დღეს ასეთი ტენდენციები ჩამოყალიბდა ჩვენთანაც. ჯვრისწერის გარეშე ერთდებიან, ცხოვრობენ, ერთმანეთს ეცნობიან — იქნებ ვერ ეგუებიან, ან უყვარდა და მერე გადაუყვარდა. ეს არ არის ჭეშმარიტი სიყვარული. ჯვრისწერა არის

## „ჩვენ გადაეჩვიეთ უფალთან საუბარს...“

დაურღვევლი კანონი. როდესაც ადამიანები გადაწყვეტენ დაქორწინებას, უნდა მიმართონ მოძღვარს, მოინანიონ ჩადენილი ცოდვები და ეზიარონ. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ჯვრისწერა. ევედრონ უფალს „ღმერთო ვინც შენ გნებავს ის ამირჩიე“.

ისევ და ისევ აბორტის „გაცვეთილ“ თემას მივუბრუნდები.

აბორტის შემდეგ დედის სულში გაისმის ხმა „სად არის შვილი შენი?“ კაენს ჰქონდა დეპრესია, როდესაც აბელი მოკლა, ასეთივე დეპრესია ემართება დედას — ამას უწოდებენ კაენის სინდრომს. ძალიან დიდი პროცენტია ფსიქოლოგიური აშლილობისა, შემდეგ ეტაპზე კი ინფექციებისა, ონკოლოგიური დაავადებებისა და ზოგჯერ კი სავალალო შედეგისა, როდესაც აბორტის დროს შეიძლება დედაც დაიღუპოს. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია პატიება ვთხოვოთ უფალს ცოდვების გამო და ვევედროთ რათა დაგვიფაროს ბოროტისა და განსაცდელისაგან.

## აბორტი ანუ ბრძა ფელელობა-ქრცოდნა ორმაგი ცოდვაა...

მასალა მოამზადა
ნინო სხირტლაძემ

# ჯვრისწერის როლი

**მადონა ლელაძე** — საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლოს პრაქტიკისა და შესწავლის განყოფილების კონსულტანტი.

საუკეთესო კანონები ტრადიციებიდან იბადება. ეს სიბრძნე ყოველთვის მაშინ მახსენდება, როცა თვალნათლივ ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობიდან რომელიმე კანონი ან თუნდაც კონკრეტული მუხლი, ან სულაც დადგენილებები ქართული ტრადიციებიდან და რელიგიიდან მომდინარეობს.

ტრადიციულ-რელიგიური ცნების შინაარსი და მისი როლი ქვეყნის ყოფიერებაში ყველა კონკრეტულ სახელმწიფოში წარსულის გავლენას განიცდის. ვფიქრობ, საზოგადოებრივ განვითარებაში არ უნდა დაიკარგოს ისტორიული პირამიდები.[1]

წარსულიდან მომავლისკენ საზოგადოების სვლა სახელმწიფოს განვითარების ბუნებრივი პროცესია. ჩვენი ქვეყანა ვითარდება, დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის ღირსეულ ადგილს იკავებს, მაგრამ ჯერ კიდევ უნდა შეიქმნას ისეთი სახის კანონები, რომლებიც წარმატებით იმუშავებს და ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში შესაბამის ადგილს დაიმკვიდრებს.

საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა და ოჯახი და ოჯახური ფასეულობები (ზნეობა, მორალი, ადათ-წესები) მართლმადიდებლური სარწმუნოებიდან იღებს სათავეს. ამიტომაც ჯვრისწერის მოწმობისათვის იურიდიული ძალის მინიჭება და საოჯახო სამართლში ცვლილებების შეტანა ურიგო არ იქნებოდა. სასამართლო პრაქტიკაში იგი მნიშვნელოვანად გაამარტივებს კონკრეტული საოჯახო საკითხების გადაწყვეტას.

ყველამ კარგად უწყის, რომ ოჯახი ქორწინებით იწყება, რომელსაც საფუძვლად სიყვარული უდევს. იგი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში. საქორწინო ურთიერთობებს კანონი აწესრიგებს — როგორც სახელმწიფოს მიერ შექმნილი ისე — საეკლესიო. ქვეყნისა და ეკლესიის კანონები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თითქმის ერთნაირია, რადგან პირადული და სარწმუნეობრივი მომენტების გვერდით გასათვალისწინებელია ქორწინების სამართლებრივი შედეგები, მათ შორის, ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებებიც, მაგალითად, ქალსა და მამაკაცს ეკრძალებათ საქორწილო ურთიერთობის დამყარება, სისხლით ნათესაობის, დასაქორწინებელ პირთა ქმედუუნარობის, მცირე ასაკისა და სხვა მიზეზების გამო. ქრისტიანული რელიგიის თვალსაზრისით, ამ გარემოებებს ემატება სულიერი (ნათლობით) ნათესაობაც და თუ არ არის მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები, მაშინ ქორწინება ჯვრისწერითა და ქორწინების რეგისტრაციით დასტურდება, რომელსაც აფორმებს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური განცხადების საფუძველზე, დასაქორწინებელ პირთა მიერ არჩეული ადგილის მიხედვით. ჯვრისწერის მოწმობისაგან განსხვავებით, სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაციის მოწმობას დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ თანაცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების დროს, რადგან იგი დამყარებულია პირად და ქონებრივ ურთიერთობებზე და „მიწიერ“ ცხოვრებაში აუცილებლად სამართლის ნორმებმა უნდა მოაწესრიგოს, თუმცა, ოჯახურ ურთიერთობებში დგება ისეთი საკითხები, რომლებიც ჯვრისწერის მოწმობით თავისუფლად შეიძლება გადაწყდეს. იგი შეიძლება პირმა მტკიცებულების

# ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ

ისეთ დოკუმენტად გამოიყენოს, რომ საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებების სამართლებრივი საკითხი გადაწყვიტოს სასამართლოსა თუ სხვა კომპეტენტურ ორგანოებში. მივიჩნევ, რომ თუკი რელიგიურ ქორწინებას მიეცემა იურიდიული ძალა და ფუნქციები საოჯახო სამართალში, იგი გააუმჯობესებს საოჯახო პრაქტიკას სამართლის კუთხით, მაგალითად, თუ გარკვეული წლებია ოჯახი არსებობს, ჰყავთ შვილები და მეუღლეები ღირსეულად ასრულებენ ყველა ვალდებულებას, რაც მათ აკისრიათ, მაგრამ არ არსებობს მათი ქორწინების რეგისტრაცია, ანუ არ იმყოფებიან სამოქალაქო წესით ქორწინებაში და არიან მხოლოდ ჯვარდაწერილები, შესაბამისად, გააჩნიათ ჯვრისწერის მოწმობა, რატომ არ უნდა ჩაითვალოს ჯვრისწერა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტად? რატომ არ უნდა აღიაროს ისინი ცოლ-ქმრად სახელმწიფომ ჯვრისწერის მოწმობით, თუკი ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვლება და დადგება მემკვიდრეობის ან სხვადასხვა უფლების წარმოშობის საკითხი?

ვინაიდან ჩვენი კანონმდებლობა ჯვრისწერას არ აღიარებს იურიდიული მნიშვნელობის მქონედ, ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა პირი სამოქალაქო წესით ქორწინებაშია ერთ ადამიანთან, ხოლო მეორესთან — ჯვარდაწერილი. ეს ყოვლად უმსგავსი პრაქტიკა შედეგია სწორედ იმ სამართლებრივი ვაკუუმისა, რაც ჩვენს ქვეყანაში არსებობს საეკლესიო ქორწინებასთან დაკავშირებით. ასეთი მაგალითების მოყვანა ჩვენი ცხოვრებიდან მრავლად შეიძლება და ამიტომაც მივიჩნევ საჭიროდ, ჯვრისწერის მოწმობას მიეცეს ისეთი სახე, რომ საოჯახო კანონმდებლობაში დაიმკვიდროს ადგილი. აქვე დავძენ, რომ ეს არც ისე უცხო და ახალი იქნება საქართველოს კანონთა შორის, რადგან საქართველოში ქორწინების საეკლესიო რეგისტრაციის წესი არსებობდა და იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გააუქმა „მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის“ 1920 წლის 3 დეკემბრის კანონითა და 1921 წლის კონსტიტუციის 31-ე მუხლით.

დღეს არსებობს კონსტიტუციური კონკორდატი საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალიურ, მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის. კონკორდატში მითითებულია, რომ „სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამართლებრივ ურთიერთობაში კი გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები“ (მუხლი 3). ამ შეთანხმებით ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა, დარჩა იგივე, რაც არსებობდა კონსტიტუციური შეთანხმების დადებამდე ჯვრისწერის სამართლებრივ მოწესრიგებასთან დაკავშირებით. მაგალითად, მართლმსაჯულების პრაქტიკა ჯვრისწერას აღიარებს ქალისა და მამაკაცის ქორწინების დამადასტურებელ ფაქტად, მაგრამ სამართლებრივად იურიდიული მნიშვნელობას არ ანიჭებს, რადგანაც, კონკორდატის განმარტებით, იურიდიულ ურთიერთობებში გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები. ამგვარად, სახელმწიფომ დატოვა არსებული წესი, ანუ ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია, მაგრამ ასევე ცნო ჯვრისწერა (საეკლესიო წესით ქორწინება). ეს ცნობა,

სავარაუდოდ, გამოიყენება იმაში, რომ ჯვარდაწერილ, მაგრამ სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაციაგაუვლელ ცოლ-ქმარს სახელმწიფო განარჩევს.[1] ეს კი ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა შეიძლება დაკარგოს გარკვეული უფლებები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ასეთი სასამართლო პრაქტიკა: ქონებრივი დავა ეხებოდა გერსა და გარდაცვლილის მეუღლეს, რომელსაც ჯვარი ჰქონდათ დაწერილი და არ იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. მათ შორის გაჩნდა დავა ქონებრივ უფლებებზე, რომლის შესახებაც საკასაციო სასამართლომ განმარტა: **„კონსტიტუციური შეთანხმების მითითებული ნორმით საეკლესიო წესით ჯვრისწერის სახელმწიფოსაგან აღიარება დეკლარაციული ხასიათისაა და მეუღლეთა კანონით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველი ვერ გახდება. ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღსრულების შემდეგ ახლადშექმნილი ოჯახი მართლმადიდებლური წესით ხდება კანონიერი და მას რაიმე თანამდევი კანონით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არ მოჰყვება. ამდენად, მითითებული კონსტიტუციური შეთანხმებით დეტალურად არის განსაზღვრული საეკლესიო ჯვრისწერის დანიშნულება და მოქმედების ფარგლები, ნორმის განმარტებაც კანონით დადგენილი ფაქტების შესაბამისად უნდა მოხდეს. აღნიშნული გამორიცხავს ჯვრისწერის საფუძველზე მისი, როგორც მეუღლის და სამოქალაქო უფლების თანასაკუთრების წარმოშობას.“**

სტრასბურგის ევროკომისიის მითითებით, ქორწინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს, რადგანაც ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალურად არსებობის ფაქტზე. ევროსასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილებით, საქმეზე „კროინი ნიდერლანდების წინააღმდეგ“, ოჯახური ურთიერთობების ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობებით და შეიძლება, მოიცავდეს სხვა დე-ფაქტო ოჯახურ კავშირებს, მაგალითად, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო ევროკონვენციის მონაწილე ქვეყანაა და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ არსებობს საფუძველი, ჯვრისწერა მივიჩნიოთ ისეთ სამართლებრივ მტკიცებულებად, რომ საჭიროებისამებრ შევძლოთ მისი გამოყენება. ყოველივე სულაც არ შეიძლება საერთაშორისო კრიტიკის საგანი გახდეს. არსებობს ქვეყნები, სადაც ეს საკითხი აღიარებულია, მაგალითად: იტალიის რესპუბლიკაში ურთიერთობა რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის მოწესრიგებულია 1929 წლის „ლიტერანის კონკორდატით“. აღნიშნულმა კონკორდატმა განსაზღვრა კათოლიკური ჯვრისწერის აღიარების ფორმა, კერძოდ, რესპუბლიკა ცნობს რომის ეკლესიის მიერ კანონიკური სამართლის საფუძველზე შესრულებულ ჯვრისწერას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. რელიგიურ ქორწინებას, გარდა იტალიის რესპუბლიკისა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთაგან ცნობენ დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, შვედეთი, დანია, ფინეთი, საბერძნეთი, აშშ-ის შტატთა უმრავლესობა, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ლიტვა, შვეიცარია და ავსტრალია. ეს ქვეყნები ერთმანეთთან ათანაბრებს როგორც სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებულ, ისე, ეკლესიაში ჯვარდაწერილ ქორწინებას, რადგანაც ქორწინება მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი საღვთო საიდუმლოა, რომლის საფუძველზეც იქმნება ოჯახები. მათი სიმრავლე და სიძლიერე სახელმწიფოს წინსვლის საწინდარია, მაგალითად, საბერძნეთში ეკლესია საზოგადოებრივი სამართლის სუბიექტს წარმოადგენს. ამ ქვეყანაში ჯვრისწერის მოწმობა იურიდიული დოკუმენტია და ეკლესიას სახელმწიფო მთლიანად უზრუნველყოფს ამ ფუნქციის განხორციელებაში, ამიტომაც ყველა ქვეყანაში ოჯახის შექმნის სხვადასხვა ფორმა არსებობს.



არის სახელმწიფოები, სადაც ყველასათვის სავალდე-

ბულია სამოქალაქო ქორწინება. არის ქვეყნები, სადაც აღიარებენ მხოლოდ რელიგიურ ქორწინებას ან ორივეს ერთად და იგი დაკავშირებულია აღმსარებლობასთან.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ქრისტიანობის 20-საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ერთგვაროვნად არ გადაწყვეტილა ეკლესიისათვის, სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის და, ალბათ, იმიტომ, რომ თანამედროვე მსოფლიო დემოკრატიული ფორმით ამჯობინებს ქორწინების საკითხის გადაწყვეტას. ვფიქრობ, აღნიშნულ თემას ჩვენც ამ თვალთახედვით უნდა მივუდგეთ, რადგანაც კანონში ჯვრისწერის იურიდიული საჭიროება აიხსნება ჩვენი ქვეყნის წარსულით, ტრადიციებითა და გამარტივებული სამართლის პრაქტიკის დამკვიდრების საჭიროებით.

ყოველივე სულაც არ შეიძლება რთულ და არასამართლებრივ საკითხად მივიჩნიოთ. მაგალითად, ჯვრისწერის მოწმობისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭების ფორმა შეიძლება განხორციელდეს ასეთი სახით: მართლმადიდებლურ ეპარქიებში (რომლებიც საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებობს) უნდა შეიქმნას სპეციალური განყოფილება, სადაც რელიგიური ქორწინების შესახებ წყვილმა უნდა წარადგინოს განცხადება ჯვრისწერის ნებართვასთან დაკავშირებით. ეპარქია კონკრეტულ დროში მოიპოვებს ინფორმაციას მექორწინეთა შესახებ, კერძოდ, ხომ არ იმყოფებიან ეს პირები სხვასთან სამოქალაქო ან რელიგიურ ქორწინებაში. დადებითი პასუხის შემთხვევაში ეპარქია გასცემს ცნობას ჯვრისწერის უფლების შესახებ, ანუ აღნიშნული პროცედურების შემდეგ წყვილს შეეძლება საეკლესიო ქორწინება. საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული ეკლესიები ჯვრწერის შემდეგ გასცემენ ჯვრისწერის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც დამოწმდება ტაძრის ბეჭდით (ხშირად საპატრიარქოს ბეჭდით). მას ხელს მოაწერს ის სასულიერო პირი, რომელმაც ჯვრისწერის საიდუმლო აღასრულა. ჩემი აზრით, სწორედ ასეთი მოწმობა უნდა გახდეს ჯვრისწერის სახელმწიფო რეგისტრაციის საფუძველი. რაც შეეხება განქორწინებას, შეიძლება გაჩნდეს კითხვა: განქორწინების საკითხს კანონის საშუალებით წყვეტენ შესაბამისი ორგანოები, ხოლო, თუ ჯვრისწერაც აღიარებული იქნება იურიდიულ ფაქტად, სამართლებრივ პრაქტიკაში **როგორ შეიძლება საეკლესიო ქორწინების გაუქმება?** ეკლესიური განმარტებით, განქორწინება დაშვებულია. სამართლებრივი გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ არ ეწინააღმდეგება სახარებისეულ სწავლებას, მეუღლეთა განშორება არის შედეგი ცოლქმრული თანაცხოვრების დარღვევისა. ასეთ შემთხვევაში, საეკლესიო კანონების მიხედვით, მღვდელმთავარი იურიდიულად ამოწმებს სამწუხარო ფაქტს, ანუ მოითხოვს ქორწინების რეგისტრირებული მოწმობის ბათილობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რადგანაც კანონიერმა (სამოქალაქო) ქორწინებამ დაკარგა საფუძველი. და მას შემდეგ რაც ეკლესია კონკრეტულ პირებს შორის აღიარებს ქორწინებას დარღვეულად, ყოფილი მეუღლეების თანხმობით, მღვდელმთავარი შეასრულებს შენდობის ლოცვას და მათ მიეცემათ მეორედ ჯვრისწერის (ქორწინების) უფლება. ამიტომაც აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ სამოქალაქო ქორწინება სასამართლოს მიერ ან სულაც რეგისტრაციის ორგანოში იქნება გაუქმებული, ჯვრისწერაც ავტომატურად დაკარგავს იურიდიულ ძალას. ვფიქრობ, დროა სპეციალისტებმა, კონკრეტულმა პირებმა შეიმუშაონ პროექტი და, შესაბამისად, შექმნან სიახლე ქართულ საოჯახო სამართალში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული არ უნდა მივიჩნიოთ ისე, რომ ამ ინდივიდუალური უფლების განხორციელებამ შეზღუდოს სხვა აღმსარებლობის პირთა უფლებები, მაგრამ ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობათა ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ ისინი ითვალისწინებენ ერის ტრადიციებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფოს მთავარ ეკლესიას, რომელიც, სხვა დემოკრატიულ ინსტიტუტებთან ერთად არის, მოსახლეობის ზნეობრივი სულიერი ფასეულობების წარმმართველი ძალა.

# ქალის როლი საზოგადოებაში

ადამიანის შექმნის შესახებ წმინდა წერილი მოგვითხრობს: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ. 1, 27)

ხატება ღვთისა, როგორც მამაკაცში, ასევე დედაკაცში თანაბარია. ორივე ერთნაირად აგებს პასუხს ღვთის წინაშე ცოდვის გამო, ხოლო სათნოებისათვის ჯილდოს მიიღებს.

პირველი ქალი, რომელიც სამყაროში შეიქმნა, იყო ევა. უფალმა ბრძანა: „არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს“. (დაბ.1,18). ქალი შეიქმნა მამაკაცის თანამგზავრად, შემწედ, მეგობრად. მაგრამ იგი დამოუკიდებელი პიროვნებაა და ზუსტად იგივე უფლებები გააჩნია, რაც მამაკაცს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალიც ისევე აქტიურადაა ჩაბმული, როგორც მამაკაცი. ცნობილია, რაოდენ პატივს მიაგებს ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს. ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო კი უდიდესი ღვაწლის გამო მოციქულთასწორად არის შერაცხული. ასევე სარწმუნოებისათვის თავდადებული მრავალი ქალი-მოწამეა ისტორიაში შესული.

პირველ ქალს ეწოდა ევა, რაც ნიშნავს ცხოვრებას, სიცოცხლის დედას. პირველი ოჯახი თავად ღმერთმა აკურთხა სამოთხეში. „ინაყოფიერეთ და გამრავლდით, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას“ (დაბ. 1,28)

უფალმა თავად გაუნაწილა მოვალეობანი ქალსა და მამაკაცს. ქალის უმთავრეს მოვალეობას ქმრისადმი მორჩილება და შვილების კეთილზნეობით აღზრდა წარმოადგენს. შვილების სწორად აღზრდა უდიდესი ფაქტორია საზოგადოების სწორად განვითარებისათვის. რადგან ყოველი ოჯახი პატარა საზოგადოება და მცირე ეკლესიაა. ამ ატმოსფეროში აღზრდილი ადამიანი უნდა იყოს საზოგადოების ჯანსაღი წევრი. ეს მისია მშობლებს ეკისრებათ. განსაკუთრებით დედას, რადგან ის ყველაზე ახლოსაა შვილთან. პავლე მოციქული ბრძანებს: „თავი დედაკაცისა არის მამაკაცი, როგორც თავი ეკლესიისა არის ქრისტე“. ქალსა და მამაკაცს შორის არსებობს იერარქია და უფროს-უმცროსობა. რადგან მამაკაცი არის ოჯახის უფროსი, მას უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება იყოს ოჯახის წინამძღოლი და მიჰყავდეს იგი უფლის გზაზე. ქალი უნდა ემორჩილებოდეს მეუღლეს სიყვარულით, რადგან მორჩილება სიყვარულის გარეშე მონობაა. მონობა კი ქრისტიანული აზროვნებისათვის სრულიად მიუღებელია.

ქმარს ისე უნდა უყვარდეს ცოლი, როგორც უფალს უყვარს თავისი ეკლესია, და ცოლსაც ისე უნდა უყვარდეს თავისი ქმარი, როგორც ეკლესიას უყვარს უფალი. ამას ეფუძნება ქრისტიანული ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის.

აუცილებულია, თვითოეულმა ქალმა და მამაკაცმა იცოდეს, თუ რა არის მისი მოვალეობა ღვთისა და ერის წინაშე. სწორედ ამის საშუალებით არის შესაძლებელი სწორად წარიმართოს ადამიანის ცხოვრება.

მარიამ გელაშვილი

# სიკვდილის საიდუმლოება

„არსებობს ერთი გარდაუვალი და
უჯველი შეხვედრა – შეხვედრა სიკვდილთან...“

*მიტროპოლიტი*
*ფილარეტი*

სიკვდილი სამოთხეში საერთოდ არ არსებობდა. ეს მოვლენა უცხო იყო ღვთის მიერ შექმნილი ადამიანის თავისუფალი ბუნებისათვის. პირველი ადამიანები, რომელთაც ღვთის მიერ უამრავი ნიჭი და უკვდავების შესაძლებლობა ჰქონდათ ბოძებული, ნებაყოფლობით და სიხარულით რომ დამორჩილებოდნენ ღვთის სურვილს და ამ მორჩილებით საკუთარი თავისუფალი ნება სიკეთის ქმნაში განემტკიცებინათ, მაშინ ისინი უკვდავებას შეინარჩუნებდნენ და სიკვდილს არ განიცდიდნენ, სათნოებებისაკენ მიმავალ გზაზე ისინი ღვთის მსგავსებას მოიპოვებდნენ, ღვთის მადლით განიღმრთობოდნენ და მარადიულად ღმერთთან ერთად იცხოვრებდნენ. თუ როგორ მოხდებოდა ეს, ჩვენთვის, დაცემის შემდგომ მცხოვრები ადამიანებისათვის, მიუწვდომელია. ჩვენ უკვე სიკვდილის მფლობელობაში ვართ: ჩვენი ნება დასუსტებულია, გონება-დაბნელებული, „რამეთუ შეყოფილ არს მომგონებლობა კაცისა მოსწრაფებით ბოროტთა და სიჭაბუკითგან მისით“.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სხეული ყოველმხრივ სრულყოფილი, ბრწყინვალე და ყოველგვარ ურვას მოკლებული იყო, იგი მაინც არ იყო უხრწნელი და უკვდავი. ის ექვემდებარებოდა ხრწნასაც და შესწევდა უნარი ყოფილიყო უხრწნელიც. აქ აუცილებელია ორი მნიშვნელოვანი განმარტება: ჯერ ერთი, სულის უკვდავება მისი ბუნებრივი თვისება კი არა, ღვთის წყალობაა; მეორეც, სხეულისა და სულის ამგვარად შექმნა, ეს მიუწვდომელი ღვთაებრივი სიყვარულის ქმედება, ღვთის სიბრძნისა და ადამიანის მოდგმისადმი მზრუნველობის სიღრმეს განგვიცხადებს. ადამიანი უკვდავი რომ შეექმნა, იგი იმავდროულად არ უნდა დაქვემდებარებოდა ცოდვას — თუ უკვდავი კაცი ცოდვაში ჩავარდებოდა, ბოროტება მარადიულად გაგრძელდებოდა. მეორეს მხრივ, ღმერთს ადამიანი უკვდავი რომ შეექმნა, მაშინ შემოქმედი იქნებოდა საკუთარი ქმნილების სიკვდილში დამნაშავე. ამის შესახებ არაჩვეულებრივად ამბობს თეოფილე ანტიოქიელი: „ღმერთმა ადამიანი არც უკვდავი შექმნა, და არც მოკვდავი, არამედ მასში ეს ორივე შესაძლებლობა იყო ჩადებული. თუკი ადამიანი იმისკენ იქნებოდა მიდრეკილი, რაც უკვდავებისკენ მიგვიძღვის, მაშინ ის ღვთის მცნებას დაიცავდა, სანაცვლოდ ღვთისგან უკვდავებას მიიღებდა და განიღმრთობოდა (ღვთის მადლით), ხოლო თუკი ის მომაკვდინებელი საქმეებისკენ მიიქცეოდა და ღმერთს არ დაემორჩილებოდა, მაშინ თავის სიკვდილში თვითონვე იქნებოდა დამნაშავე, რამეთუ ღმერთმა ადამიანი თავისუფალი შექმნა“.

სამყაროში დაუოკებელი და სასტიკი სიკვდილი შემოიჭრა, რათა ჩვენი ცხოვრება საფუძვლიანად შეეცვალა, რათა ჩვენთვის ღმერთთან ურთიერთობისა და მარადიული და უხრწნელი ცხოვრებისაკენ სავალი გზა გადაეღობა. „ჩვენ ადამიანები მხოლოდ სიკვდილს ვიცნობ-

დით, და სიკვდილი კი ჩვენ“. ყოველივე ადამიანური გამსჭვალული იყო სიკვდილით, მის მიერ დატყვევებული და დამარცხებული. სიკვდილი ჩვენთვის საკუთარ თავზე უფრო მახლობელი და რეალური იყო; ის იყო ძლიერი, შეუდარებლად ძლიერი, ვიდრე ნებისმიერი ცალკეული ადამიანი. დედამიწა სიკვდილის საზარელი საპყრობილე იყო, ჩვენ კი მისი უმწეო პყრობილები და მონები.

მხოლოდ ღმერთკაცის — ქრისტეს მოსვლით გამოგვიჩნდა ჩვენ მარადიული ცხოვრება, სასოწარკვეთილ მოკვდავთ და სიკვდილის უბადრუკ მონებს. ქრისტე გახდა ადამიანური ბუნების შუა წერტილი, „საწყისი საყოველთაო შეერთებისა, რომლის საშუალებითაც ღვთის სიტყვამ ჩვენი ბუნება შემოსა“. ღვთის სიტყვა, „ზეაღმართული დაიხრება დაცემულისკენ და ასეთი დამდაბლების გზით აღადგენს ამქვეყნად სიკვდილის მონობაში მყოფთ“. მაცხოვრის ვნება და მისი ბრწყინვალე აღდგომა სიკვდილისათვის მიყენებული გადამწყვეტი და უკანასკნელი დარტყმა იყო. წმინდა იოანე დამასკელი წერს, რომ ქრისტეს ჯვარზე სიკვდილი არის „გვირგვინი ღვთის სიტყვის განკაცებისა“. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძე ღვთისა მაშინ განკაცდა, როდესაც ადამიანურმა ბოროტებამ უკიდურეს მწვერვალს მიაღწია, რათა „მსხვერპლად ჩვენი განწმენდისათვის“ საკუთარი თავი მოეტანა. წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი წერს, რომ უფლის გამომხსნელი მსხვერპლის წყალობით ადამიანები ცხოვრობენ „იესო ქრისტეს მსგავსებით, რომელიც ჩვენთვის მოკვდა, რათა ვინც მის სიკვდილს და აღდგომას ირწმუნებს, გადაურჩეს სიკვდილს“.

თეოფილე ანტიოქიელი თავის წარმართ მეგობარს ქრისტიანული სარწმუნოების კრიტიკის საპასუხოდ წერს, რომ ფიზიკური სიკვდილით ღმერთმა ადამიანს დიდი სიკეთე მიჰმადლა, რადგანაც ამით საზღვარი ედება ადამიანის ცოდვილ მდგომარეობას. სიკვდილი არის გარანტია იმისა, რომ ადამიანი არ იქნება „მარადის შეკრულ ცოდვით“.

წმინდა გრიგოლ ნოსელი უფრო ნათლად ხსნის ამ ჭეშმარიტებას: ადამიანის სულში ფესვგადგმულმა ბოროტებამ მარადიულად რომ არ იარსებოს, ამიტომ ეს „ჭურჭელი“-სხეული, გარდაცვალების შედეგად დროებით იშლება. ღვთის ეს განგება მისი ბრძნული სახიერებით და კაცთმოყვარეობით არის განპირობებული.

ხორციელი სიკვდილი ჩვენს მიწიერ ცხოვრებას დაასრულებს და სულს თავის სამყოფელს — სხეულს განაშორებს. აღსანიშნავია, რომ წმიდა წერილი არ იყენებს გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოთქმას: „სულის გაყრა სხეულთან“, ამ მოვლენას წმიდა წერილი უწოდებს „გასვლას“, და ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფიზიკური სიკვდილის შემდეგ ადამიანის სიცოცხლე მის სულში გრძელდება. ბიოლოგიური სიკვდილი არ არის ადამიანის პიროვნების დასასრული, ის მხოლოდ სულისა და სხეულის დროებითი განშორებაა. სიკვდილით მთავრდება ჩვენი მხოლოდ ხორციელი, მიწიერი ცხოვრება, სული კი სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს სიცოცხლეს.

როდესაც სული სხეულს დატოვებს, — ამბობდა წმ. სვიმეონ მესვეტე — და დაიწყებს ზეცისაკენ აღსვლას, მას ეშმაკთა გუნდები შემოხვდებიან და მრავალ დაბრკოლებას შეუქმნიან, განსჯას დაუწყებენ... როდესაც სული მიწიდან ზეცისკენ მიემართება, თვით წმიდა ანგელოზებსაც არ ძალუძთ მისი დახმარება; მას ეხმარება მხოლოდ მისი სინანული და კეთილი საქმეები, სიცოცხლეში აღსრულებული.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი „ñëîâî î ñìåðòè “-ში გადმოგვცემს ძალზედ საინტერესო ამბავს:

კუბენსკოეში, სადაც რამოდენიმე სამრევლო ტაძარია, ერთ-ერთი ტაძრის მღვდელი დასნეულდა და აღსასრულს რომ მიუახლოვდა, თავისი სარეცელის გარშემო დემონები დაინახა, რომლებიც მისი სულის წასაყვანად და ჯოჯოხეთში ჩასაგდებად ემზადებოდნენ. ამ დროს სამი ანგელოზი გამოჩნდა, ერთი მათგანი სარეცელთან დადგა და დაიწყო დავა მღვდლის სულის გამო საშინელ დემონთან, რომელსაც გახსნილი წიგნი ეჭირა; ამ წიგნში მღვდლის ყველა ცოდვა იყო ჩაწერილი. ამ დროს მოვიდა სხვა მღვდელი, რომ ძმა იმ ქვეყნად გაეცილებინა. დაიწყო აღსარება... სნეულს შეშინებული მზერა წიგნზე ჰქონდა მიპყრობილი და თავგანწირვით წარმოთქვამდა თავის ცოდვებს, თითქოს განაგდებდა საკუთარი თავიდან, და რას ხედავს? ხედავს ცხადად, რომ როგორც კი წარმოთქვამს რომელიმე ცოდვას, ეს ცოდვა იმ წიგნში ქრება და ჩანაწერის ნაცვლად ცარიელი ადგილი რჩება. ამგვარად, აღსარებით მან ყველა ცოდვა აღხოცა საეშმაკო წიგნიდან. მართლაც, მამა პაისი მთაწმინდელი გვასწავლის, რომ მიცვალებული სულები ქრისტესგან მხოლოდ ერთ რამეს ისურვებდნენ — მისცეს სიცოცხლის მხოლოდ ხუთი წუთი, რათა სინანული მოასწრონ.

ცოდვაში მყოფი ადამიანები მთვრალებს ჰგვანან, ისინი ვერც კი ხვდებიან, რას აკეთებენ, მაგრამ საკუთარ დანაშაულს გრძნობენ. თუმცა გარდაცვალების შემდგომ მიწიერი სიმთვრალე გამონელდე-

ბათ და გონს მოვლენ. მათ სულიერი თვალი აეხილებათ, საკუთარ დანაშაულს გააცნობიერებენ, იმიტომ რომ სხეულიდან გასული სული მოძრაობს, ხედავს და გრძნობს ყოველივეს. გონს მოდიან, მაგრამ საკუთარი თავის შველა არანაირად არ შეუძლიათ და დახმარებას ჩვენგან ელიან.

ღმერთს სურს დაეხმაროს მიცვალებულებს, მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ არ აკეთებს, რომ კეთილშობილება მისი თვისებაა. როცა გარდაცვლილებისთვის ვლოცულობთ, ამით ღმერთს მის ბედში ჩარევის „უფლებას“ ვაძლევთ. უფლის უმეტეს „მოლბობას“ ჩვენი ლოცვა იწვევს. ხოლო ყველაფერზე მეტი, რაც კი შეიძლება მიცვალებულისთვის აღვასრულოთ, არის ჩვენი დაკვირვებული ცხოვრება და ის ბრძოლა, რომელსაც ნაკლოვანებათაგან გასათავისუფლებლად და სულის განსაწმენდად აღვასრულებთ. ჩვენი მატერიალურ საგანთა და სულიერ ვნებათაგან გათავისუფლების შედეგი მხოლოდ ის კი არ იქნება, რომ თავად ვიგრძნობთ შვებას, არამედ შვებას ჩვენი მოდგმის პირველთაგან შესვენებული მამები იგრძნობენ. მიცვალებულები ხარობენ, თუ მათი შთამომავლობა ღმერთთან ერთობაში ცხოვრობს, რამდენადაც ჩვენი ამ ქვეყნად მოსვლის საქმეში ღვთის თანამოღვაწენი იყვნენ და ამიტომ ღმერთი ერთგვარად „ვალდებულია“ დაეხმაროს მათ. აქედან გამომდინარე, შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა, ეი. კავშირი ჩვენსა და ჩვენს მიცვალებულებს შორის არ წყდება? არიან კი ისინი დაინტერესებული ჩვენით, რომლებიც ჯერ კიდევ ვაგრძელებთ ცხოვრების მძიმე ბრძოლას? ეჭვგარეშეა!

წმ. ათანასე დიდი აღნიშნავს, რომ სულები, რომლებიც სინანულის გარეშე აღესრულნენ, არ ფიქრობენ ჩვენზე, რამდენადაც ისინი მთლიანად დაკავებულნი არიან მომავალ სასჯელზე ფიქრით. მაგრამ, ვინ იცის, ვინ რა შეინანა სიცოცხლის ბოლო წუთამდე? ეს მხოლოდ უფალმა უწყის. ყოველ შემთხვევაში, ღმერთშემოსილი წმინდა მამები ერთხმად გვასწავლიან: მოზეიმე ზეციური ეკლესია „არ არის გულგრილი და განზე მდგომი დედამიწაზე მყოფი მებრძოლი ეკლესიის საჭიროებათა და განსაცდელთა მიმართ“.

რამდენადაც მოყვასის სიყვარული — სათნოებათა შორის უმთავრესია, ბუნებრივია, რომ ეს სიყვარული მეტად გახსნილი და გაღრმავებული აქვთ მათ, ვინც უკვე უფალთან არის.

და ბოლოს, წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი გვასწავლის: ადამიანს სიკვდილი უხილავად დასდევს. იქ დაეწევა, სადაც არ მოელოდა; მაშინ დაეწევა, როცა არ ელოდა; და ისე დაეწევა, არასოდეს რომ არ უფიქრია. ყოველთვის ისეთი იყავი, როგორიც აღსასრულის ჟამს გინდა იყო...

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ

# „Ო, ᲔᲜᲐᲕ, ᲩᲔᲛᲝ...“

## ᲩᲐ ᲔᲜᲐ ᲬᲐᲮᲓᲔᲡ – ᲔᲩᲘᲪ ᲓᲐᲔᲪᲔᲡ

ᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲠᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲕᲜᲘᲨᲜᲐᲕᲗ...

1978 წლის 14 აპრილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან უმაღლესი საბჭოს შენობისკენ (დღევანდელი პარლამენტი) საპროტესტო მსვლელობა მოეწყო. აქ უამრავ ხალხს მოეყარა თავი და დაშლას არ აპირებდა... მაშინდელ საბჭოთა ხელისუფლებას ერთიანი საბჭოთა ერის ჩამოსაყალიბებლად, ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებიდან სახელმწიფო ენის შესახებ მუხლის ამოღება განეზრახა. ეს, თავისთავად, რუსულის სახელმწიფო ენად დამკვიდრებას გამოიწვევდა მთელს საბჭოეთში. იმ დროისთვის სსრკ-ს სახელმწიფო ენა კონსტიტუციით სწორედ რუსული იყო. უმაღლეს საბჭოს კი უნდა დაემტკიცებინა საქართველოს სსრ-ის კონსტიტუცია. ქართველი ერი სწორედ ამ მოვლენას აღუდგა წინ 1978 წლის 14 აპრილს. მოსკოვს ამ შემთხვევაში მხოლოდ ორი გამოსავალი ჰქონდა — ან

სისხლისღვრა ან დათმობა; ჩვენდა საბედნიეროდ მათ ეს უკანასკნელი არჩიეს და დათმობაზე წავიდნენ...

ქართული ენა ქართველი ერის მეობის ერთ-ერთი მთავარი გამომხატველია. ქართველობა ყოველთვის უფრთხილდებოდა, იცავდა და ამდიდრებდა თავის ენას, რის შესანიშნავ დადასტურებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ აპრილის მოვლენები თბილისსა და ზოგადად მთელს საქართველოში.

იყო დრო, როცა ქართული საზოგადოება კომუნისტურ რეჟიმს დაუპირისპირდა და მშობლიური ენა საბჭოეთს ლამის კლანჭებიდან გამოგლიჯა; თუმცა დამოუკიდებელ საქართველოში, სადაც სახელმწიფო ენის უფლებები კონსტიტუციითაა დაცული, მის პატივსაცემად ძეგლიცაა აღმართული და სპეციალური თარიღიც-კია დაწესებული, ქართულს ყველაზე დიდ მტრებად ერთ დროს მისი დამცველები — ისევ ქართველები ვევლინებით; იმის ნაცვლად, რომ წინაპართა საქმე ღირსეულად განვაგრძოთ და ქართულ ენას გავუფრთხილდეთ, ჩვენი ახირებისამებრ ვირგებთ ენის ნორმებს და შედეგიც არ აყოვნებს — ულამაზესი ენა ნელ-ნელა ნაგავსაყრელს ემსგავსება... მავანი ფიქრობს — რაღა დროს სასაუბრო ნორმაზე ფიქრიაო, მაგრამ ის კი გვავიწყდება, რომ ენობრივი ნორმა ისე უნდა გვქონდეს შესისხლხორცებული, რომ მასზე ფიქრი არც უნდა გვჭირდებოდეს.

ენის ლექსიკური შედგენილობა განუწყვეტლივ იცვლება. ხმარებიდან გამოდის მოძველებული სიტყვები და გამოთქმები, მაგრამ ენაში ასევე შემოდის და მკვიდრდება გაცილებით მეტი ახალი სიტყვა და გამოთქმა; ენა დროდადრო იცვლება, — მდიდრდება და ვითარდება, ამის საფუძველს კი საზოგადოების განვითარება წარმოადგენს.

თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა მრავაფეროვანია და მდიდარი. ენა მუდმივი ცვალებადობისათვის და მრავალფეროვნებისთვის ან უცხო ენიდან სესხულობს სიტყვებს, ან არსებულ სიტყვათაგან წარმოქმნის ახალ სიტყვებს. უცხო ენიდან, კერძოდ კი ბერძნულიდანაა ნასესხები შემდეგი სიტყვები: „კლიტე“, „ბოქლომი“, „ორგანო“, „ეკლესია“... ასევე არსებობს მაგალითები, რომ ნასესხები უცხოური სიტყვა სხვა ენის მეშვეობით შემოდის ენაში; მაგ.: „რევოლუცია“, „სუბიექტი“, „ობიექტი“, „რეაქცია“, „დოცენტი“ და ა. შ. ესენი ლათინური სიტყვებია, რომელნიც ჩვენს ენაში რუსულიდან არიან შემოსულნი... ენაში სესხების თავისებურ სახედ ითვლება კალკი, რაც საკუთარი მასალისგან სხვა ენისათვის დამახასიათებელი სიტყვებისა თუ გამოთქმების წარმოებას გულისხმობს. მაგ.: „წარმოდ-

გენა“ (ïðåäñòàâëåíèå ), „თვით-კრიტიკა“ (ñàìîêðèòèêà ), „აირ-წინალი“ (ïðîòèâîãàç ), „დამკვრე-ლი“ (óäàðíèê ). ენაში არსე-ბობს არქაიზმებიც (ანუ მოძ-ველებული სიტყვები და გამოთქმები) და ნეოლოგიზმე-ბიც (ხმარებაში ახლად შე-მოსული სიტყვები).

დღეს ენისთვის ყველაზე დიდ პრობლემას ჟარგონით მეტყველება წარმოადგენს. ახ-ალგაზრდები და არა მარტო ისინი, საუბრისას ხშირად იყ-ენებენ უცხო სიტყვებს, რომელ-თა შესატყვისიც ჩვენს ენა-შიც არსებობს. ენის დან-აგვიანება დღეს მოდურია. ზო-გიერთს მიაჩნია, რაც უფრო მეტ უცხო სიტყვას იტყვი, სხვაზე უფრო მაღლა დგახ-არ; ამის დასამტკიცებლად სულ უმნიშვნელო მაგალითიც კმა-რა — თუ გაკვირვების გა-მოსახატავად იტყვი „ვაუ“-ს და არა „უი“-ს, - უკვე „წინ წასული“ ხარ.

ჟარგონი ყველა ქვეყნისა და ყველა დროისთვის იყო და არის დამახასიათებელი. ჟარგონით მეტყველება არ არის სახიფათო, როცა ამგ-ვარად მხოლოდ საზოგადოე-ბის გარკვეული ნაწილი მეტყველებს. მაგრამ როდე-საც იგი მყარად იკიდებს ფეხს ლიტერატურასა და მას-მედიაში, — მდგომარეობა უკვე საგანგაშო ხდება.

ჟარგონი ქართულ ლიტ-ერატურაში მე-20 საუკუნიდან ჩნდება. მას უხვად ვხვდებით ლიტერატურულ ნაწარმოებებ-შიც. ჟარგონით წერა დღეს იმდენად შემოვიდა მოდაში, რომ ლიტერატურის ქარგაში გახვეული ჟარგონი მკითხ-ველისთვის მოსაწყენიც კი გახდა. ზოგიერთი თანამედ-როვე მწერლის ნაწარმოებებ-ის კითხვისას ლექსიკონიც კი დაგჭირდება, თუმცალა ამაზე უკვე იზრუნეს და 1999 წელს საქართველოში ჟარგონთა პირველი ლექსიკონი გამოიცა.

ჟარგონებიდან უმეტესობა რუსულია, მას ებრაული მოს-დევს. ეს უკანასკნელი კი უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყვე-ლა ენის ჟარგონს ასაზრ-დოებს. მაგ.: „დაიადა“ — ეს ჟარგონი ებრაული სიტყვიდან მოდის, — „იად“ თურმე, ებრაულად ხელს ნიშნავს.

უნდა აღინიშნოს, რომ „სლენგს“ საკუთრივ ლექსიკის სწრაფი ცვალებადობა ახასი-ათებს; თუ 10-15 წლის წინ რუსული სიტყვები გამოიყ-ენებოდა ხშირად, დღეს ისი-ნი ინგლისურმა ჩაანაცვლა... ადრე ენობრივი ნორმები კანონით იყო დაცული, ახლა კი ეს აღარ მოქმედებს. ჟუ-რნალისტების ნაწილს სურ-ვილიც კი გაუჩნდა ენაში თავისი ნორმები დაამკვიდრონ. გაუქმდა და აღარ არსებობს ენის სახელმწიფო პალატა.

დღეს საზოგადოების დიდი ნაწილი საუბრობს ჟარგონ-ით; უმეტესობა ამ გზით ან თვითდამკვიდრებას ცდილობს, ან სრული „თავისუფლების“, „სილაღის“, „სიძლიერის“ და ძველი სტერეოტიპების მსხ-ვრევის დემონსტრირებას ახდენს. საზოგადოების მე-ორე ნაწილი ამ ყველაფერს ისმენს, ითმენს და ხმას არ იღებს, ე.ი. ეგუება. რაც დანაშაულის ტოლფასია.

როგორც ვაჟა წერდა — „ენა დედაა ერისა“. არც ერი არსებობს ენის გარეშე და არც ენა — ერის გარეშე... როგორიცაა ერი, ისეთივეა ენა და პირიქით. ენაში სარკე-სავით აისახება ერის ცხ-ოვრების ავ-კარგი, მისი ზნეო-ბა, კულტურა, პერსპექტივა; ნორმალური სამოქალაქო სა-




ზოგადოებისთვისაც ისევე უხერხულია დედაენისა და სამშობლოს სიყვარულზე საუბარი, როგორც შვილ-ისთვისაა შეურაცხმყოფელი უთხრა — საკუთარი დედა გიყვარდესო. მაგრამ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უკვე საკმაოდ ხშირად ჩნდე-ბა ხოლმე ამ საკითხებზე საუბრის საჭიროება...

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენივე საუბრით ჩვენსავე ში-ნაგან სამყაროს ვავლენთ... ისე-თივე შინაგანი სამყარო, ინ-ტელექტი და კულტურა გვა-ქვს, როგორც ვმეტყველებთ... არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეტყველების კულტურა საზოგა-დოების ზოგადი კულტურის ნაწილია. მეტყველების დაბა-ლი კულტურა კი საზოგა-დოების ზოგადი კულტურის დაბალ დონეზე მიუთითებს...

ქართული ენა თავისი ის-ტორიითა და უნიკალურობით ერთ-ერთი უძველესია მსოფ-ლიოში. მას განსაკუთრებული დამოკიდებულებითა და მოწ-იწებით უნდა ვეპყრობოდეთ.

თამარ არზიანი

# XXI საუკუნის ქართული „თინეიჯერული მწერლობა“

ლიტერატურის მოყვარულნი ხშირად ჩივიან, რომ თანამედროვე ქართული მწერლობა ძალიან სუსტი და უფერულია, აღარ გვყვანან მხატვრული სიტყვის დიდოსტატები და ა.შ.

სოციოლოგიური გამოკითხვებიდან ირკვევა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი თანამედროვე ლიტერატურას საერთოდ არ კითხულობს. ეს მეტად საზიანო ტენდენციაა, თუმცა ქართულ მწერლობას ამჟამად „რენესანსის ხანა“ უდგას. ამ მოსაზრებას ადასტურებს ახალშობილი მიმდინარეობა, რომლის შესახებაც შეიძლება ბევრმა არაფერი იცოდეს. ყველას გაგვიგია: კლასიციზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი და ა. შ. მათ გვერდით თავის ადგილს იკავებს ახალი „ლიტერატურული“ მიმდინარეობა, რომელსაც პირობითად „თინეიჯერულ მწერლობას“ ვუწოდებთ.

„ძაან დაღლილი ამ ქვეყნიდან
გაქცევას ვაპირებ,
მაგრამ ამ ძინდა, ჩემი საცოლეო
ისიც მპირდა დამიჭერ.
ბუკლეტი“

ქართული „თინეიჯერული მწერლობა“ ხასიათდება რიგი თავისებურებებით. ამგვარი ლიტერატურის ნიმუშების უმეტესწილად გადაანყდებით კედლებზე, დერეფნებში და იმ ადგილებში, სადაც მეფენიც კი საკუთარი ფეხით დაიარებიან. რაც შეეხება „თინეიჯერ შემოქმედებს“, ისინი უმეტესწილად ფსევდონიმით სარგებლობენ.

რა არის მთავარი თემა, მოტივი „თინეიჯერული მწერლობისა“?

მოგეხსენებათ, სიჭაბუკე გრძნობათა მოზღვავების ხანაა და გასაკვირი არ იქნება, თუ განვაცხადებთ, რომ აღნიშნული ლიტერატურული მიმდინარეობისა მთავარი და ერთადერთი მოტივი გახლავთ „სიყვარული“.

ამ ეტაპზე შევეცდებით, მკითხველს ამ მწერლობაზე წარმოდგენა შევუქმნათ, იმ ნიმუჯშების მეშვეობით სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებზე უხვად რომ არის მიმობნეული:

*„მე შენ მიყვარხარ და არ მაქვს ამის უფლება!*
*მაგრამ სიყვარულს ვინ წაართვა თავისუფლება?!“*

ვკითხულობთ დაბნედილი სატრფოს აღსარებას უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, ერთ-ერთ სვეტზე.

იქვე მახლობლად: აღნიშნულ სტრიქონებს ეხმიანება წარწერა:

*„ყმაგთოვლიბოლ გული ყოფნაგ ვერ იცანგ,*
*მიწამლილ მზერით ლამიგგენ გაცანჯვილიდან“.*

კიდევ ერთი საინტერესო ნიმუში:

*„ძაან ლაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევა ვაპირებ,*
*მაგრამ ამ ძინდა, ჩემი ცაცინეო რომ მპირდა ლამიჭერ.*
*შეკვნპირა“*

დამეთანხმებით, რომ ალბათ მხოლოდ შექსპირას პოეტურ გენიას თუ ძალუძს, შექმნას ამგვარი „შედევრები“. ლექსის ავტორს სავსებით „სწორად“ შეურჩევია ფსევდონიმი.

„მე შენ მიყვარხარ და არ მაქვს
ამის უფლება!
მაგრამ სიყვარულს ვინ წაართვა
თავისუფლება?!“

აი კიდევ სხვა ნიმუში:

*„თუმც შენი ცხელ ნათელო ცხოვთ ყონა მგონია,*
*შენგ ციშვიდოთ ჯოჯოხეთი მონაგონია.*
*ფოცხვერა“.*

როგორც ვხედავთ, ფოცხვერაც სხვათა მსგავსად უგალობს უმშვენიერეს გრძნობას, რასაც სიყვარული ჰქვია. თუმცა ფსევდონიმი „ფოცხვერა“ ცოტა არა ესთეტიურად

ჟღერს, მაგრამ მისი „შემოქმედება“ ცხადყოფს, თუ როგორი მგრძნობიარე და ნაზი გულის პატრონია პოეტი. უფრო მეტიც, „ფოცხვერა“ გვევლინება ბარათაშვილის „იდეურ მემკვიდრედ“ რადგან ისიც სულიერი მშვენიერების მეხოტბეა და მზადაა თვალი დახუჭოს სატრფოს ფიზიკურ ნაკლზე.

ბარათაშვილის „პოეტურ გავლენას“ ვხვდებით შემდეგ სტროფშიც:

*„მე ყოჯლი ვარ ლა თან ფლინვთოლო.*
*მე შენს ნიფვრფოლს ვერ გვეეჯეტი.*
*ნიმზე ვერ იტყვი: „გულა ვრა ვჯვნ“.*
*მე გულა მჯონლა ლა შენ მოგეტი!“*

როგორც ვიცით, ბარათაშვილი მხოლოდ კოჭლი იყო, ჩვენი ავტორი კი უსინათლოც ყოფილა. ამით მაინც „აჯობა“ ტატოს. როგორი ტრაგიზმით მიმართავს იგი სატრფოს: „მე გული მქონდა და შენ მოგეცი!“ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მადლიერ გულის სწორს იქვე მიუწერია: — „მადლობა, რატომ შეწუხდი“.

უფროსებისგან შეიძლება ხშირად გავიგონოთ საყვედური მოზარდების მიმართ. ისინი ჩივიან, რომ ყველა სხვა უბედურებასთან ერთად ახლანდელი თაობის ნაწილი, უბრალოდ, გონებაშეზღუდულია. ამას ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით. ამ თვალსაზრისის გაბათილებას ემსახურება მთელი წერილი. იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი სიღრმისეული აზროვნება და შემოქმედებითი შესაძლებლობები აქვთ „თინეიჯერებს“, მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს:

*„ნიმო ნიტოტნლოიო*
*ლიდნვნნ იტოტნლოიო.*
*ფშენოლ რვ ვრინ*
*ნიმი ნიტოტნლოიო?!“*

ზოგიერთი შემოგვედავება — ერთ სტროფში სამჯერ „სიცოცხლის“ ხსენება რა უბედურებაა? ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ეს ახალი მხატვრული ხერხია, „თინეიჯერული მწერლობის“ მონაპოვარი. კიდევ ერთი ნიმუში:

*„ონ, მეგონვრო, მე ნომ ინ მიყვრნ!*
*გვნვ ვნეთებნ ლეინო ვრ ყყვრო?*
*მვშ გვყშვრეყონ ვიფვლ ვინ ყყვრნ!*
*ლოთი ნვლრეთო მყვნ, მვიფლ ინ მიყვრნ!“*

აქ კარგად ჩანს, თუ რამდენად აუბნია სიყვარულმა პოეტს თავგზა. იგი ხეირიანად სტროფის გარითმვასაც ვერ ახერხებს.

ბედისადმი დაუმორჩილებლობა, არსებული სინამდვილისადმი პროტესტი, თავისუფლების თანამედროვე გაგება იგრძნობოდა შემდეგ ლექსში:

*„ვტნოვრობ ტნოვრებით რეჰერინ,*
*ვვყეთებ მვნ, რვტ შემფერინ,*
*ლა თუ ნვნე მვქ მე მყვლელინ,*
*ნიყვლილი ვლობვთ შენ გელინ!“*

„პოეტური შედევრებისა“ და ბოტასის უზარმაზარი ნაფეხურების გარდა, უნივერსიტეტის კედლებზე შეიძლება გადავაწყდეთ ბრძნულ აზრებსა და აფორიზმებსაც. მაგალითად:

*„თუ ნვრ ნიყვრფოლინ თვნი,*
*ვრ ლთეინო ვრნვლ ჰლოვნი!“*

*„ტნოვრებვ ყიბევ ლოეთტინ ლეილვტ...“*

*„ვლეშინში ეძე ფოლი, ნორეი ბშვრშეტ ყი ეეილებვ!“*

*„ბებვნჩეშინ ბებვ ლოობეინ გვყბერრვ“ ლა ფნვ.*

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უმცირესი ნაწილია „თინეიჯერული“ შემოქმედებისა, რომელსაც უნივერსიტეტის მრავლისმომსწრე კედლებზე გადააწყდებით. წერილში შესატანი დარჩა მრავალი თხზულება, მხოლოდ ერთი მიზეზის გამო. ხშირად მიმართავენ სკაბრზეულ უხამს გამოთქმებს, რაც მათი „ერთადერთი“ ნაკლია, ალბათ.

იმედია, მკითხველს ბუნდობანი წარმოდგენა მაინც შეექმნა იმ ლიტერატურულ მიმდინარეობაზე, ჩვენი მწერლობის წიაღში, რომ არსებობს უკვე დიდი ხანია. ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ლიტერატურათმცოდნეები სათანადოდ შეისწავლიან „თინეიჯერულ მწერლობას“, რაც ხელს შეუწყობს მის დახვეწასა და პოპულარიზაციას.

ლევან ბებურიშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
II კურსი

# ფანატომანია

## S O S !

## ნუ შექმნი კერპს!

დღეს ფანატიზმი შეიძლება ითქვას, ისეთივე მაღალ საფეხურზეა, როგორც უძველეს დროში კერპთაყვანისმცემლობა იყო, რატომღაც სურვილი გამიჩნდა ამ თემაზე ვისაუბრო, რადგან მისი გამოვლინებები ყოველი ფეხის ნაბიჯზეა და იგი გარკვეულწილად ყველა ადამიანს საფრთხეს უქმნის.

რა იყო კერპი უძველესი ადამიანისთვის თუ არა საგანი, რასაც იგი პატივს მიაგებდა, წარმოიდგენდა რა მას უზენაეს და გამორჩეულ საგნად ან არსებად. ეს საკმარისი ხდებოდა გაეკერპებინა და ღვთაებად ეღიარებინა იგი. ხშირად კი საკუთარი თავი გამხდარა ადამიანისთვის კერპი, რაც საკუთარი თავისადმი სწორედ ფანატიკური დამოკიდებულებით თუ სიყვარულით აიხსნება. ამის მაგალითები ბიბლიაშიც მრავლადაა, თუნდაც საულ მეფე გავიხსენოთ. იგი თავიდან მოკრძალებითა და სიმორცხვით ავიდა ტახტზე, თუმცა შემდეგ თავი ამპარტავნებით გაიკერპა.

ძალზე საინტერესოა ფაქტი, რომ ყოველივე თავისი საწყისით კეთილია, მაგრამ ჩვენ ჩვენი ცხოვრებით მას ბოროტებისა და ნაკლოვანებისაკენ წარვმართავთ. ავიღოთ დღევანდელობა, დღეს ბევრი სახის ფანატიზმის გამოვლინებას ვხვდებით, რომ აღარ ვისაუბროთ საკუთარი თავის გაკერპებაზე, კარგადაა ფესვგადგმული და თითქოს მოსაწონიც კი გამხდარა რომელიმე გამოჩენილი ადამიანის „გაფანატება“. ეს ხშირად გაუცნობიერებლადაც ემართებათ ადამიანებს, ან მიმბაძველობით. ნახავენ რომელიმე „ფეშენებელურ“ ფილმს, ან მოისმენენ რომელიმე „მოდური“ ჯგუფის მუსიკას, და მორჩა, თავს უკვე ფანებად მოიხსენიებენ. დღეს თბილისში მრავლად ნახავთ უცნაურად ჩაცმულ „ემოებსა“ თუ სხვა სახელის მატარებელ ახალგაზრდებს, რომლებიც ვითომ გარეგნული სახით გამოხატავენ გაკერპებულის თაყვანისცემას. ვისაუბროთ, თუნდაც ფეხბურთის ან რომელიმე სპორტის ზღვარგადასულ გულშემატკივრობაზე: ჩაიცვამენ რა გასაკვირი სიჭრელით, მოიხატავენ სახეს, მთელს დღეს იმის გამორკვევაში გაატარებენ თუ რომელი გუნდი, რომელს მოუგებს და ვის

რა ელის ამ თამაშის შემდეგ, ამაზე დარდით ატარებენ დღეებს დაუსრულებლად.

ასევე ვიტყოდი, ფანატიზმისა და ფანატიკოსების დღევანდელი სამყოფელი და ნავსაყუდელი ტოტალიზატორია, სადაც რეალიზაცია ეძლევა მათ ფანატურ იდეებს. ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ახლობლებსა და თუნდაც მათ მატერიალურ ყოფაზე.

ძალიან რთულია ჩაულრმავდე ყველა იმ წვრილმანს, რომელიც ასე ხშირად და დაუფარავად ჰპოვებს ადგილს ჩვენში. მომისმენია გოგონების საუბარი, როდესაც ერთი მათგანი მეორეს „აფანატებს“.

ფანატიზმს სავალალო შედეგები მოაქვს. პირველ რიგში იგი უფლის რისხვას მოიწევს, რადგან ყოველი დიდება უფალს ეკუთვნის. და თუ ჭეშმარიტად უფალთან ვართ, ასეთი რამ არ დაგვემართება. უფალთან დაშორება ადამიანში ფანატიზმის დაბადებას იწვევს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადამიანი ამ თვისების მატარებელია. სწორედ ამით აიხსნება სიმრავლე რელიგიებისა მსოფლიოში და ისტორიას არ ახსოვს ერა, როდესაც ადამიანი ვინმეს ან რაიმეს თაყვანისცემის გარეშე ყოფილიყო თავისი აზრებითა და ფანატური დამოკიდებულებით.

და ბოლოს, მინდა დავძინო, სხვაა გულშემატკივრობა და სხვაა ფანატიზმი. გულშემატკივრობა სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, გულთან ახლოს მიტანას და მხარდაჭერას, დადებით ემოციას გულისხმობს, რომელიც შორსაა ფანატიზმისაგან. ასე რომ, ყოველთვის გულისყური უნდა ვუგდოთ საკუთარ თავს, რათა არ გადავცვივდეთ დამღუპველ უკიდურესობაში, მუდამ ჟამს ფხიზლად ვიყოთ და უფლისათვის ღია გვქონდეს გულის სარკმელი, რათა ყოველთვის შევძლოთ ჭეშმარიტად თაყვანი ვსცეთ ღმერთს, ჩვენს დამბადებელს, რომლისა არს ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი
მარიამ დედაბრიშვილი




## მგზავრის წერილები

მონასტერი ბერძნული სიტყვაა და „განდეგილის სენაკს“ ნიშნავს. ისტორიკოს ჯუანშერის (XI ს.) ცნობით, მეფე ვახტანგ გორგასლის ინიციატივით პირველი ქართული მონასტერი კლარჯეთში დაარსებულა, რომელიც ბერძნული ტიპის ყოფილა. რაც შეეხება ბერმონაზვნულ ცხოვრებას, იგი IV საუკუნეში ყალიბდება. ფუძემდებლები კი ეგვიპტის უდაბნოში მოღვაწე ღირსი ბერები: პავლე თებაიდელი და ანტონი დიდი ყოფილან.

თუმცა, ჩვენ არა ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ მონასტერზე, არამედ მე-VI საუკუნის 30-იან წლებში ქრისტიანობის გასავრცელებლად მოსული 13 ასურელი მამის ნამოღვაწარზე ვისაუბრებთ.

მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1350 მეტრის სიმაღლეზე აღმართულია საგურამოს ქედის ერთ-ერთი მწვერვალი, რომელზეც დიდებული ზედაზენის მონასტერი მდებარეობს. უძველეს წარსულში მეფე ფარნაჯომის (112-99 წწ. ქრ.შ-მდე) ბრძანებით, ქედზე ზადენის რისხვის მფრქვეველი კერპი აღუმართავთ. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „აღაშენა ციხე და მეფემან ფარნაჯომ აღმართა მუნ კერპი“. ზადენის კერპს თვით მეფე და დიდებულნი ეთაყვანებოდნენ. ასე იყო ქართლის გაქრისტიანებამდე. IV საუკუნის დასაწყისში, წმიდა ნინოს ლოცვით და მხსნელი ქადაგებებით, მეფე მირიანი და დედოფალი ნანა კეპრთაყვანისმცემლობას ჩამოშორდნენ და ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად აღიარეს. VI საუკუნის პირველი ნახევარი კი უმძიმესი პერიოდი იყო ახალმოქცეული სამეფოსათვის. სპარსეთის შემოსევებმა, რომელთა მიზანი ქვეყანაში ქრისტიანობის აღმოფხვრა და ზოროასტრიზმის გავრცელება იყო, სერიოზული საფრთხე შეუქმნა ერს. VI საუკუნის 30-იან წლებში სარწმუნოებას ხსნად სირიელი მამები მოევლინენ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: „ფარსმანის-ზე მოვიდა შუამდინარით, რომელთა ეწოდა ზედაზნელი“, სწორედ იოანე წინამძღვრობდა ასურელ მამებს, რომელნიც ძლიერ ურყევ სვეტად ექცნენ ქართულ ეკლესიას.

ქართლში მობრძანებულმა ასურელმა ბერებმა ზედაზნის მთას მიაშურეს... ოთხი წლის ერთად მოღვწეობის შემდეგ, იოანემ მოწაფეები დამოძღვრა და სხვადასხვა მხარეს „განუტევა“, თავად კი ზედაზენზე დამკვიდრდა.

წმიდა იოანემ 30 წელი გაატარა პატარა ქვაბულსენაკში (მღვიმეში). ნეტარის სიცოცხლეშივე მისმა მოწაფე თადეოზმა, იგივე თათემ, ზედაზნის მთის ძირას დააარსა მონასტერი, ქვემო ზადენი. გარდაცვლილი წინამძღვარი, საკუთარი ნების წინააღმდეგ (მას ქვაბულში დაკრძალვა სურდა), სწორედ თათეს მიერ აშენებულ მონასტერში დაკრძალეს. მაგრამ მოხდა სასწაული — მიწა იძრა და მანამდე არ დაწყნარდა, ვიდრე ანდერძი არ გაიხსენეს. შეშფოთებული მოწაფენი იძულებულნი გახდნენ ცხედარი მღვიმეში გადაესვენებინათ. VIII ს-ში იოანეს წმიდა სხეულის დაკრძალვის ადგილას დარბაზული ეკლესია ააგეს. ჩვენს დრომდე მოღწეული წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ბაზილიკა კი X ს-შია აგებული დარბაზული ეკლესიის ადგილზე.

ბაზილიკა სამნავიანია და რიყისა და ნატეხი ქვისაგანაა ნაგები, ერთმანეთისგან წყვილ ბურჯზე დაყენებული თაღებით გამოიყოფა. წმინდა იოანეს საფლავის ეკვდერი ჩრდილოეთის ნავშია ჩართული. ტაძარშივე დაკრძალულია ელია დიაკონი. აქვე აღვნიშნავთ, რომ სირიიდან იოანეს წინამძღოლობით არა ცამეტი, არამედ თოთხმეტი მამა მობრძანდა. 13 მათგანის სახელი და ღვაწლი საქვეყნოდ ცნობილია. მეთოთხმეტეს, ელია დიაკონს მონასტერი არ დაუარსებია, იგი იოანეს გვერდით იყო მუდამ. წმიდა იოანეს აღსრულების შემდეგ ელია მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს და შემდეგ იქვე აღესრულა.

ბაზილიკის ინტერიერში ჩრდილოეთის ნავის დასავლეთ ნაწილში ჭაა ჩაჭრილი. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ ამ ეკლესიის კამარიდან „სწვეთს წყალი და უდგას ქვემოთ აბაზანა ქვისა და შეიკრიბვის მას შინა. არა გარდმოედინების არცა აღმოვსების მოაკლდების და ასევე ჰკურნებს სენთა“.

XIII-XIV საუკუნეთა მანძილზე ზედაზნის მონასტერმა მრავალი განხლება-შეკეთება განიცადა.

ზედაზნის სავანე საქართველოს ისტორიის დიდებული ფურცელია. წმიდა იოანე და მისი მოწაფეები კი საქართველოში სამონაზვნო ცხოვრების დამაარსებლად ითვლებიან. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იოანე წმიდანად შერაცხა და მას 20 მაისს მოიხსენიებს. ეს დღე სამონასტრო დღესასწაულად იქცა. ზედაზენზე საუკუნეთა მანძილზე თავს იყრის მრავალი მლოცველი, ცნობილია რომ წმიდა ილია მართალი თითქმის ყველა ზედაზნობას ესწრებოდა.

მსურველთ ძალზე იოლად შეუძლიათ ზედაზნის მონატერში მოხვედრა. რა გვჭირდება იმისთვის, რომ ტაძრამდე მივიდეთ? პირველ რიგში სურვილი, შემდეგ მონდომება და არც ის იქნება ურიგო, თუ ცოტა ფეხით სარულის მოყვარულნიც იქნებით.

მოგიყვებით როგორ მოვახერხეთ შუა ზამთარში მე და ჩემმა მეგობარმა ზედაზნის მონასტრის მოლოცვა...

შუადღის პირველ საათზე მე და გიორგი დიდუბის ავტოსადგურზე ვიყავით, (სასურველია, დილით დაახლოებით 9 საათისთვის გახვიდეთ, შემდეგ რომ არ ინანოთ — ადრე წამოვსულიყავით, ცოტა დიდხანს გავჩერდებოდითო. ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნებით) არც მე და არც ჩემი მეგობარი მონასტერში ნამყოფები არ ვიყავით და მძღოლს ვთხოვეთ იმ ასახვევთან გაეჩერებინა, რომელიც მონასტრამდე მიგვიყვანდა. 40 წუთის მგზავრობის შემდეგ მძღოლმა ზედაზნის გზისკენ

მიგვითითა... დაახლოებით 4-5 კილომეტრი ფეხით გვქონდა გასავლელი, მაგრამ ეს არ გვაბრკოლებდა, პირიქით, ამ დროს ადამიანები ყველაზე გულახდილნი არიან და ჩვენც სათქმელის მეტი რა გვქონდა... გზად ვიწრო აღმართი იყო, რომელსაც დიდი თოვლი ფარავდა. მგზავრები თითქმის არ შეგვხვედრია, თუ არ ჩავთვლით ერთ ავტომობილს, რომლის მძღოლმაც წაყვანა შემოგვთავაზა (ის გზა მხოლოდ მონასტრისკენ მიდიოდა), ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ, რა თქმა უნდა, პასუხი ორივემ კარგად ვიცოდით და ცოტა ხანში მანქანა ჩვენს თვალს მიეფარა...

სამსაათიანი სიარულის შემდეგ მონასტრის ჭიშკარი გამოჩნდა. ორივეს ძლიერ გაგვეხარდა და ფეხსაც ავუჩქარეთ... უკვე ეკლესიაში ვართ, სანთელს ვანთებთ, მხურვალედ ვლოცულობთ და დაღლილნი იმ წყალს მივირთმევთ, რომელიც იოანე ზედაზნელის მოღვაწეობის დროს აღმოცენებულა.

ტაძარში არავინ იყო, თუმცა გაყინულებს ახლად გახურებული ღუმელი გვათბობდა და ამ ღუმელს ბერი ან მორჩილი რომ დაანთებდა, უდავო იყო...

რამდენიმე წუთის შემდეგ ტაძარში ბერი შემოვიდა...

ბერი საბა, არასდროს დამავიწყდება მისი სახელი. ჩვენი იქ მისვლით ჯერ გავაკვირვეთ და შემდეგ გავახარეთ. გავაკვირვეთ იმიტომ, რომ თურმე ფეხით იშვიათად ასულა ვინმე და მით უმეტეს ზამთარში (თუმცა ჩვენ ხომ უკვე ვთქვით, მთავარი სურვილი და მონდომებაა).

ძალზე რთულია იმ გრძნობების ფურცელზე გადმოტანა, რაც ჩვენ მამა საბასთან საუბრის დროს განვიცადეთ, მაგრამ მივხვდით, რომ ერთიათად გავიზარდეთ... მამამ ბრძნულ საუბართან ერთად, წამოსვლისას ზედაზნელის 2 ხატი გვაჩუქა და ზედაზნობაზეც (20 მაისი) დაგვპატიჟა.

წინაპრებს ბევრი უწვალიათ, უშრომიათ ოფლი დაუღვრიათ და მრავალი სალოცავი აუშენებიათ. შემდეგ ხმალშემართული ბრძოლებით, რომლებშიც მრავალი ქართველის სისხლი დაღვრილა, ამ სალოცავთა უმეტესობა შეუნარჩუნებიათ და ჩვენ განა რანი ვართ, თუ იქ წასვლაც არ მოვისურვეთ და მითუმეტეს, დავიზარეთ?!

მაშ ერთად ვეძებოთ გზა ცხონებისა...

ლაშა კიკვილაშვილი

# საკვანძო ტესტი ქალბატონ ეთერ უროტაძეს

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო უძველესი და მდიდარი კულტურის ქვეყანაა, სადაც ქრისტიანული ხელოვნება ყოველთვის განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა. ჭედურობა, ფრესკა, მინანქარი, ხატწერა, ნაქარგობა — ყველა ეს დარგი ადამიანის სულიერების ამაღლებას ემსახურებოდა და ამდენად, მათი შენახვა და შთამომავლობისთვის გადაცემა მნიშვნელოვანი საქმე იყო. საბედნიეროდ, წინაპრებმა ყველა ეს დარგი ჩვენამდე მოიტანეს და დღეს ყველას გვაქვს შესაძლებლობა დავეუფლოთ მათ. ამჯერად ყურადღება ამ დარგთან ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულს — საეკლესიო ნაქარგობას დავუთმოთ.

ქარგვის ამ ტექნიკას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ოდითგანვე დედოფლების საყვარელი საქმიანობა ყოფილა. თავად თამარ მეფეზე არსებობს ასეთი გადმოცემა: მას სიზმრად უნახავს დიდებული, ბრწყინვალე ტახტი და რაჟამს მასთან მიახლოება უცდია, ხმა გაუგია, რომელმაც ამცნო, რომ ეს ტახტი მის მოახლეს ეკუთვნოდა. თამარს გაკვირვებია, რით შეეძლო დაემსახურებინა მოახლეს ეს მართლაც რომ სამეფო ტახტი? მაშინ ხმამ აუწყა, რომ მას 12 მღვდელმთავრისთვის მოექარგა შესამოსელი. იმ დღიდან თამარს თავი არ დაუზოგავს და მასაც მოუქარგავს 12 მღვდელმთავრისთვის შესამოსელი. დღეს, ჩვენდა სასიხარულოდ, შეგვიძლია წმიდა მეფეს მივბაძოთ და ეს მშვენიერი ხელსაქმე შევისწავლოთ.

**ქალბატონი ეთერ უროტაძე, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საეკლესიო ნაქარგობის სახელოსნოს ხელმძღვანელი:**

— საქართველოში ქარგვა ძალზე პოპულარული იყო. იგი საზოგადოების ყველა ფენაში იყო გავრცელებული. თითქმის ყველა ოჯახში იყო მქარგველი. ხელსაქმე რომ დედოფლებს დიდად ხელეწიფებოდათ, ამაზე მიანიშნებს იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაშიც“ არის. წმიდა მეფე თამარი, მისი ისტორიკოსის ცნობით, მოწყალებას მხოლოდ საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაქარგიდან გასცემდა.

სამეფო ოჯახის წევრებიც დიდი მონდომებითა და სიყვარულით ხელსაქმობდნენ და თავიანთ ნაღვაწს ეკლესია-მონასტრებს სწირავდნენ. მომქარგველთაგან ცნობილია დედოფალი მარიამი — როსტომ მეფის მეუღლე, დედოფალი ანა-ხანუმი — თეიმურზ II-ის მეუღლე. ბატონიშვილი თუთა — ვახ-

ტანგ I-ის დედა, ბატონიშვილი გულქანი — დადიანის მეუღლე და მონაზონი ანა — გარეჯის მონასტრიდან.

ქარგვა წმიდა საქმედ ითვლებოდა. მონასტერში მქარგველები სამუშაოს შესრულებისათვის ისევე ემზადებოდნენ, როგორც მღვდლები ლიტურგიის აღსავლენად. სამუშაოს იწყებდნენ მხოლოდ დილის საათებში — საზრდოს მიღებამდე. სამუშაოს დაწყების წინ აღევლინებოდა ლოცვა იმ წმინდანის მიმართ, რომელიც უნდა მოექარგათ. ქარგვისას იკითხებოდა ფსალმუნები. ნაქარგობა იქმნებოდა სულიერ ატმოსფეროში, დღესაც აუცილებელია ქარგვის წინ მარხვითა და ლოცვით მოვემზადოთ.

***— როგორც ჩემთვის ცნობილია, პატრიარქის სურვილი იყო ქართველ ქალებს საეკლესიო ნაქარგობა ესწავლათ.***

— ეს მართალია. სამწუხაროდ ხელსაქმის ეს სახეობა გარკვეული დროით მიივიწყეს. საქართველოს პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის სურვილითა და დახმარებით 1983 წლიდან საქართველოს საპატრიარქოში და მცხეთა-თბილისის ეპარქიაში, შემდეგ წლებში კი სხვა ეპარქიებშიც ქარგვის კერები ისევ აღსდგა. ეს თითქმის დაკარგული და შეუსწავლელი ტრადიცია დღეს აღორძინების გზაზე დგას. სახელოსნოები თითქმის დედათა ყველა მონასტერში ფუნქციონირებს, აგრეთვე, თბილისის სიონის სამრევლო სკოლაშიც მოქმედებს.

სასულიერო სემინარიის სახელოსნო საეკლესიო ნაქარგობების კვლევის ცენტრის ფუნქციას ასრულებს.

***— რანდენად რთული და შრომატევადია ქარგვის ეს ტექნიკა?***

— საკმაოდ რთულია და შრომატევადიც. არსებობს ქარგვის ტექნიკის ორი სახე: უბრალო სითვი და ნამაგრი სითვი. ნამაგრ სითვს რამდენიმე სახეობა აქვს: თევზიფხურა, კალათურა, რომბულა, ორმაგი რომბულა, უბრალო ირბულა, კილოური. თითოეული სახე სხვადასხვა დანიშნულებისაა. მაგალითად კილოური წარწერების და ჩარჩოების მოქარგვისას გამოიყენება, თევზიფხურა — შარავანდედისა და შესამოსლის და ასე შემდეგ. საეკლესიო ნივთების „დაფარნების“, „გარდამოხსნების“ და სამღვდელმთავარო შესამოსელის მოქარგვას წლები სჭირდება. სიონის ტაძრის კრეტსაბმელი ოთხი ოსტატის მიერ 3 წელიწადში მოიქარგა; სამების დაფარნები კი ექვსმა ოსტატმა 3 წელიწადნახევარში მოვქარგეთ. სამების გარდამოხნას 30 ქალი მოუნდა და 1 წელში დამთავრდა, დედა ნინოს (მსხვილიძე)ხელმძღვანელობით.

***— სტუდენტები ინტერესდებიან საეკლესიო ნაქარგებით?***

— საეკლესიო ნაქარგობებისადმი ინტერესი ძალიან დიდია. სასულიერო აკადემიის რელიგიათმცოდნეობა-ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე ქარგვის სპეციალური ჯგუფები გვყავს. ამჟამად ნაქარგობაში სადიპლომო ნაშრომს 5 სტუდენტი ამზადებს. კერძოდ, იქარგება ენქერი, საბუხარები, სარტყელი, საეკლესიო ნავთებიდან გარდამოხსნა. ქარგვას სტუდენტების გარდა, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებიც სწავლობენ. სამებაში ხელსაქმის სკოლა ფუნქციონირებს, სადაც ქარგვას წელიწადში 500-მდე მოსწავლე ეუფლება. სამების სკოლის მოსწავლეებიდან 8 გოგონა დავასაქმეთ. 4 კრეტსაბმელს ქარგავს მთავარანგელოზების გამოსახულებით, ხოლო 4 — დეკანოზის შესამოსელს. წარჩინებული სტუდენტები შესაბამის სერთიფიკატს მიიღებენ, რომლითაც ხელსაქმის სწავლების უფლება ეძლევათ მართლმადიდებლურ გიმნაზიებსა და სამრევლო სკოლებში.

*„ხელსაქმე, რომელსაც სიმშვიდითა და ლოცვით აღასრულებ, თვითონაც ნაკურთხია და აკურთხებს ხალხსაც, რომელიც მას იყენებს“* — *ამბობს მამა პაისი მთაწმინდელი. ვაკეთოთ ღვთივკურთხეული საქმე და გავიმდიდროთ სულიერება, ისევე, როგორც ხელოვნება — ახალი ნიმუშებით.*

ᲜᲘᲜᲝ
ᲭᲘᲜᲭᲐᲠᲐᲣᲚᲘ

# „საქართველოში ფერმერების დახმარება სჭირდებათ“

## ჰას ყჩევს ამერიკელი სპეციალისტი ქართველ ფერმერებს

**საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ. სწორედ ასეთი პროგრამების ფარგლებში იქმნება რაიონებში ფერმერთა მომსახურების ცენტრები. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ფერმერების ტექნიკური გადაიარაღების ხელშეწყობა. სწორედ ამ მიზნით საქართველოში ჩამოსული იყო ამერიკელი სპეციალისტი მარკ პერკინსი, რომელიც ქართველ ფერმერებს ურჩევს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა პროგრამებში და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში თითოეულმა საკუთარი წვლილი შეიტანოს. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.**

***— რა მისით ჩამოხვედით საქართველოში?***

— საქართველოში ჩამოსული ვიყავი, რომ MCC-ისთან ერთად გამეკეთებინა ანალიზი და დიზაინი მექანიზაციის სფეროში, რათა მოხდეს ეკონომიკის ზრდა და სიღარიბის შემცირება. მილენიუმის მეშვეობით ვიღებდი ინტერვიუებს ფერმერთა მომსახურების სერვის-ცენტრებიდან (ბოლნისი, მარნეული, ბათუმი, ლაგოდეხი, ყვარელი და გურჯაანი). შევხვდი ტრაქტორების 5 დილერს („ჯთ ჯგუფი“, „მსოფლიო ტექნიკა“, „ჰერმესი“, შპს „სი-თი-ი“, „თეგეთა ტრაქტორი“), ხოლო შემდეგ შევხვდი სოფლის მეურნეობის მინისტრს, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრს, მსოფლიო ბანკის, USAID-ის წარმომადგენლებს. აგრეთვე, შევხვდი ფერმერებსა და აგრობიზნესში დასაქმებულებს. ყველა შეხვედრა, როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური სასარგებლო იყო საერთო საქმისათვის.

***— რას ფიქრობთ მექანიზაციაზე ჩვენს ქვეყანაში?***

— საქართველოს სოფლის მეურნეობას აქვს პოტენციალი იყოს ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკური განვითარების სექტორი. მზე, წყალი, ნაყოფიერი მიწა და ნატურალური რესურსი ამის საუკეთესო საშუალებაა. დღესდღეობით სოფლის მეურნეობის ბაზარი განუვითარებელია. არადა, თუ ეს სფერო განვითარდა, ეს იქნება კარგი ეკონომიკური ბიძგი ქვეყანაში. MCC საამისოდ მზადაა და თითოეულ ფერმერს უქმნის სასტარტო პირობებს. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დილერები მზად არიან მიაწოდონ ფერმერებს მექანიზაციის საშუალებები. საქართველოში ფერმერები ცოტა კრიტიკულად უყურებენ ასეთ პროგრამებს, არადა ეს პროგრამები სწორედ მათთვისაა შექმნილი. ეს პროგრამა ხორციელდება MCC და MCG მიერ, იქმნება ფერმერთა მომსახურების ცენტრები სხვადასხვა რეგიონებში. ისინი ხელს უწყობენ მექანიზაციის სერვისის მოწყობაში, რათა სარგებელი ნახონ მცირე და მსხვილმა ფერმერებმა. აგრეთვე, არსებობს გრანტის გამცემი რამდენიმე ორგანიზაცია (ამჟამად მოქმედი). ფერმერებს ვურჩევდი მიმართონ მათ. აპლიკაციის პროცესი არ არის ადვილი, მაგრამ გრანტის გამცემი მზად არის დახმარება გაუწიოს ფერმერს ანკეტის შევსებასა და პროექტის დაგეგმარებაში.

**— რა რეკომენდაციას გაუწევდით ფერმერებს, რომლებსაც უნდათ ტრაქტორის ყიდვა?**

— ფულის შოვნა, რათა იყიდო ძვირად ღირებული ტექნიკა, არ არის ადვილი. ფერმერებმა უნდა გამონახონ დრო და მოიძიონ ინფორმაცია, სად შეიძლება მონახონ გრანტი ან მცირეპროცენტიანი სესხები. დღევანდელი ეკონომიკური კრიზისის ფონზე სესხების აღება ძალიან გართულდა და თანაც, გაძვირდა, მაგრამ მსესხებელი ინსტიტუტები ისურვებდნენ ენახათ აპლიკანტი კარგი ბიზნესპროექტით. ჯანსაღი ბიზნესპრაქტიკული გამოცდილება, სწორი ბუღალტური აღიცხვა, აგრობიზნესში მექანიზაციის სწორად დაგეგმარება და მყარი შემოსავლები, თუნდაც, ის იყოს მცირე მასშტაბის არის გრანტის ან სესხის მიღების გარანტი.

აუცილებელი არ არის აგრარული სარგებლობა დაკავშირებული იყოს მექანიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიასთან. ის მოიცავს

## რუბრიკას უძღვება ახალგაზრდა ფერმერთა სახლი

AFESA

რამდენიმე ასპექტს და ხშირად მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით. აუცილებელია ინოვატორულობა, საზრიანობა. ამ შემთხვევაში, მარკეტინგი ხდება ძალიან მნიშვნელოვანი. ფერმერებს შეუძლიათ ძველი აღჭურვილობა გაანახლონ, უფრო პროდუქტიული გახადონ. თუ ფერმერები საქმეს ასე მიუდგებიან, საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზრდება აგრარული პროდუქციის წარმოება. სასურველია ფერმერებმა მოიძიონ მეტი ინფორმაცია, რათა მიიღონ მეტი ცოდნა პროდუქციის წარმოების შესახებ. ხშირი სწავლებები, რომლებსაც ატარებენ დონორი ორგანიზაციები და ამასთან ტრაქტორის დილერები, საამისოდ კარგი საშუალებაა. ასე რომ, საქართველოში ცოდნის თვალსაზრისით ფერმერებს, აგრობიზმესმენებს დახმარება სჭირდებათ.

აგრარული განათლება იწყება საჯარო სკოლებში („საქართველოს მომავალი ფერმერები“). შემდეგ უნდა გაგრძელდეს კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. ასეთია მსოფლიო პრაქტიკაც.

# კითხვები და პასუხები გენმოდიფიცირებული კულტურების შესახებ

**მე ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მეცნიერებამ დაარღვია ბარიერი, რომელიც ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო. თქვენ არ შეგიძლიათ უკან დააბრუნოთ სიცოცხლის ახალი ფორმები. ისინი უფრო დიდხანს იცხოვრებენ, ვიდრე ჩვენ, ჩვენი შვილიშვილები და შვილთაშვილები. ასეთი შეუქცევადი დარტყმა ბიოსფეროზე იმდენად გაუგონარი და წარმოუდგენელია, რომ ერთადერთს ვისურვებდი — არ ვიყო ამ დანაშაულში გარეული.**

**ერვინ ჩარგაფი, კოლუმბიის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი. მისმა შრომებმა საფუძველი დაუდო დნმ-ის ორმაგი სპირალის აღმოჩენას**

***როდის და როგორ „გაჩნდნენ“ გენმოდიფიცირებული კულტურები?***

გენური ინჟინერია, როგორც მეცნიერება, 70-იანი წლებიდან განვითარდა და უკვე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშია შემოჭრილი საკვები, რომელსაც მივირთმევთ, წამალი, რომლითაც ვმკურნალობთ, ტანსაცმელიც კი — რაც გვაცვია, შესაძლებელია ამ ტექნოლოგიის გამოყენებით იყოს მიღებული.

თავდაპირველად ეს „სინჯარის“ მეცნიერება იყო, რომლის „პრაქტიკული“ გამოყენების იდეა ქიმიურ კონცერნებს ეკუთვნით. პირველი შედეგები გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს გამოჩნდა, თუმცა, კომერციული მიზნით, გენმოდიფიცირებული კულტურები პირველად 1996 წელს დაითესა!

***რას წარმოადგენს გენმოდიფიცირებული კულტურები?***

გენმოდიფიცირებული კულტურები მიიღება გენური ინჟინერიის გზით. ასეთ მცენარეებში ჩანერგილია უცხო გენი, რომელიც მოცემულ მცენარეთა სახეობებს ჩვეულებრივ არ გააჩნიათ. მცენარის უჯრედში უცხო გენის ჩანერგვა „გენის თოფით“, ან მცენარეული უჯრედის ისეთი ბაქტერიით ინფიცირების

საშუალებით ხდება, როგორსაც უცხო გენი გადააქვს ამ უჯრედში.

***— განსხვავდება თუ არა გენმოდიფიცირებული კულტურა კონვენციური კულტურისაგან?***

— დიახ, განსხვავდება. გენმოდიფიცირებული კულტურა მიიღება ისეთი გზით, როგორიც ბუნებაში არ არსებობს. კონვენციური სელექციის დროს ჩვენ ვაჯვარებთ ახლო ნათესაურ სახეობებს, მაგალითად, — ხორბლის ერთ სახეობას მის სხვა სახეობასთან, პომიდორს პომიდორთანვე და ა.შ. გენური ინჟინერიის მეთოდებით შესაძლებელია თევზის გენის პომიდორში ჩანერგვა, ან ღორის გენისა — კარტოფილში და ა.შ., ანუ ბევრი ისეთი რამის ჩადენა, რაც შეუძლებელია, რომ ბუნებაში მოხდეს.

***— რომელი გენმოდიფიცირებული კულტურები არსებობს მსოფლიოში?***

— გენური ინჟინერიის ტექნოლოგია ამჟამად გვთავაზობს ოთხ ძირითად კულტურას: სოიო, სიმინდი, ბამბა და კანოლა (თალგამის ნაირსახეობა). კვლევები მიმდინარეობს სხვადასხვა მარცვლეულ, პარკოსან თუ ბოსტნეულ კულტურებზე, ასევე ხეხილზე, დეკორატიულ მცენარეებსა და ისეთ ხე-მცენარეებზე, როგორიცაა ფიჭვი, ალვის ხე, ევკალიპტი და სხვ. დღეისათვის სულ 30-მდე მცენარეს აქვს მიღებული ავტორიზაცია (ნებართვა) კომერციულ თესვაზე.

***— რა არის გენმოდიფიცირებული კულტურების ძირითადი მახასიათებლები?***

— გენმოდიფიცირებულ კულტურები ძირითადად რეზისტენტული არიან:

1. მწერების მიმართ თ (აცილლუს ტჰურინგიენსის) გენის მეშვეობით, ან
2. ჰერბიციდების მიმართ (გენი, რომელსაც ეს კულტურები ატარებენ, განაპირობებს მათს გამძლეობას ჰერბიციდების მიმართ).

გენმოდიფიცირებულ კულტურათა მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი არის რეზისტენტული ვირუსების მიმართ.

***— არის თუ არა გენმოდიფიცირებული საკვები კონვენციურ საკვებზე უკეთესი?***

— არა, არ არის! გენმოდიფიცირებულ საკვებ პროდუქტს არანაირი უპირატესობა არ გააჩნია კონვენციურ საკვებთან შედარებით. ის კონვენციური მეთოდებით მოყვანილ კულტურებთან და საკვებთან შედარებით არც უფრო გემრიელია, არც შესახედავადაა უკეთესი, არც უფრო ყუათიანია და, ჩვეულებრივ, მისი მოყვანაც უფრო იაფი არ ჯდება. ვერ ვიტყვით, რომ გენური ინჟინერიის ტექნოლოგიამ გაზარდა საკვების არჩევანი ან ხარისხი. ფაქტობრივად, გენმოდიფიცირებული საკვები კულტურები შეიძლება საფრთხესაც შეიცავდეს ადამიანის ჯანმრთელობისა და

გარემოსათვის.

***— თუ გენმოდიფიცირებული კულტურები და საკვები უფრო საღი და იაფი არ არის, რატომღა აწარმოებენ?***

— გენური ინჟინერიის ტექნოლოგიას თითქმის მთლიანად ფლობს 6 მულტინაციონალური კომპანია: მონსანტო, სინჯენტა, დუპოინტი, ბასფი და ბაიერი. კორპორაციებისათვის გენმოდიფიცირებული კულტურა იგივეა, რაც ნებისმიერი სხვა საქონელი. მათ ინვესტირებული აქვთ თანხები ამ კურტურების წარმოებაში და მათთვის ეს საქმიანობა ბიზნესია, საიდანაც უნდა მიიღონ მოგება.

***— შესაძლებელია თუ არა გენმოდიფიცირებული კულტურის ისევე თავისუფლად მოყვანა, როგორც სხვა კულტურებისა?***

— არა, არ არის შესაძლებელი! გენმოდიფიცირებულ კულტურებთან ასოცირებულია მრავალი რისკი: ისინი საფრთხეს უქმნიან ბიომრავალფეროვნებას, სასარგებლო მწერებსა და კულტურათა ველურ მონათესავე სახეობებს. ცალკე საკითხია გენმოდიფიცირებული საკვებით გამოწვეული რისკი ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთე-

ლობის მიმართ. მთელ მსოფლიოში გენური ინჟინერიის ტექნოლოგიის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ პირობებში, რომლებიც მკაცრად კონტროლდება. გენმოდიფიცირებული კულტურა უნდა დაექვემდებაროს სპეციფიკურ ტესტირებას და როდესაც ყველაფერი გაირკვევა, შეიძლება ნებართვის გაცემა, რომ ფერმერებმა მოიყვანონ ასეთი კულტურა.

***— გადაჭრის თუ არა გენმოდიფიცირებული კულტურები შიმშილისა და არასაკმარისი კვების პრობლემას?***

— ძნელია დავინახოთ კავშირი გენმოდიფიცირებულ კულტურებსა და კვების უკმარისობას შორის. ადამიანები იმიტომ შიმშილობენ, რომ მათ არ გააჩნიათ შემოსავალი თავიანთი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. არაგონივრულია კვების უკმარისობის პრობლემის გადასაჭრელად ძალისხმევა მივმართოთ ერთი კულტურის განვითარებაზე, ნაცვლად ბუნებრივი ბალანსირებული კვებითი რაციონისა, რომელიც მოიცავს მარცვლოვნებს, პარკოსნებსა და ბოსტნეულ კულტურებს. მითუმეტეს, რომ გენმოდიფიცირებული კულტურები ჯერჯერობით არც მაღალმოსავლიანობით გამოირჩევიან და არც განსაკუთრებული კვებითი ღირებულებით. ამასთან, ამ ტექნოლოგიის გამოყენება დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ამდენად გენმოდიფიცირებული სათესლე მასალა საკმაოდ ძვირია და გათვლილია ინდუსტრიული წარმოების და არა მცირე და ღარიბი ფერმერების მოთხოვნილებებზე.

***— შეამცირებს თუ არა გენური ინჟინერია ტოქსიკური ქიმიკატების გამოყენებას?***

— როგორც ჩანს, არა! ჩვენ მეტ ტოქსიკურ ქიმიურ ნარჩენებსაც კი უნდა ველოდოთ. გენმოდიფიცირებულ კულტურათა უმრავლესობა მოჰყავთ იმ ჰერბიციდების გამოყენებით, რომელთაც იგივე კომპანია აწარმოებს, რომელიც სათესლე მასალას ყიდის. აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყანაში ჰერბიციდების რაოდენობა, შემცირების ნაცვლად, 22%-ით გაიზარდა, რაც დაიწყეს ჰერბიციდისადმი ტოლერანტული გენმოდიფიცირებული სოიოს მოყვანა.

***— უსაფრთხოა თუ არა გენმოდიფიცირებული საკვები?***

— სულ უფრო მრავლდება მეცნიერულად დამამტკიცებელი საბუთები, რომ გენმოდიფიცირებული საკვების მიღება არ შეიძლება უსაფრთხო იყოს. ექსპერტები ფიქრობენ, რომ გენური ინჟინერიისა და ბუნებრივ კულტურაში უცხო გენის გადატანის გამო გენმოდიფიცირებულმა მცენარემ თავის უჯრედებში შეიძლება დაიწყოს ახალი პროდუქტების გამომუშავება. ეს ახალი პროდუქტები შეიძლება შხამიანი იყოს, გამოიწვიოს ალერგიები, დაზიანოს ქსოვილები ან დაარღვიოს იმუნური სისტემა.

***— როგორ უნდა ავარიდოთ თავი გენმოდიფიცირებულ საკვებს?***

— არ შეიძინოთ იმპორტირებული საკვები, რომელიც შეიცავს სიმინდს, სოიას, კარტოფილს ან პომიდორს. მოსალოდნელია, რომ ეს საკვები გენმოდიფიცირებული იყოს. არ არსებობს გზა, რომ დარწმუნებით ვიცოდეთ, შეიცავს თუ არა იმპორტირებული საკვები გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს, რადგანაც კომპანიათა უმრავლესობა არ იძლევა ამ ინფორმაციას, თანაც, საქართველოს კანონმდებლობით, ჯერჯერობით მათ არც მოეთხოვებათ ასეთი ინფორმაციის მოწოდება.

***— რა არის ბიოუსაფრთხოება?***

— ტერმინი ბიოუსაფრთხოება სპეციალურად იქნა შემოღებული და გულისხმობს გარემოსა და ადამიანის დაცვას იმ საფრთხისაგან, რომელიც შეძლება გენური ინჟინერიის საშუალებით მიღებულმა ორგანიზმებმა გამოიწვიონ. განვითარებულ ქვეყნების უმრავლესობას აქვს ბიოუსაფრთხოების კანონმდებლობა და დაცვის შესაბამისი სისტემა. ბევრი განვითარებადი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, მხოლოდ ახლა იწყებს ბიოუსაფრთხოების შიდა ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებას.

***— რა არის გენმოდიფიცირებული ორგანიზმები და ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმები?***

გენური ინჟინერია, გენეტიკური მოდიფიკაცია და გენმოდიფიცირებული ორგანიზმები (GMO) ტერმინებია, რომლებიც ურთიერთშენაცვლებით გამოიყენება. ბიოუსაფრთხოების ოქმში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების აღსანიშნავად იყენებენ ტერმინებს - (გენმოდიფიცირებული ორგანიზმები) და (ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმები). გენმოდიფიცირებული ორგანიზმი არის ცოცხალი ორ-

განზმი, რომელსაც აქვს გენეტიკური მასალის რადიკალურად ახალი, გენური ინჟინერიით მიღებული კომბინაცია.

***— რა არის გენმოდიფიცირებული პროდუქტები?***

— გენმოდიფიცირებული პროდუქტები მრავალნაირია — გარკვეული ვაქცინები, წამლები, საკვები დანამატები და მრავალი გადამუშავებული თუ დაკონსერვებული საკვები პროდუქტი შეიცავს მკვდარი მოდიფიცირებული ორგანიზმების ან არაცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველ კომპონენტებს. გენმოდიფიცირებული სოიოს თუ სიმინდის კომპონენტები შესაძლებელია ისეთ პროდუქტებშიც კი შეგვხვდეს, როგორიცაა შოკოლადი, იოგურტი, ძეხვი, და სხვ. ლუდის წარმოება და პურის საცხობები ხშირად გენმოდიფიცირებულ საფუარს იყენებენ.

***— რა პოტენციური რისკები აქვს ბიოტექნოლოგიას?***

— თანამედროვე ბიოტექნოლოგია ძალზე ახალი დარგია და გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სხვადასხვა ეკოსისტემებთან ურთიერთქმედების შესახებ ბევრი რამ არც არის ცნობილი. შესაძლო მავნე გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, არასამიზნე სახეობებზე (სასარგებლო მწერებზე) და ეკოსისტემებზე. ასევე არსებობს გენმოდიფიცირებულ კულტურებში ჩართული გენების სტაბილურობის პრობლემა:

ა) შესაძლოა გენმა დაკარგოს თავის ეფექტურობა;

ბ) შესაძლოა გენი ბუნებრივი გზით გადავიდეს სხვა კულტურაზე და დაიწყოს არაგამიზნული ტოქსინებისა და ალერგენების გამომუშავება (გასარევლიანების ეფექტი).

არსებობს მონაცემები უარყოფითი გავლენის შესახებ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროზე - განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, და ასევე კულტურული და რელიგიური ღირებულებების უგულვებელყოფის გამო.

***— როგორი საერთაშორისო რეგულირება ბიოუსაფრთხოების სფეროში?***

— საერთაშორისო რეგულირება ბიოუსაფრთხოების სფეროში ემყარება ბიოუსაფრთხოების ოქმს, რომელიც, თავის მხრივ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციას (ე.წ. რიოს დეკლარაციას) ეყრდნობა. ბიოუსაფრთხოების ოქმი ძალაში შევიდა 2003 წლის 11 სექტემბერს. ოქმი ეხება გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გადაადგილებას, ტრანზიტს, მათზე მანიპულაციებს და გამოყენებას, რამაც შეიძლება მავნე გავლენა იქონიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციასა დამდგრად გამოყენებაზე, აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობაზე.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას აქვს ბიოუსაფრთხოების კანონმდებლობა და დაცვის შესაბამისი სისტემა. ევროგაერთიანების ქვეყნების ძირითადი პრინციპებია:

— საზოგადოების ინფორმირება,

— ნიშანდება და მიკვლევადობა,

— რეგულაციები თანაარსებობისა და მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ,

— GMO-თავისუფალი ზონები.

საქართველო რიოს კონვენციის მხარეა 1997 წლიდან; ბიოუსაფრთხოების ოქმის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2008 წლის შემოდგომაზე, თუმცა კანონი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ და შესაბამისი მარეგულირებელი სისტემა საქართველოს ჯერჯერობით არ აქვს.

***— როგორი უნდა იყოს საქართველოს პოზიცია გენმოდიფიცირებული კულტურების მიმართ?***

„ყველამ იცის, რომ, ხელოვნური ტექნოლოგიების საპირისპიროდ, დღეს უკვე სერიოზული ბიძგი მიეცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და მათზე მოთხოვნილებაც და ფასიც მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება. ვფიქრობ, ჩვენთან ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც. ამიტომაც, ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური სასოფლო-სამეურნეო ჯიშები, თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს. ამით ჩვენ ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჯანმრთელობასაც დავიცავთ.“

საშობაო ეპისტოლე
უწმინდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ისა

**მარიამ ჯორჯაძე**
ასოციაცია ელკანა,
დირექტორი

## სასარგებლო რჩევები

### მოერიდეთ შაქრის სისტემატურ მიღებას

თუ „კოკა-კოლასა“ და „ფანტას“ მიირთმევთ, გაითვალისწინეთ, რომ ერთ ჭიქაზე მოდის ოთხი ნაჭერი შაქრის რაოდენობა, „სპრაიტის“ ჭიქაზე კი — სამნახევრისა. ცხადია, ასეთი რაოდენობის შაქრის მოხმარება, თანაც ერთი მიღებისას, ბევრია და სისხლში გლუკოზის შემცველობის რადიკალურ ზრდას იწვევს. ეს კუჭქვეშა ჯირკვალს აიძულებს, გაძლიერებული რეჟიმით იმუშაოს და დიდი რაოდენობის ინსულინი გამოყოს. გლუკოზა, რომელიც ნაწილობრივ ცხიმად გარდაიქმნება გლიკოგენის სახით ღვიძლსა და კუნთებში ილექება. შემდგომ ამისა, სისხლში კლებულობს შაქრის კონცენტრაცია, ადამიანს უჩნდება შიმშილის გრძნობა და კვლავ არასაჭირო კალორიების მისაღებადაა განწყობილი. შაქრის სისტემატურმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს შაქრიანი დიაბეტი, ამიტომ ეცადეთ, მოერიდოთ მსგავს სასმელებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მრავალ უსიამოვნობას გადაეყრებით.

### მწვანე ჩაის სიკეთე

მწვანე ჩაის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერება ხელს უშლის ახალი სისხლძარღვების განვითარებას. ავთვისებიანი წარმონაქმნები კი ახლადგანვითარებულ სისხლძარღვებზეა დამოკიდებული. ამიტომ, მათი განადგურების შემთხვევაში, სიმსივნეც ქრება. შავი ჩაისაგან განსხვავებით, მწვანე ჩაის დამზადების დროს ფერმენტაციის პროცესის დაწყების მიზნით ფოთლების უჯრედების სტრუქტურას არ ანადგურებენ.

### მრავალძარღვას სამკურნალო თვისებები

მრავალძარღვა კარგია კუჭის წყლულის, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, კატარის, კოლიტის დროს. იგი აძლიერებს კუჭის სეკრეციას. კუჭის წვენის მჟავიანობის დროს მისი გამოყენება მიზანშეუწონელია. მრავალძარღვა შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს: გლუკოზოიდებს, ქოლინს, აუკობინს, ვიტამინებს (C, A, K,), ლიმონმჟავებს, ფერმენტებს, მთრიმლავ ნივთიერებებს.

მრავალძარღვას ფოთლებით მკურნალობენ ძირმაგარებს, ინფიცირებულ ჭრილობებს. იგი აჩერებს სისხლდენას. ბავშვებს ყივანახველისა და ბრონქიტის დროს ასმევენ ახალი ფოთლების წვენს.

ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: უნდა დაკეპოთ გარეცხილი ნედლი ფოთლები და დანაყოთ. მიღებულ წვენს უნდა დაუმატოთ იმავე რაოდენობით თაფლი და ადუღოთ თავდახურულ ჭურჭელში დაბალ ტემპერატურაზე 20 წთ. დღეში სამჯერ მიიღეთ სუფრის კოვზით. ნაყენის მომზადება შეიძლება გამხმარი ფოთლებისგანაც.

2 სუფრის კოვზი დაკეპილი ფოთოლი ჩაყარეთ ჭურჭელში, დაასხით მდუღარე წყალი (ერთი ჭიქა), გააჩერეთ 30 წთ, გადაწურეთ და დღეში ოთხჯერ დალიეთ ჭამის წინ 15-20 წუთით ადრე.

# ინტელექტუალური თამაში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“

## დასრულდა ზონალური ეტაპი

**აჭარა 27.04**
პატარები: „ხარება“ – ბათუმის წმ. ანდრია მოციქულის სახ. გიმნაზ ია-პანსიონი.

**ქვემო ქართლი 05.05**
დიდები: „კელაპტარი“ – რუსთავის №10 საჯ. სკოლა.
პატარები: „ცისარტყელა“ – რუსთავის №7 საჯ. სკოლა.

**მცხეთა-მთიანეთი 05.05**
დიდები: „ალილო“ – თიანეთის საჯ. სკოლა.
პატარები: „მუხა“ – ძეგვის საჯ. სკოლა.

**კახეთი 07.05**
დიდები: „ნინოწმინდელები“ – საგარეჯოს რ/ნ ნინოწმინდის საჯ. სკოლა.
პატარები: „კარიბჭე“ – საგარეჯოს რ/ნ პატარძეულის საჯ. სკოლა.

**თბილისი 07.05**
დიდები: „ორბი“ – №195 საჯ. სკოლა.
პატარები: „სტიქაროსნები“ – №191 საჯ. სკოლა.

**სამცხე-ჯავახეთი 07.05**
დიდები: „მუხა“ – ასპინძის საჯ. სკოლა.
პატარები: „იერუსალიმისაკენ“ – ადიგენის რ-ნი, სოფ. კახარეთის სკოლა.

**აფხაზეთი 08.05**
დიდები: „კარიბჭე“ – აფხაზეთის №10 საჯ. სკოლა.

**სამეგრელო-1 08.05**
დიდები: „ემანუელი“ – ფოთის №5 საჯ. სკოლა.

**სამეგრელო-2 09.05**
დიდები: „რტო“ – ზუგდიდის №2 საჯ. სკოლა.
პატარები: „კიდობანი“ – სენაკის №1 საჯ. სკოლა.

**გურია 09.05**
დიდები: „უამის მუშაკნი“ – ჩოხატაურის ღვთისმშობლის სახ. სამრევლო სკოლა.
პატარები: „მოწყალე სამარიტელი“ – ჩოხატაურის ღვთისმშობლის სახ. სამრევლო სკოლა.

**სვანეთი 10.05**
დიდები: „ლაგუშედა“ – ლენტეხის №1 საჯ. სკოლა.
პატარები: „ფეშხუმი“ – მესტიის რ/ნ სოფ. ჭუბერის საჯ. სკოლა.

**შიდა ქართლი 10.05**
დიდები: „ზანდუკი“ – წმ. გიორგი მთაწმინდელის სახ. გიმნაზია.
პატარები: „კანდელი“ – სურამის №3 საჯ. სკოლა.

**იმერეთი-1 10.05**
დიდები: „ძლევაი საკვირველი“ – ბაღდათის №2 საჯ. სკოლა.
პატარები: „ალილო“ – ხონის №2 საჯ. სკოლა.

**იმერეთი-2 11.05**
დიდები: „სიონი“ – საჩხერის №1 საჯ. სკოლა.
პატარები: „ცისმშვილდნი“ – ზესტაფონის №5 საჯ. სკოლა.

**რაჭა-ლეჩხუმი 11.05**
დიდები: „ხვამლი“ – ცაგერის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია.
პატარები: „კიდობანი“ – ონის საჯ. სკოლა.

**აჭარა 12.05**
დიდები: „ამაღლება“ – ბათუმის წმ. ანდრია მოციქულის სახ.სკოლა-გიმნაზია.